## კანონმდებლები

# განათლების სისტემის გარდაქმნის პროგრამას რეალური საფუძველი შეექმნა



27 სექტემბერს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე, როგორც გადაწყვეტილი იყო, კენჭი უყარეს მსოფლიო ბანკის განათლების სისტემის გაძლიერებისა და გარდაქმნის პროგრამის მოსამზადებელი ავანსის წერილ-შეთანხმების რატიფიკაციის საკითხს. 120 დეპუტატის მხარდაჭერით (37 წინააღმდეგი იყო) წერილ-შეთანხმება ჩვენი ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს მიერ რატიფიცირებულია.

მსოფლიო ბანკი საქართველოს განათლების სისტემის გაძლიერებისა და გარდაქმნისათვის გამოყოფს 12-წლიან შეღავათიან კრედიტს 60 მილიონი დოლარის ოდენობით. რაც შეეხება რატიფიცირებულ წერილ-შეთანხმებას, გათვალისწინებულია მილიონ-ნახევარი ამერიკული დოლარი საქართველოს განათლების სისტემის გაძლიერებისა და გარდაქმნის პროგრამის მოსამზადებლად.

საქინფორმი.

## პრეზიდენტები

# ედუარდ შევარდნაძისა და ჰეიდარ ალიევის სატელეფონო საუბარი

საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე ტელეფონით დაუკავშირდა ამერიკის შეერთებულ შტატებში მყოფ აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტს ჰეიდარ ალიევს. საუბარმა გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

როგორც ჰეიდარ ალიევმა განაცხადა, იგი თავს სავსებით ჯანმრთელად გრძნობს.

აზერბაიჯანის პრეზიდენტი ამ დღეებში გამოემგზავრება სამშობლოში და გზად ერთი დღით ლონდონში გაჩერდება.

სატელეფონო საუბრისას ორი ქვეყნის პრეზიდენტებმა იმსჯელეს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტის განხორციელების დაჩქარების საკითხებზე.

საქინფორმი.

## სახელმწიფო მინისტრი

# ობიექტები საქართველოს ინტერესების გათვალისწინებით უნდა გაიყიდოს

სამწუხაროა, რომ საქართველოში სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე ობიექტები იყიდება და, თუ მიზეზთა გამო, ეს მაინც ხდება, ქვეყნის ხელმძღვანელობამ არ უნდა დაუშვას, რომ ისინი არამომგებიანად გაიყიდოს, და თანაც უნდა გაიყიდოს მხოლოდ საქართველოს სახელმწიფო ინტერესების გათვალისწინებით, — განუცხადა საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა გიორგი არსენიშვილმა 27 სექტემბერს გამართულ შეხვედრაზე გერმანული „კომერცბანკის" წარმომადგენლებსა და დამოუკიდებელ უცხოელ ექსპერტებს, რომელთაც საქართველოს სატელეკომუნიკაციო კომპანიების — „ტელეკომისა" და „ელექტროკავშირების" გაყიდვა ითავეს.



იხ. მე-2 გვ.

ჩვენი გაზეთი ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/sakartvelos-respublika

გასულ კვირაში ჩვენს გაზეთს ინტერნეტით გაეცნო 3674 მკითხველი. მათ შორის, 60% აშშ-დან, 29% — საქართველოდან.

GIOC
საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია
Georgian International Oil Corporation

# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. №261 (3662) ხუთშაბათი, 28 სექტემბერი, 2000 წელი. ფასი 50 თეთრი.

## დღეს

# საქართველოს პრეზიდენტი ბერლინს მიემგზავრება

28 სექტემბერს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, ქალაქ ბერლინში გაიმართება გერმანიის გაერთიანების მეათე წლისთავის აღსანიშნავი საზეიმო ღონისძიებანი, რომლებშიც, თავის ძველ კოლეგებთან და თანამოაზრეებთან, მსოფლიოში აღიარებულ პოლიტიკურ მოღვაწეებთან ერთად, მონაწილეობას მიიღებს საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე. იგი გერმანიის მთავრობის მიერ საგანგებოდ გამოგზავნილი თვითმფრინავით გაემგზავრება ბერლინს, სადაც მცირერიცხოვან დელეგაციასთან ერთად ერთ დღეს დაჰყოფს.

ათი წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც მოსკოვში, 1990 წლის 12 სექტემბერს, ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, რომელიც „4+2"-ის სახელით არის ცნობილი და რომელმაც საფუძველი ჩაუყარა გერმანიის გაერთიანებას.

ამ მოვლენასთან დაკავშირებით გერმანელი ტელეჟურნალისტები გეგმავენ დიდი ტელეგადაცემის მომზადებას, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ საპატიო სტუმრები. მანამდე კი, ბერლინში ჩასვლისთანავე, დაგეგმილია ედუარდ შევარდნაძის პირისპირ შეხვედრა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფედერალურ კანცლერთან გერჰარდ შრედერთან.

საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური.

## აფხაზეთი — ტკივილი ჩვენი

# „მათს ხსოვნას ქვეყანა სანთლებად აინთებს" ...

ზუსტად შვიდი წლის წინათ დაეცა სოხუმი. შვიდი წლის წინათ დატრიალდა ის დიდი უბედურება, რომელმაც ათასობით ქართველს საკუთარი სახლ-კარი, მამა-პაპათა საფლავები დროებით მიატოვებინა...

ზუსტად შვიდი წლის წინათ ვერაგულად მოკლეს ჭეშმარიტი მამულიშვილი, დიდი პატრიოტი და საზოგადო მოღვაწე ჟიული შარტავა, რომელმაც თავი საქართველოს ერთიანობას შესწირა.

შვიდი წელია, ყოველ 27 სექტემბერს საქართველოს პრეზიდენტი და ქვეყნის ხელისუფლება, სრულიად საქართველო პატივს მიაგებს ჟიული შარტავასა და იმ ვაჟკაცების საფლავებს, რომლებიც ქვეყნის უბედობის ჟამს საქართველოს ფარად დაუდგნენ და უყოყმანოდ შესწირეს სამშობლოს ყველაზე ძვირფასი — თავიანთი სიცოცხლე.

27 სექტემბერს საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ, სახელმწიფო მინისტრმა გიორგი არსენიშვილმა, თბილისის მერმა ვანო ზოდელავამ, ქვეყნის სხვა ხელმძღვანელებმა ყვავილებით შეამკეს ჟიული შარტავას, დიღმის და საბურთალოს საძმო სასაფლაოზე დაკრძალულთა საფლავები.

სრულიად საქართველომ პატივი მიაგო მათს ხსოვნას.

საქინფორმი.



## დაჯილდოება

### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2000 წლის 25 სექტემბერი ქ. თბილისი

**ვ. ცხვარიაშვილის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ**

ქართული თეატრალური და კინოხელოვნების განვითარებაში შეტანილი პირადი დიდი წვლილის, ნაყოფიერი შემოქმედებითი და საზოგადოებრივი საქმიანობისათვის საგარეჯოს სახალხო თეატრის რეჟისორი, საქართველოს დამსახურებული არტისტი ვლადიმერ ცხვარიაშვილი დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ე. შევარდნაძე.

## გიხაროდენ!

# ლუკა მეოთხე შვილიშვილია



თითქოს ვარსკვლავებს გამოეყოო, ისეთი ბავშვი დაიბადა №4 სამშობიარო სახლში.

— ვარსკვლავბიჭუნა შეგეძინათ, ასეც ახარა მედპერსონალმა შიშინაშვილებს.

მაია აფციაურისა და თამაზ შიშინაშვილის პირმშოს დაბადებით მთელმა სანათესაომ გაიხარა, ოჯახს მიმლოცველები არ აკლია. მშობლებმა პირმშოს ლუკა დაარქვეს.

ბებია ლელა ხუციძე და პაპა ვახტანგ შიშინაშვილი დიდი ხანია ასეთ კარგ განწყობილებაზე აღარ მინახავს, როგორც მათ ლუკას დაბადებით გაიხარეს. ბიჭუნა მეოთხე შვილიშვილია და ყველა ბიჭია.

ახალი სიცოცხლის შემომატება ყოველი ოჯახისათვის დიდი ზეიმია! სიხარული არ მოკლებოდეთ შიშინაშვილების ოჯახს.

დარეჯან ბატიაშვილი.
თბილისი.

ჩვენი ტელეფონებია:
93-34-04; 99-73-24.

## მოვლენის წინ

# ედუარდ შევარდნაძის ღვაწლის შედეგიცაა, რომ გაერთიანებული ევროპა უტოპია აღარ არის



დღეს ჩვენი პრეზიდენტი გერმანიაში მიფრინავს.

ოღონდ, არა — ოფიციალური ვიზიტით. ოღონდ, არა — როგორც სახელმწიფოს მეთაური.

მიფრინავს საიუბილეო ზეიმის ციკლით გათვალისწინებულ ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად, ნანატრ სტუმრად.

გერმანელებმა მას სპეციალური თვითმფრინავი გამოუგზავნეს.

მათ ახსოვთ ედუარდ შევარდნაძის დიდი დამსახურება ორად გახლეჩილი გერმანიის გამთლიანების საქმეში.

არის თარიღები, რომლებიც მთელი ქვეყნის, მთელი ერისთვის უმნიშვნელოვანეს ნიშანსვეტად არის ქცეული, როცა ჟამთასვლის ათვლა ასე ხდება: „მანამდე" და „მას შემდეგ".

გერმანელთათვის ასეთი თარიღია 1990 წლის 3 ოქტომბერი. წლეულს ორი გერმანიის გამთლიანების 10 წლისთავი სრულდება.

გერმანია ზეიმობს და მათს ზეიმში მონაწილეობენ მაშინდელი მსოფლიოს გამოჩენილი მოღვაწენი, რომლებმაც წვლილი შეიტანეს ამ ქვეყნის 55-წლიანი გათიშულობის დასრულებაში.

იხ. მე-2 გვ.

## სამიტი

# „კორუფცია სცილდება ეროვნულ საზღვრებს, უშუალოდ უკავშირდება დანაშაულობათა აღიარებულ და ცნობილ ფინანსურ-ეკონომიკურ ფორმებს, რაც აუცილებელს ხდის ამ სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის გააქტიურებას"

ამერიკის შეერთებულ შტატებში ქ. არლინგტონში 21-23 სექტემბერს გაიმართა მე-15 საერთაშორისო ფინანსური მენეჯმენტის კონფერენცია, ეგიდით „ანტიკორუფცია 2000".

ეს კონფერენცია ტრადიციულად ყოველ წელს იმართება და მიზნად ისახავს ქვეყნის ისეთ საჭირბოროტო საკითხებზე მსჯელობას, როგორიცაა ბრძოლა კორუფციის, შავი ფულის გათეთრების, ტერორიზმის, იარაღის კონტრაბანდის, პროსტიტუციის წინააღმდეგ და ყველა ეს პრობლემა განიხილება მასმედიასთან აქტიური თანამშრომლობის პირობებში.

1994 წელს, სან-დიეგოს კონფერენციის გადაწყვეტილებით, ამერიკის მთავრობამ მიზნად დაისახა კორუფციასთან ბრძოლის გაძლიერება ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით.

სამიტში „ანტიკორუფცია 2000" მონაწილეობდნენ მრავალი ქვეყნის მაკონტროლებელი ორგანოების წარმომადგენლები, მსოფლიო ბანკის გენერალური აუდიტი, ამერიკის განვითარების ბანკის გენერალური აუდიტი. საქართველოდან სამიტში მონაწილეობდა კონტროლის პალატის თავმჯდომარის მოადგილე ზურაბ დვალი.

კონფერენციის მონაწილეებმა კორუფციასთან ბრძოლა განიხილეს XXI საუკუნეში ბიზნესისა და მთავრობის განვითარებასთან მიმართებაში და ერთმანეთს გაუზიარეს თავიანთი გამოცდილებები.

სამიტის მონაწილეებს მიმართვა გაუგზავნა საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ.

ვბეჭდავთ ამ მიმართვის ტექსტს:

იხ. მე-2 გვ.

## სიდნეი - 2000



Sydney 2000

**გუშინ სიდნეის XXVII ოლიმპიურ თამაშებზე კიდევ ერთმა ქართველმა სპორტსმენმა ისახელა თავი — ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე ბათუმელმა მუხრან ვახტანგაძემ (85 კგ.) ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.**

იხ. მე-9 გვ.

## ინტეგრაცია

საქინფორმის სპეციალური კორესპონდენტი ნინო გაბრიაძე სტრასბურგიდან იტყობინება:

# ჰიდროტექნიკური ინსტიტუტი — ევროპის საბჭოს ეგიდით

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სამემოდგომო სესიის პირველსავე სხდომაზე ასამბლეის წევრებმა განიხილეს ევროპა-ხმელთაშუა ზღვის აუზში წყლის რესურსების ნაკლებობისა და სოფლის მეურნეობის პრობლემები.

ასამბლეამ მხარი დაუჭირა ესპანეთის გარემოს დაცვის მინისტრის — ძირითადი მომხსენებლის ადოლფო ფერნანდეს აგილარის ინიციატივას — ევროპის საბჭოს ეგიდით ევროპა-ხმელთაშუა ზღვის ჰიდროტექნიკური ინსტიტუტის შექმნის შესახებ.

იხ. მე-2 გვ.

## ინფორმაცია

### გაიზარდა სამრეწველო პროდუქციის საერთო მოცულობა

სამრეწველო პროდუქციის საერთო მოცულობა მიმდინარე წლის აგვისტოში, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 3,9 მლნ. ლარით, ანუ 2,4 პროცენტით, ხოლო მიმდინარე წლის ივლისთან შედარებით 17,7 მლნ. ლარით, ანუ 11,8 პროცენტით გაიზარდა.

### კონტროლის პალატის გენერალურ ინსპექტორს პრეზიდენტი დაამტკიცებს

„კონტროლის პალატის შესახებ" შემუშავებული ახალი კანონპროექტის თანახმად გათვალისწინებულია კონტროლის პალატის გენერალური ინსპექციის სამსახურის შემოღება, რომლის ხელმძღვანელს საქართველოს პრეზიდენტი დაამტკიცებს.

როგორც პრაიმ-ნიუსს კონტროლის პალატაში უთხრეს, გენერალური ინსპექციის ხელმძღვანელის პრეზიდენტის მიერ დანიშვნა ამ სამსახურს კონტროლის პალატისაგან მეტ დამოუკიდებლობას მიანიჭებს.

ახალი კანონპროექტის მიხედვით, გენერალური ინსპექციის ფუნქცია ადმინისტრაციული კონტროლის სამსახურის ანალოგიური იქნება.

მთავრობასთან კანონპროექტის შეჯერების შემდეგ, იგი განსახილველად პარლამენტს წარედგინება, სავარაუდოდ ოქტომბრის შუა რიცხვებში.

### რუსეთის ფედერაციის საბჭო მხარს უჭერს

27 სექტემბერს რუსეთის ფედერაციის საბჭომ მხარი დაუჭირა რუსეთის პრეზიდენტის წინადადებას იმის თაობაზე, რომ ამ ქვეყნის შეიარაღებული ძალების კონტინგენტი გამოიყენონ აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში მშვიდობის უზრუნველმყოფი კოლექტიური ძალების შემადგენლობაში. თანამეგობრობის ქვეყნების სახელმწიფოთა მეთაურების გადაწყვეტილების შესაბამისად, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა წინადადება წამოაყენა ეს ვადა 2000 წლის დამლევამდე გააგრძელონ. ფედერაციის საბჭომ მოიწონა ეს წინადადება. სამი ათას კაცამდე ოდენობის რუსეთის სამხედრო კონტინგენტი ამ რეგიონში მშვიდობის უზრუნველსაყოფად გამოყოფილი თანამეგობრობის კოლექტიური ძალების ბირთვია.

### დიტერ ბოდენი მიიჩნევს

გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოწესრიგების დარეგულირების საკითხში დიტერ ბოდენი თვლის, რომ რუსეთის ფედერაციის საბჭოს მიერ აფხაზეთში მყოფი სამშვიდობო ძალებისთვის მანდატის გაგრძელება მხარეთა ინტერესებს შეესაბამება. პრაიმ-ნიუსთან ინტერვიუში ბოდენმა აღნიშნა, რომ სამშვიდობო ძალებისათვის გუდაუთის სამხედრო ბაზის ინფრასტრუქტურის შენარჩუნება, რის შესაძლებლობასაც ამჟამად მოსკოვი და თბილისი განიხილავენ, „საკმაოდ რთული საკითხია და მათ მისი განხილვისას ეუთოს სტამბოლის სამიტზე მიღებული გადაწყვეტილებებით უნდა იხელმძღვანელონ".

დიტერ ბოდენის ინფორმაციით, უახლოეს პერიოდში კოდორის ხეობაში სამშვიდობოების დამატებითი საგუშაგო გაიხსნება.

### საქართველო აზერბაიჯანიდან გაზს მიიღებს

საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციამ დაასრულა მაგისტრალურ გაზსადენებზე სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომელთა მიზანია აზერბაიჯანულ გაზის მრეწველობასთან შემდგომი ინტეგრაცია და აზერბაიჯანიდან გაზის მიღება. ანალოგიური სამუშაოები აზერბაიჯანის ტერიტორიაზე წარმოებს, რის შემდეგაც საქართველო აზერბაიჯანიდან გაზს მიიღებს.

საქართველოსა და აზერბაიჯანის მომავალი ეკონომიკური განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება ნავთობისა და გაზის სექტორში თანამშრომლობის გაღრმავებას და ერთობლივი რეგიონული პროექტების განხორციელებას.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: პრაიმ-ნიუსმა და საქინფორმმა.

## პროკურატურა

# მრჩეველთა საბჭო მუშაობას შეუდგა

წლეულს, „პროკურატურის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 44-ე მუხლის თანახმად, შეიქმნა გენერალური პროკურატურის სამეცნიერო-საკონსულტაციო (მრჩეველთა) საბჭო, რომლის შემადგენლობაც გენერალურმა პროკურორმა დაამტკიცა.

იხ. მე-2 გვ.

## ამინდი დღეს

დასავლეთ საქართველოში

დაბლობში: ღამით +8+13; დღისით +19+24.

მთაში: ღამით +4+9; დღისით +15+20.

აღმოსავლეთ საქართველოში

ბარში: ღამით +9+14; დღისით +17+22.

მთაში: ღამით +6+11; დღისით +13+18.

თბილისში

ღრუბლიანი ამინდი, დღისით ხანმოკლე წვიმა. ღამით +12+14; დღისით +20+22.

საქართველოს ჰიდრომეტცენტრი.

## ლარის კურსი

28 სექტემბრიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსები:

| | | | |
|---|---|---|---|
| გერმანული მარკა | 1 | 0.8895 | ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 1.9700 | ლარი |
| ევრო | 1 | 1.7397 | ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0.0708 | ლარი |

## გვირეკავენ, გვეკითხებიან

— ვარ სამამულო ომის მონაწილე, მეორე ჯგუფის ინვალიდი. ომში თავგანწირული ბრძოლისათვის დაჯილდოებული ვარ ორდენებითა და მედლებით. ჩემი მეუღლეც სამამულო ომის პერიოდში ჰოსპიტალში ექთნად მუშაობდა. დღეს ორივენი უძლურნი ვართ, გვესაჭიროება მომვლელი.

გთხოვთ, განგვიმარტოთ, შეგვიძლია თუ არა ვისარგებლოთ შეღავათით ელექტროენერგიის საფასურის გადახდისას?

შალვა და თამარ ქარქუზოვები. ლაგოდეხი, სოფელი ლელიანი.

— შეკითხვაში აღნიშნული პირობების მიხედვით, ელექტროენერგიის საფასურის გადახდისას შეგიძლიათ უფასოდ მოიხმაროთ 50 კვ/სთ ღირებულების ელექტროენერგია, აღნიშნულზე მეტი ელექტროენერგიით სარგებლობის შემთხვევაში კი, საფასური უნდა გადაიხადოთ.

თუ თქვენი მეუღლეც ომის მონაწილეებთან გათანაბრებული პირია, თქვენს ოჯახს უფასოდ შეუძლია მოიხმაროთ 75 კვ/სთ ღირებულების ელექტროენერგია.

დაგვირეკეთ, შეგვეკითხეთ:
93-16-90, 93-28-54.

## ინტერპანორამა



ბარენცის ზღვაში ჩაძირული „კურსკის" მეზღვაურების ოჯახების წევრებმა წერილით მიმართეს პრეზიდენტ პუტინს და სთხოვეს გადადონ დაღუპულთა ცხედრების ამოყვანა, რადგან მეტეოროლოგიური პირობები საფრთხეს უქმნის მაშველების სიცოცხლეს.



ეგეოსის ზღვაში, საბერძნეთის სანაპიროსთან პატარა კუნძულს შეეჯახა ბორანი „ექსპრეს სამენა", რომელზეც ტურისტები იმყოფებოდნენ.

წინასწარი მონაცემებით დაიღუპა 63 ადამიანი. მაშველებმა შეძლეს 443 ტურისტის გადარჩენა.



## უკანასკნელ საათს



გუშინ ჩეხეთში გლობალიზაციის პოლიტიკის მოწინააღმდეგეთა (ულტრამემარცხენე პარტიების წარმომადგენელთა) აქციის 427 მონაწილე დააპატიმრა პოლიციამ. მათგან 120 უცხოეთის მოქალაქეა.

აქცია მსოფლიო ბანკის და საერთაშორისო სავალუტო ფონდის აქ მიმდინარე სესიის წინააღმდეგ გაიმართა.

ამანიდან ბაღდადში ჰუმანიტარული ტვირთით გაფრინდა იორდანიის სამგზავრო თვითმფრინავი. ეს არის არაბეთის სახელმწიფოს დაფინანსებული პირველი თვითმფრინავი 10 წლის წინათ კუვეიტში ერაყის შეჭრისა და სანქციების დაწესების შემდეგ.

„საქართველოს რესპუბლიკა" — ავიაკომპანია „აირზენა-საქართველოს ავიახაზების" თვითმფრინავებში.

საქართველოს რესპუბლიკა
№ 261. ხუთშაბათი, 28 სექტემბერი, 2000 წელი.

მოვლენის წინ

# ედუარდ შევარდნაძის ღვაწლის შედეგიცაა, რომ გაერთიანებული ევროპა უტოპია აღარ არის

(პირველი გვერდიდან)

საპატიო სტუმართაგან ერთ-ერთი უპირველესი საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძეა — ყოფილი სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი.

ამ ორიოდე კვირის წინათ, 12 სექტემბერს, ბერლინში საიუბილეო სხდომა გაიმართა, რომელიც 1990 წლის 12 სექტემბერს მოსკოვში ხელმოწერილი „ოთხი პლუს ორი" ხელშეკრულების 10 წლისთავს მიეძღვნა (იგი გერმანიის გაერთიანების უმთავრესი ისტორიული დოკუმენტია). სხდომაზე მოხსენებით გამოვიდა ყოფილი სსრ კავშირის პირველი და უკანასკნელი პრეზიდენტი მიხეილ გორბაჩოვი. მან იმ პერიოდის პერიპეტიებზე ილაპარაკა, რის გაცნობაც მკითხველისთვის საინტერესო უნდა იყოს.

გაიხსენა 1989 წელი, როცა სსრ კავშირში პირველი თავისუფალი არჩევნები გაიმართა, ეს — როგორც მან თქვა, — ჩვენს ქვეყანაში პლურალიზმის დასაბამი გახლდათ, რამაც სხვა ქვეყნებსაც მოუტანა თავისუფლება, გერმანიას კი გაერთიანებაო. ამას რთული პროცესები უძღოდა, გდრ დიდ კრიზისში იყო, განიხილებოდა კონფედერაციის, სავალუტო კავშირის და სხვა ვარიანტები. მაგრამ 1989 წლის ბოლოს, როცა ბერლინში კონფერენციაზე ვიყავი, მივხვდი, რომ ეს რეჟიმი უნდა დასრულებულიყო, გდრ-ის გერმანელებს მხოლოდ გაერთიანება სურდათო, — შენიშნავს მიხეილ სერგის ძე.

გაერთიანების გეგმას პოლიტბიუროში ჯერ თურმე „ექვსეულს" („შესტიორკას") უწოდებდნენ, „ოთხი პლუს ორი" (რუსეთი, ამერიკა, ინგლისი, საფრანგეთი პლუს გფრ, გდრ) მერე დაერქვა. ბეიკერმაც ასეთი მოდელი წარმოგვიდგინა. ეს მერე ატყდა დისკუსია, თუ ვის ეკუთვნოდა „პატენტი" „ოთხი პლუს ორზე".

არსებობდა ასეთი ღერძი: მე და შევარდნაძე — კოლი და გენშერი. მათთან ერთობ კონსტრუქციული თანამშრომლობა გაიბა. შევარდნაძემ ხელშეკრულებაში საბჭოთა ჯარების დროებით შენახვაზე საკითხის ჩართვა ითხოვა. ეს ყველამ გაიზიარა — საკითხი მართლაც ძალზე მნიშვნელოვანი იყო.

გენშერი ყოველი სიტყვის შემდეგ „სუვერენიტეტს" ახსენებდა. არც მე და არც ედუარდ შევარდნაძეს მისთვის რაიმე დაეჭვების საფუძველი არ მიგვეცია. ყოველთვის ხაზს ვუსვამდით, რომ ნებისმიერ კავშირში შესვლა გაერთიანებული გერმანიის სუვერენული უფლება იყო, არ შეიძლებოდა გაერთიანებული გერმანიის სუვერენიტეტის შეზღუდვა.

შემდეგი წლების ზიგზაგების მიუხედავად, გერმანიის გაერთიანება მობრუნების პუნქტია მსოფლიოს ისტორიაში. ამიტომაც „ოთხი პლუს ორი" უდიდესი დოკუმენტია და მისი შემქმნელი პოლიტიკოსები ისტორიაში შევიდნენ, მაგრამ ორი ადამიანის, ორი მინისტრის როლი აქ სრულიად განსაკუთრებულია, ესენი გახლავთ ჰანს-დიტრიხ გენშერი და ედუარდ შევარდნაძე. მათ პიროვნულად ძალიან ბევრი რამ გადაწყვიტეს, — აღიარებს მიხეილ გორბაჩოვი და კიდევ ერთხელ მტკიცდება, რომ თუ ერთმა ქართველმა გერმანია ორად გაჰყო, მეორემ ორად გაყოფილი გერმანია შეაერთა.

საამაყოა, რომ ქართველი კაცი, მსოფლიოს გამოჩენილი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე ედუარდ შევარდნაძე ცივი ომისგან გათავისუფლებული, ახალი ევროპის ერთ-ერთი მშენებელია. ეს მისი ღვაწლის შედეგიცაა, რომ გაერთიანებული ევროპა უკვე უტოპია აღარ არის, სამომავლო რეალობაა.

ალეკო ასლანიშვილი.

გვახსოვდეს აფხაზეთი!

# „იმედისა და ხსოვნის" დღე

27 სექტემბერი სრულიად საქართველოს ტკივილის, მარადიული ხსოვნისა და იმედის დღეა.

არა ერთი ავბედითი ფურცელი ჩაწერილა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში, მაგრამ უმთავრესი და განსაკუთრებული ისაა, რომ 27 სექტემბერი არ შეიძლება გამხდარიყო და არც გამხდარა ისტორიის კუთვნილება. იგი ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების თანმდევია, ხოლო მომავლისათვის მოურჩენელი იარაა და სამშობლოსათვის დაცემულ მამულიშვილთა წინაშე მოვალეობის გრძნობის უცილობელი პირობაც.

„იმედისა და ხსოვნის" დღე საქართველოს ერთიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულთა პატივცემით დაიწყო. ვაკის პარკში აღმართულ აფხაზეთში დაღუპულ მეომართა მემორიალი ყვავილებით შეამკეს აფხაზეთის ლეგიტიმური სამთავრობო ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა, დაღუპულთა ოჯახის წევრებმა, ყოფილმა მებრძოლებმა, კურსანტებმა, აფხაზეთის მოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტისა და სხვა უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებლებმა, სტუდენტებმა. შემდეგ ვაკის პარკში გაიმართა მიტინგი — „გახსოვდეს აფხაზეთი".

ქაშუეთის ეკლესიაში საქართველოს ერთიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულთა პანაშვიდი გადაიხადა ეკლესიის წინამძღვარმა მამა ელიზბარმა.

წინა დღეს ცნობილი საზოგადო მოღვაწის ვლადიმერ (ვოვა) ვეკუას მემორიალური დაფა გაიხსნა ენერგეტიკის სამინისტროს შენობის ფასადზე, ხოლო წინამდებარე ქუჩას ეწოდა მისი სახელი.

„იმედისა და ხსოვნის" დღეს მიეძღვნა აფხაზეთის მკვიდრი მხატვრების ნაწარმოებთა გამოფენა.

იმედითა და ხვალინდელი დღის რწმენით იყო აღსავსე სოხუმის საყმაწვილო თეატრის „თეთრი ტალღის" სპექტაკლი „გამარჯობა, სოხუმო".

საქინფორმი.

# სულის ტკივილი

27 სექტემბერს კუს ტბაზე, ეთნოგრაფიის მუზეუმის ღია ესტრადაზე, მოეწყო ვაკის რაიონის უფროსკლასელთა აქცია „გვახსოვდეს აფხაზეთი".

101-ე და 126-ე საშუალო სკოლის მოსწავლეები ღია ცის ქვეშ საინტერესო პროგრამით წარსდგნენ. 27 სექტემბერი დიდი საეკლესიო დღესასწაულიცაა — ჯვართამაღლება უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი.

ღონისძიების მონაწილეებს მიესალმა მამა დავითი:

— რაოდენ სამწუხაროა, რომ ამ დღეს დაეცა სოხუმი. ამ დღეს უფალმა დიდი გამოცდა მოუწყო ჩვენს ერს, მაგრამ უფალი მოწყალეა და უკანონოდ წართმეულ საქართველოს ამ კუთხეს, აფხაზეთს, მჯერა, დავიბრუნებთ, — აღნიშნა მან და დალოცა სრულიად საქართველო.

აფხაზეთიდან დევნილმა ქალთა ტრიომ ნანა ბოჯგუას ხელმძღვანელობით შეასრულა მეგრული სევდიანი სიმღერები. ეს მართლაც სულის ტკივილი იყო.

— მიუხედავად ცუდი ამინდისა, ჩვენ შევიკრიბეთ, რადგან ჩვენთვის უმთავრესია აფხაზეთი, და თუ იგი ყოველთვის გვეხსომება, დავიბრუნებთ კიდევაც, — აღნიშნა ვაკის რაიონის გამგებლის მოადგილემ ქეთევან ქუთათელაძემ...

ღონისძიება მართლაც კარგი და საჭირო იყო, მაგრამ მის ორგანიზატორებს, ყველაფერთან ერთად, მოსწავლეებისთვის აქ ამოსასვლელად სამგზავრო ავტობუსის გამოსაყოფადაც რომ ეზრუნათ, ურიგო არ იქნებოდა: ქალაქიდან მოშორებული ეთნოგრაფიული მუზეუმი ხომ მარტო ბავშვებისათვის კი არა, ჟურნალისტებისათვისაც ძნელი მისადგომია.

ნანა სულავა.

სახელმწიფო მინისტრი

# ობიექტები საქართველოს ინტერესების გათვალისწინებით უნდა გაიყიდოს

(პირველი გვერდიდან)

„კომერცბანკის" წარმომადგენელმა ალექსეი სოკოლოვმა სახელმწიფო მინისტრს ბანკისა და ექსპერტების მიერ შემუშავებული წინადადებები გააცნო, რომელთა მეშვეობითაც, მისი აზრით, შესაძლებელი გახდება ორივე გასაყიდი კომპანიის კონკურენტუნარიანობის გაზრდა, რაც მათს სარფიან გაყიდვასა და ინვესტორთა მოზიდვას შეუწყობს ხელს.

„ტელეკომისა" და „ელექტროკავშირების" გაყიდვა, „კომერცბანკის" წარმომადგენლის თქმით, ოფიციალურად მიმდინარე წლის ოქტომბერში გამოცხადდება.

რაც შეეხება პოტენციურ ინვესტორებს, მათ უკვე გაეგზავნათ სრული ინფორმაცია გასაყიდი ობიექტების შესახებ.

როგორც სახელმწიფო მინისტრმა განაცხადა, ქვეყნის ხელისუფლება ყურადღებით ეკიდება ზემოაღნიშნული ორი კომპანიის გაყიდვასთან დაკავშირებულ საკითხებს, ვინაიდან, ამ ობიექტების გაყიდვიდან ამონაგები თანხა საქართველოს მოსახლეობის ვალების გასტუმრებას უნდა მოხმარდეს.

საქინფორმი.

კანონმდებლები

# მოსალოცად გვაქვს საქმე

ხანგრძლივი, მწვავე დებატების შემდეგ, 27 სექტემბრის პარლამენტის პლენარულ სხდომაზე დეპუტატებმა გამარტივებული წესით — ერთი მოსმენით მიიღეს კანონპროექტი „საქართველოს ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ". ეს კანონპროექტი ავტომოტოტრანსპორტის ტექნიკური დათვალიერების გადასახადების გაიაფებას ეხება.

როგორც კანონპროექტის ავტორებს ჰქონდათ დაგეგმილი, საგზაო ფონდში შენატანი თანხები საერთოდ უნდა გაუქმებულიყო. საბოლოო პროექტში კი მსუბუქი ავტომობილების მიხედვით საგზაო ფონდში შენატანი 5 ლარით განისაზღვრა, სატვირთო ავტომობილებისთვის ტვირთამწეობის მიხედვით ეს თანხა 10-100 ლარი იქნება, ავტობუსებისთვის კი — ადგილების ტევადობის მიხედვით — 20-100 ლარი. მნიშვნელოვნად შემცირდა წლიური სადაზღვევო შენატანის სიდიდე, ფირნიშის ღირებულება და სხვა.

პარლამენტმა მხედველობაში არ მიიღო პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნის ზურაბ მარაქველიძის წინადადება, რომელიც მოითხოვდა, გადაედოთ კანონპროექტის განხილვა. როგორც ზურაბ მარაქველიძემ განაცხადა, მისი წინადადება ეფუძნებოდა ფინანსთა სამინისტროს ოფიციალურ დასკვნას, რომლის მიხედვით ფინანსთა სამინისტროს არ გააჩნია სახელმწიფო ბიუჯეტში საგზაო ფონდისთვის 6,5 მილიონი ლარის ოდენობის თანხის კომპენსირების საშუალება. ავტოტექდათვალიერებისას სწორედ ამდენი თანხა უნდა შესულიყო საგზაო ფონდში.

საკითხის გადადება მოითხოვეს საპარლამენტო უმცირესობის და „ახალი ფრაქციის წევრებმაც" კენჭისყრის წინ მათ შესვენება მოითხოვეს. შესვენების შემდეგ მათი პოზიცია გამოხატა ვახტანგ ხმალაძემ. მან თქვა, არავინ არ არის ტარიფების შემცირების წინააღმდეგი, მაგრამ საჭიროა ყოველმხრივ გათვლილი, გაანალიზებული პროექტის წარმოდგენა, რისთვისაც ისინი ერთი დღის ვადას ითხოვენ. გადასახადებისა და შემოსავლების კომიტეტის თავმჯდომარე ვიტალი ხაზარაძე, რომელმაც წარმოადგინა კანონპროექტი, კატეგორიულად არ დაეთანხმა ოპოზიციის წინადადებას, და განაჩენიც წინასწარ გამოუტანა. მისი აზრით, შეუძლებელია ერთ დღეში წარმოდგენილი პროექტი სათანადო დონის იყოს.

საბოლოოდ, რეგისტრაცია 126-მა დეპუტატმა გაიარა. კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღია ოპოზიციას. პარლამენტმა კი მიიღო კანონპროექტი, რომელსაც 123-მა დეპუტატმა დაუჭირა მხარი.

საქინფორმი.

პროკურატურა

# მრჩეველთა საბჭო მუშაობას შეუდგა

(პირველი გვერდიდან)

მრჩეველთა საბჭო სათათბირო ორგანოს წარმოადგენს. მისი მიზანია განამტკიცოს მეცნიერებისა და პრაქტიკის კავშირი, გააღრმაოს კონტაქტები სამეცნიერო დაწესებულებებსა და გენერალურ პროკურატურას შორის, შეიმუშაოს მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციები საპროკურორო პრაქტიკის პრინციპულ საკითხებზე, ხელი შეუწყოს სამართლებრივი სახელმწიფოს აღმშენებლობას, კანონის უზენაესობის დამკვიდრებასა და ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა განუხრელად დაცვას, შეისწავლოს საპროკურორო საქმიანობაში წამოჭრილი პრობლემები და შეიმუშაოს მათს გადასაწყვეტად საჭირო რეკომენდაციები.

მრჩეველთა საბჭოს წევრები არიან: თსუ იურიდიული ფაკულტეტის კათედრის გამგე, პროფესორი გივი ინწკირველი, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" მთავარი რედაქტორი არმაზ სანებლიძე, თსუ იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი რომან შენგელია, საქტელერადიოკორპორაციის თავმჯდომარის მოადგილე ნიკოლოზ ყანდიაშვილი; სამართლის ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი გია ხუბუა, საქართველოს იურისტთა კავშირის თავმჯდომარე, ჟურნალ „სამართლის" რედაქტორი პაატა ცნობილაძე, „ამექს ინტერნეიშნლის" თბილისის ოფისის ხელმძღვანელი დავით უსუფაშვილი, რადიო „თავისუფლების" თბილისის ბიუროს ხელმძღვანელი თამარ ჩიქოვანი, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი ზვიად კორძაძე.

26 სექტემბერს გაიმართა მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარისა და მდივნის არჩევნები. ფარული კენჭისყრით მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულია გივი ინწკირველი, მდივნად — თამარ ჩიქოვანი.

საკუთარი ინფორმაცია.

დაჯილდოება

## საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2000 წლის 25 სექტემბერი ქ. თბილისი

### საქართველოს ტურიზმისა და კურორტების სახელმწიფო დეპარტამენტის თანამშრომელთა ღირსების მედლით დაჯილდოების შესახებ

საქართველოს ტურიზმის განვითარებაში შეტანილი პირადი წვლილისათვის, დარგის რეფორმირების პროცესში აქტიური და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის საქართველოს ტურიზმისა და კურორტების სახელმწიფო დეპარტამენტის ღვაწლმოსილი თანამშრომლები დაჯილდოვდნენ ღირსების მედლით:

**გურამ ბიბილაშვილი** — ეკონომიკური სამმართველოს უფროსის მოადგილე;

**ვალერიან გიორგაძე** — სტატისტიკისა და პროგნოზირების განყოფილების გამგე;

**დუგლას იაშვილი** — საერთაშორისო ურთიერთობებისა და ინვესტიციების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი;

**ნიკო კვარაცხელია** — მარკეტინგის, რეკლამის, ინფორმაციისა და საზოგადოებრივი ურთიერთობების სამმართველოს უფროსი.

ე. შევარდნაძე.

ინტეგრაცია

# ჰიდროტექნიკური ინსტიტუტი — ევროპის საბჭოს ეგიდით

(პირველი გვერდიდან)

როგორც განუცხადა სხდომის შემდეგ საქინფორმის კორესპონდენტს ევროსაბჭოში საქართველოს საპარლამენტო დელეგაციის, ევროსაბჭოს მეცნიერებისა და ტექნოლოგიების კომიტეტის წევრმა ნათელა პატარქალიშვილმა, ინსტიტუტის შექმნისა და მისი შემდგომი საქმიანობის მიზანია ევროპაში წყლის მენეჯმენტისა და ტექნოლოგიათა გაუმჯობესება, ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებში სასმელი, სამკურნალო და სამელიორაციო წყლის რესურსთა რაციონალური გამოყენება, წყლის დეფიციტის გამომწვევი ეკოლოგიური მიზეზების შესწავლა.

— ასამბლეის წევრთა და მაღალკვალიფიციურ სპეციალისტთა აზრით, ამ ინსტიტუტის დაფუძნება მნიშვნელოვანწილად შეუწყობს ხელს წყლის ახალი რესურსების მოძიებასა და მათი მიზანმიმართული გამოყენების ახალ პერსპექტივას ერთიან ევროპულ სივრცეში,— აღნიშნა ნათელა პატარქალიშვილმა.

## საპარლამენტო ასამბლეის გენერალური მდივანი

26 სექტემბერს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის გენერალური მდივნის პოსტზე ფარული კენჭისყრით ოთხი წლის ვადით კვლავ აირჩიეს ბრუნო ჰალერი. ამ თანამდებობაზე წარდგენილი იყო მხოლოდ მისი კანდიდატურა, რომელიც აპრილში, ეროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის სხდომაზე განიხილეს და დაამტკიცეს საპარლამენტო სესიაზე განსახილველად.

## თანამშრომლობის ახალი პერსპექტივა

— დემოკრატიისა და სამართლიანობის პრინციპების დამკვიდრება, სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება და ადამიანის უფლებების დაცვა, კანონის უზენაესობა, — ამ უმთავრეს ღირებულებათა განხორციელებას ეფუძნება ევროპის საბჭოს და ეუთოს საქმიანობა. საერთო მიზნების მისაღწევად კი ორი ევროპული ორგანიზაციის საპარლამენტო ასამბლეებმა აქტიურად და კონსტრუქციულად უნდა ითანამშრომლონ, — მიმართა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის წევრებს ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტმა ადრიან სევერინმა. მისი აზრით, ერთიანი დემოკრატიული ევროპული სტრუქტურების ტრანსფორმაციისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ამ ორგანიზაციათა საკანონმდებლო და აღმასრულებელი სტრუქტურების ურთიერთობას, ერთობლივი პროექტების განხორციელებას, ასევე, ერთობლივი საერთაშორისო ხელშეკრულებების გაფორმებასა და რატიფიცირებას.

ადრიან სევერინის განცხადებით, ორი ორგანიზაციის თანამშრომლობა რამდენიმე კონკრეტული მაგალითის გათვალისწინებით განხორციელდა. კერძოდ, მან არგუმენტად საქართველოში პრეზიდენტისა და პარლამენტის არჩევნების დროს ორი ორგანიზაციის მეთვალყურეობა და მონიტორინგი დაასახელა.

— ჩვენ ახალ ტრანსატლანტიკურ სივრცეს ვქმნით, სადაც ერთიან ევროპას უდავოდ მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრია. ამ ფუნქციის სრულფასოვანი განხორციელება ეუთოსა და ევროსაბჭოს ერთობლივი ძალისხმევით არის შესაძლებელი, — განაცხადა მან.

## გაეროს როლი ახალ, 21-ე საუკუნეში

27 სექტემბერს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ მხარი დაუჭირა გაეროს გენერალური მდივნის კოფი ანანის მიერ გაეროს მილენიუმის სამიტზე წამოყენებულ ინიციატივას — ახალ, 21-ე საუკუნეში გაეროს რეფორმაციის, მსოფლიო უშიშროების სისტემაში მისი როლის კიდევ უფრო გააქტიურებისა დ ქმედითობის ამაღლების შესახებ. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პოლიტიკური კომიტეტის ძირითადი მომხსენებლის გამოსვლაში აღინიშნა, რომ მსოფლიოში არსებული კონფლიქტური კერების გათვალისწინებით და დროის მოთხოვნათა შესაბამისად აუცილებელია მნიშვნელოვნად გაიზარდოს გაეროს როლი და უფრო გააქტიურდეს მისი მოქმედება.

სხდომაზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო გაეროს რეგიონულ ორგანიზაციებს. კერძოდ, აღინიშნა, რომ გაერომ 21-ე საუკუნის დამდეგისათვის სწორედ იმ რეგიონებში უნდა გააფართოოს საქმიანობა, სადაც სადღეისოდ არ მოქმედებს გაეროს უშიშროების საბჭოს მანდატი.

სხდომის შემდეგ საქინფორმის კორესპონდენტი ესაუბრა ევროპის საბჭოში საქართველოს საპარლამენტო დელეგაციის წევრებს. მათ რწმენა გამოთქვეს, რომ ევროპის საბჭოს რეკომენდაციები და ძალისხმევა, გაააქტიუროს თავისი როლი კავკასიის რეგიონში საყოველთაო სტაბილურობის დასამყარებლად, სამომავლოდ ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზეც უდავოდ პოზიტიურად იმოქმედებს.

### ქართული ჩაი — უზბეკეთში

100 ტონა შავ და 100 ტონა მწვანე ჩაის გააგზავნის უზბეკეთში სააქციო საზოგადოება „ქართული ჩაი" 2000 წლის ოქტომბრიდან 2001 მარტამდე. კონტრაქტი უზბეკურ მხარესთან გაფორმებულია 140 ათასი დოლარის მოცულობის პროდუქციაზე, აცნობა პრაიმ-ნიუსს „ქართული ჩაის" მენეჯერმა გურამ ოდიშარიამ.

მისი თქმით, მიმდინარე წელს ექსპორტირებულია თითქმის 47 ათასი დოლარის ღირებულების 80 ათასი ტონა ჩაი.

1999 წელს „ქართული ჩაის" საწარმოებმა რუსეთსა და ყირგიზეთში 340 ათასი ტონა შავი და მწვანე ჩაი გააგზავნეს.

### რა მოილაპარაკეს ქართველმა და რუსმა ენერგეტიკოსებმა?

სააქციო საზოგადოება „რუსეთის ერთიანი ენერგოსისტემის" გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე ანდრეი რაპოპორტი, რომელმაც ოთხშაბათს დაასრულა ორდღიანი ვიზიტი თბილისში, თავს იკავებს საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის მინისტრთან დავით მირცხულავასთან გამართული მოლაპარაკებების შედეგების კომენტირებისაგან.

როგორც პრაიმ-ნიუსს აცნობა რუსეთის სააქციო საზოგადოების საქართველოს ფილიალის პრესსამსახურის უფროსმა გენადი აბრამოვიჩმა, რაპოპორტის და მირცხულავას მოლაპარაკებებზე განიხილებოდა ზამთრის პერიოდში საქართველოსთვის რუსეთის ელექტროენერგიის მიწოდების, ასევე, საქართველოს ელექტროგადამცემი ხაზებით რუსული ელექტროენერგიის თურქეთში ტრანზიტის საკითხები.

მხარეებმა ასევე განიხილეს 500-კილოვატიანი ელექტროგადამცემი ხაზის ზესტაფონი-ახალციხე-თურქეთის საზღვარი — მშენებლობის პროექტის რეალიზაციისათვის მზადების საკითხები.

### განიხილეს გაზსადენის მშენებლობის პროექტი

საქართველოდან თურქეთის ქალაქ ხოფამდე გაზსადენის მშენებლობის პროექტი განიხილეს 27 სექტემბერს, თბილისში, საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციის ოფისში გამართულ შეხვედრაზე.

მოლაპარაკებებში, რომელშიც მონაწილეობდნენ კორპორაციის პრეზიდენტი ალეკო გოცირიძე, თბილისში ვიზიტად მყოფი ღია სააქციო საზოგადოების „იტერა-ჰოლდინგის" უფროსი ვიცე-პრეზიდენტი ბოგდან კლიუკი და თურქეთის კომპანიის „თურქის პეტროლის" პრეზიდენტი ერდალ აქსთი, იმსჯელეს ქობულეთ-ხოფის მონაკვეთზე გაზსადენის მშენებლობის პროექტსა და მასში „იტერას" შესაძლო მონაწილეობის შესახებ. პროექტი ითვალისწინებს ხოფაში არსებული თბოელექტროსადგურისათვის წელიწადში დაახლოებით მილიარდი კუბური მეტრი გაზის მიწოდებას. ჯერჯერობით ცნობილი არ არის საქართველოს ტერიტორიის გაღმა თურქეთის ამ თბოელექტროსადგურისათვის გაზის კონკრეტული მიმწოდებელი. შესაძლოა, რომ მილსადენის მშენებლობას, რომელსაც ქართული მხარე განახორციელებს, გარკვეულწილად დააფინანსებს ღია სააქციო საზოგადოება „იტერა-ჰოლდინგი". პროექტის ცალკეული დეტალების განხილვა მხარეთა სამუშაო ჯგუფებში გაგრძელდება.

შეხვედრაზე განიხილეს ორმხრივი თანამშრომლობის განვითარების სხვა საკითხებიც.

ინფორმაციები მოგვაწოდეს საქინფორმმა და პრაიმ-ნიუსმა.

სამიტი

# „კორუფცია სცილდება ეროვნულ საზღვრებს, უშუალოდ უკავშირდება დანაშაულობათა აღიარებულ და ცნობილ ფინანსურ-ეკონომიკურ ფორმებს, რაც აუცილებელს ხდის ამ სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის გააქტიურებას"

ბატონო თავმჯდომარევ,
ქალბატონებო და ბატონებო!

ნება მიბოძეთ, გულითადად მოგესალმოთ საერთაშორისო სამიტის „ანტიკორუფცია-2000-ის" ორგანიზატორებს, მასპინძლებს, დელეგატებსა და სტუმრებს. მისასალმებელია, რომ ამ ფორუმში სახელმწიფო ფინანსების მართვის საერთაშორისო კონსორციუმთან, მსოფლიო ბანკთან, აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოსთან, განვითარების ინტერამერიკულ ბანკთან ერთად მონაწილეობს საქართველოს კონტროლის პალატა, რომელიც ჩვენს ქვეყანაში საფინანსო-ეკონომიკური კონტროლის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს და მის ქმედითუნარიანობაზე მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული ამ სენთან ბრძოლის ეფექტიანობა.

დღეს მსოფლიოში განსაკუთრებული სიმწვავით გამოირჩევა კორუფციის ზრდით გამოწვეული სირთულეები, რაც სერიოზულ საფრთხეს უქმნის სახელმწიფოთა პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტაბილურობას, დემოკრატიული ინსტიტუტების სიმტკიცესა და განვითარებას. კორუფცია სცილდება ეროვნულ საზღვრებს, უშუალოდ უკავშირდება დანაშაულობათა აღიარებულ და ცნობილ ფინანსურ-ეკონომიკურ ფორმებს, რაც აუცილებელს ხდის ამ სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის გააქტიურებას. უწინარეს ყოვლისა, ეს სასარგებლო იქნება აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებისათვის, რომლებიც დამოუკიდებელი განვითარების გზაზე დიდ სიძნელეებს აწყდებიან.

საქართველოს მთავრობამ 1997 წლის იანვრიდან განსაკუთრებით გააქტიურა ბრძოლა კორუფციასთან, რომელმაც ამ დროისათვის საკმაოდ მყარად გაიდგა ფესვები ხელისუფლების თითქმის ყველა ეშელონში, სამართალდამცავ თუ მაკონტროლებელ ორგანოებში და იგი სახელმწიფოს საფუძვლებს დაემუქრა. მინდა დაგარწმუნოთ, რომ ქვეყანაში დაწყებულია კორუფციის წინააღმდეგ გლობალური, ფართომასშტაბიანი ბრძოლა. ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების გარკვეული დონის მიღწევის მიუხედავად, კვლავ გადასაჭრელია მრავალი უმნიშვნელოვანესი პრობლემა. დასაძლევია ქვეყანაში ჩრდილოვანი ეკონომიკის მოცულობითი მასშტაბები; ჯერ კიდევ საბოლოოდ დასახვეწია საკანონმდებლო ბაზა და მისი აღსრულების სახელმწიფოებრივი მექანიზმი. სამწუხაროდ, ქვეყანამ ბოლომდე ვერ დააღწია თავი სოციალისტური ეკონომიკისათვის დამახასიათებელ ინსტიტუციონალურ მოწყობას, შესამჩნევია პროფესიონალი კადრების სიმწირე.

ამასთან, ჩემს ქვეყანაში დაგროვდა კორუფციასთან ბრძოლის გარკვეული გამოცდილება. ასევე, არსებობს კორუფციასთან ბრძოლის აპრობირებული მსოფლიო პრაქტიკა. კორუფცია ამა თუ იმ სახით თვით ეკონომიკურად განვითარებულ, ცივილიზებულ, დემოკრატიულ სახელმწიფოშიც კი არსებობს, მაგრამ არსებობს მათთან ბრძოლის ეფექტიანი მექანიზმები. ანტიკორუფციული პოლიტიკა გულისხმობს, როგორც კორუფციის შედეგების, ასევე მისი გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრას და იგი მხოლოდ საკადრო ცვლილებებითა და სადამსჯელო ღონისძიებებით არ უნდა შემოიფარგლოს. ჩვენ სწორედ ამის შესწავლასა და განხორციელებას ვაპირებთ. უაღრესად მნიშვნელოვანია ახალი სახის დახმარებები და თანადგომა უცხოური ქვეყნებიდან და საერთაშორისო ორგანიზაციებიდან. ჩვენ ამ მხარდაჭერას ყოველდღიურად ვგრძნობთ. 1998 წლის ივნისში მსოფლიო ბანკის დახმარებით თბილისში ჩატარდა ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი კონფერენცია, რომელიც მთლიანად მიეძღვნა კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლას. აღსანიშნავია, რომ აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტომ დამატებითი იმპულსი შესძინა ამ წამოწყებას.

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით შექმნილია ეროვნული ანტიკორუფციული პროგრამის შემმუშავებელი ავტორიტეტული ჯგუფი, რომელიც აერთიანებს უზენაესი სასამართლოსა და კონტროლის პალატის თავმჯდომარეებს, საქართველოს სახალხო დამცველსა და პარლამენტის იურიდიულ საკითხთა, კანონიერებისა და ადმინისტრაციული რეფორმების კომიტეტის თავმჯდომარეს და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს. ჯგუფი შეიმუშავებს ეროვნული ანტიკორუფციული პროგრამის განხორციელების პოლიტიკურ, ფინანსურ, ინსტიტუციონალურ, საკანონმდებლო და საკადრო უზრუნველყოფის სქემებს; გააანალიზებს და აუცილებლად გამოიყენებს საერთაშორისო სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების გამოცდილებას.

არ შეიძლება სიამოვნებით არ აღვნიშნოთ ჩვენს ქვეყანაში მოქმედი მეგობარი ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლობების აქტიური თანადგომა და მზადყოფნა ყოველმხრივი დახმარების გასაწევად.

ჩვენ, სამოქალაქო ომისა და კონფლიქტების პირობებში შევძელით სამართლებრივი, დემოკრატიული სახელმწიფოს აშენება, და მჯერა, რომ ჩემი ქვეყანა კორუფციას დაძლევს, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს საქართველოს შემდგომ ეკონომიკურ და სულიერ აღმავლობას.

დასასრულ, მინდა მოგილოცოთ კონგრესის გახსნა, ნაყოფიერი გარჯა და წარმატება გისურვოთ მის მესვეურთ და მონაწილეებს.

გულითადი გრძნობებით,
ედუარდ შევარდნაძე.

პარტიებსა და მოძრაობებში

# დანაპირებს შეასხენებენ

ამბობენ, მრეწველები და ტრადიციონალისტები პარლამენტში ახალი ფრაქციის შექმნას აპირებენო. აკაკი ასათიანი განმარტავს, ეს ეჭვი საფუძველს მოკლებულიაო. მისი თქმით, ტრადიციონალისტებსა და მრეწველებს შორის მხოლოდ ფრაქციათა კოალიციაზეა საუბარი და არა ახალი ფრაქციის შექმნაზე. ეს გამორიცხულია, — ამბობს ასათიანი, — მე ჩემს ფრაქციას არ დავშლი. ასეა თუ ისე, მრეწველებისა და ტრადიციონალისტების კავშირზე დღეს ბევრი ლაპარაკობს. მათი ურთიერთსიმპატიები აშკარაა, რაც, როგორც ჩანს, ბათუმურ ალიანსს მაინცდამაინც გულზე არ ეხატება.

ტრადიციონალიტებისა და მრეწველების ცალკე კოალიციის შექმნით შეიძლება ჩვენი ბლოკი გაურკვევლობაში მოექცეს, — შიშობს საპარლამენტო უმცირესობის ლიდერი ჯემალ გოგიტიძე. თუმცაო, აღნიშნავს, ასათიანს ამ გადაწყვეტილების შესახებ ბლოკის არცერთი სუბიექტისთვის ჯერ არაფერი უცნობებიაო. გოგიტიძეს, ალბათ, თავის დროზე ასათიანის განაცხადი ეიმედება: ასათიანი აკი აპროტესტებდა ალიანსის ფრაქციებად მრსალოდნელ დაშლას და ამბობდა, მე მხოლოდ ასლან აბაშიძის შემდეგ დავტოვებ ბლოკსო.

კოალიცია შეიქმნება თუ ფრაქცია, ამას მომავალი გვიჩვენებს. ყოველ შემთხვევაში, თუ ასათიანს დაავიწყდა, ალბათ, დანაპირებს შეახსენებენ. ჯერჯერობით კი ტრადიციონალისტთა ლიდერი ხმამაღლა აქებს მრეწველებს.

— ჩვენ და მრეწველებს ბევრი რამ გვაკავშირებს, ისინი მემარჯვენეები არიან, — აღნიშნავს იგი. მისი თქმით, საქმეს სწორედ მრეწველთა ტიპის ადამიანები უშველიან. საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შესახებ ჩვენც და მრეწველებმაც ცალ-ცალკე კანონპროექტი წარმოვადგინეთ. შეიძლებოდა შეჯერებული ვარიანტით გამოვსულიყავით, სამომავლოდ ასეც ვიზამთო, — გვპირდება ასათიანი. სამომავლო გეგმებიდან დანარჩენს რაც შეეხება, დელიკატურ საკითხად მიიჩნევს და ჯერჯერობით დუმილს ამჯობინებს.

მზია გელენავა.



# კორუფცია



[illegible]

## კონტროლის პალატა

[illegible] სამსახურიდან, რომ მათგანის საქმეს კი სერიოზულად ჩაუჯდა პროკურატურა.

ესეც შესამჩნევია: პრეზიდენტი ამ ბოლო დროს ერთობ ხშირად ავალებს კონტროლის პალატას ამა თუ იმ სფეროს შემოწმებას და ამას სჩადის დაჯერებული, რომ ეს შემოწმება იქნება ამომწურავი, მიუკერძოებელი და ვერავინ ვერ შეძლებს გაექცეს თავის წილ პასუხისმგებლობას.

[illegible] ამის წინსწრება გამოგვდის, მაგრამ, ალბათ, სწორედ ახლა სჯობს მისი ამ განმარტების მოტანა.

კონტროლის პალატას ერთი არასახარბიელო სპეციფიკა აქვს: ბიუჯეტის ხარჯვას მხოლოდ მას შემდეგ ამოწმებს, როცა უკვე გახარჯულია. ამრიგად, ის ოდენ დამკვირვებლის ფუნქციას ასრულებს, ანუ აფიქსირებს საბოლოო მდგომარეობას, უყაირათობას, ხარჯვის არამიზნობრიობას, ქმნის შესაბამის დოკუმენტს, მას გადასცემს „ზევით" და ამით პრობლემა ამოწურულად ითვლება. მერე კი ამ დოკუმენტებით სარგებლობს ყველა, გარდა საკუთრივ კონტროლის პალატისა – ჟურნალისტები, პარლამენტის თუ სხვა სტრუქტურების წარმომადგენლები. ვინ – ხელისუფლების, ვინ – ამა თუ იმ პიროვნების წინააღმდეგ, საკუთარი პოლიტიკური მიზნებისათვის. ჩვენი რეგიონული შეკრებები მიზნად ისახავს, მოვიცილოთ მხოლოდ დამკვირვებლის ფუნქცია ბიუჯეტის ხარჯვის მიმდინარეობის ავ-კარგზე. ამ საქმეში ჩავრთოთ ჩვენი კადრების ინტელექტუალური შესაძლებლობები, ჩვენივე შესწავლილი მასალით თვითონვე ჩავერთოთ საქმის გამოსწორებაში, რათა ქვეყანას გაუადვილდეს პრობლემათა გადაწყვეტა. ერთი სიტყვით, ჩვენ ვიშორებთ ფიქსატორის ფუნქციას და ვიმკვიდრებთ აქტიური დამკვირვებლისა და ქმედითი ანალიზატორის როლს, – ასე განმარტა სულხან მოლაშვილმა რეგიონული შეკრებების არსი და ნათელი მოჰფინა საკითხს.

მაგრამ ეს მოგვიანებით მოხდა, მანამდე კი მოისმინეს მცხეთა-მთიანეთის (გივი მერებაშვილი), სამცხე-ჯავახეთის (აკაკი ლეკიშვილი) და შიდა ქართლის (ზაზა ედიშერაშვილი) რეგიონული ბიუროების ხელმძღვანელთა მოხსენებები მხარეებში 2000 წლის სახელმწიფო და ტერიტორიული ბიუჯეტების შედგენა-შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

# ქარელელებს, თურმე, 4 გრამი პური ჰყოფნით

ᲒᲐᲛᲝᲘᲙᲕᲔᲗᲐ, რომ მხარეებში სახელმწიფო და ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების შედგენა-შესრულებაში საკმაო დარღვევა-ნაკლოვანებებია და ამას ხელს უწყობს როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური მიზეზები.

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაგვიანებით მიღების გამო (ამას ზოგიერთი სუბიექტური მიზეზიც ერთვოდა) ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების მიღება-დამტკიცება გაუმართლებლად გაჭიანურდა, რამაც უარყოფითად იმოქმედა სამივე მხარის საბიუჯეტო მოწყობაზე. პრაქტიკულად ოთხი-ექვსი თვის მანძილზე რაიონული გამგეობები, საფინანსო განყოფილებები და საგადასახადო ინსპექციები მიუღებელი ბიუჯეტების პირობებში მუშაობდნენ.

ადგილებზე ცუდად არის ურთიერთშეთანხმებული საგადასახადო, საფინანსო და სხვა სახელმწიფო ორგანოების საქმიანობა ბიუჯეტების როგორც საშემოსავლო, ისე გასავლის ნაწილის სრულყოფილად ჩამოყალიბების თვალსაზრისით.

გადასახადების ზოგიერთი გეგმური მაჩვენებელი არარეალურად დაბალია. შემოსავლების გაზრდის არსებული შესაძლებლობების ნაცვლად, ძირითადი ყურადღება გადატანილი აქეთ ცენტრალური ბიუჯეტიდან ტრანსფერების მოზიდვაზე, რის შედეგადაც სამივე მხარეში შემავალი თითქმის ყველა რაიონის ბიუჯეტი დეფიციტით დაიგეგმა.

შიდა ქართლის მხარეში წლევანდელი წლის 6 თვეში დეფიციტის მთლიანმა თანხამ 1405 ათასი ლარი, სამცხე-ჯავახეთის მხარეში – 2214 ლარი, ხოლო მცხეთა-მთიანეთში – 1372 ათასი ლარი შეადგინა.

რაიონების სახელმწიფო და ტერიტორიული ბიუჯეტების შედგენა-შესრულების, სახელმწიფო ფონდებში თანხების მობილიზაციის, პენსიებისა და დახმარებების გაცემის, საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მიზნობრივად და ეფექტიანად გამოყენებაში დაშვებულია სერიოზული დარღვევა-ნაკლოვანებები. ზოგ შემთხვევაში უკანონო ქმედებანიც კი, არ არსებობს საბიუჯეტო შემოსავლებისა და ხარჯების გაანალიზება-დაგეგმვის მწყობრი სისტემა. შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით არის საბიუჯეტო შემოსავლების კლების ტენდენცია. შიდა ქართლის მხარეში – 420 ათასი ლარით, სამცხე-ჯავახეთის მხარეში – 680 ათასი ლარით.

არც ერთ რაიონს ბიუჯეტის ადგილობრივი შემოსავლების გეგმიური მაჩვენებლები არ შეუსრულებია (ხაშურის, ახალგორისა და დუშეთის რაიონების გარდა).

ადგილებზე საგადასახადო ინსპექციები პრაქტიკულად არავითარ მიზანმიმართულ მუშაობას არ წარმოებს გადამხდელთა სრულყოფილად აღრიცხვის საბიუჯეტო თანხების სწორი და დროული დარიცხვა-ამოღების, ნარჩენი დავალიანებების შემცირების და გადასახადებთან დაკავშირებული სხვა მნიშვნელოვანი საკითხების გადასაწყვეტად.

რაიონებში ჯერ კიდევ მრავლადაა კერძო საწარმოები, ფირმები და ფიზიკური პირები, რომლებიც საერთოდ არ იხდიან დღგ-ს.

სტატისტიკური მონაცემებით, დასაქმებულთა რაოდენობა გორის რაიონში უფრო მეტია, ვიდრე ხაშურის რაიონში, მაშინ, როდესაც საშემოსავლო გადასახადის ამოღება ხაშურის რაიონში თითქმის 2-ჯერ აღემატება გორის რაიონისას. ასევე, ახალგორის რაიონში დასაქმებულთა რაოდენობა 2-ჯერ მეტია, ვიდრე ყაზბეგში, საშემოსავლო გადასახადის ამოღება კი ყაზბეგის რაიონში 2-ჯერ აღემატება ახალგორისას.

ბიუჯეტების შემოსავლების უდიდესი რეზერვია მოგების გადასახადის სრული დარიცხვა და ამოღება. ყოველგვარ ლოგიკას მოკლებულია, რომ მხარეებში მოქმედი საწარმოებისა და ორგანიზაციების ოთხი მეხუთედი წამგებიანი იყოს. ამასთან, გადამხდელთა უმეტესობას მოგების გადასახადის სახით დარიცხული აქვს ძალზე მცირე თანხები – 10-დან 200 ლარამდე, რაც იმაზე მიუთითებს, რომ გადასახადების დიდი ნაწილი დამალულია.

მხარეებში ცუდი მდგომარეობაა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობების იჯარით მიმაგრებისა და მათი აღრიცხვიანობის მხრივ. ამის შედეგად არასწორად ხდება გადასახადების დარიცხვა, სამცხე-ჯავახეთის მხარეში დიდი ოდენობითაა დარჩენილი იჯარით გაუცემელი მიწის ფართობები, – 164683 ჰა, ანუ მთლიანი ფართობის 44 პროცენტი. ამის გამო რაიონებში არ გაიწერა 889 ათასი ლარი.

მხარეების პურის ცხობის ობიექტებიდან მიღებული შემოსავლები აშკარად შემცირებულია და რეალურად არ ასახავს ფაქტობრივ მდგომარეობას. სტატისტიკური მონაცემებით გორის ზონაში ერთ სულ მოსახლეზე დღეში საშუალოდ 230 გრამი პურის წარმოებაა ნაჩვენები, ქარელში მხოლოდ – 4,3, ხაშურში – 109, კასპში – 102 გრამის. ქალაქ ახალციხეში 6 თვეში წარმოებულია 132 ტონა პური, რაც ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით მხოლოდ 36 გრამს შეადგენს, ახალქალაქში ეს მაჩვენებელი 26 გრამის, ბორჯომში 25 გრამის ტოლია.

**ᲡᲢᲐᲢᲘᲡᲢᲘᲙᲣᲠᲘ მონაცემებით გორის ზონაში ერთ სულ მოსახლეზე დღეში საშუალოდ 230 გრამი პურის წარმოებაა ნაჩვენები, ქარელში მხოლოდ — 4,3, ხაშურში — 109, კასპში — 102 გრამის. ქალაქ ახალციხეში 6 თვეში წარმოებულია 132 ტონა პური, რაც ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით მხოლოდ 36 გრამს შეადგენს, ახალქალაქში ეს მაჩვენებელი 26 გრამის, ბორჯომში 25 გრამის ტოლია.**

უმნიშვნელოა შემოსავლები ნავთობპროდუქტების რეალიზაციიდან. მაგალითად, ქარელის რაიონში მაისში რეალიზებულადაა ნაჩვენები 9000 ლიტრი ბენზინი, ე.ი. დღეში საშუალოდ 290 ლიტრი, რაც აშკარად ბლეფია. საბაჟო და საგადასახადო სამსახურებს შორის დამყარებული არ არის საჭირო კავშირი, ბევრი იმპორტიორი წლების მანძილზე დაუბეგრავად საქმიანობს, რის გამოც ბიუჯეტებს სოლიდური თანხები აკლდებათ. ნინოწმინდის საგადასახადო ინსპექციაში საბაჟო ტვირთების იმპორტირების შესახებ ინფორმაცია ურეაგირებოდ იყო დატოვებული. კერძოდ, 1999 წლის სექტემბერსა და ნოემბერში ნინოწმინდის რაიონის სოფელ სამებაში მცხოვრებმა ც. ნათენაძემ საბაჟო „ნინოწმინდაში" განაბაჟა 20 ტონა შამპუნი და 19 ტონა კოსმეტიკური საშუალებები და მასტიკა, ერთი კილოგრამი ტვირთი განბაჟებულია შესაბამისად, 43 და 52 თეთრად. ც. ნათენაძეს ამ ტვირთებზე დეკლარაცია საგადასახადო ინსპექციაში არ წარუდგენია: ტვირთი... ფაქტობრივად, ეკუთვნოდა საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომელს ი. ჯღარკავას. ქვეყანაში საბიუჯეტო კრიზისის ერთ-ერთი უმთავრესი გამომწვევი მიზეზის – კონტრაბანდის მომძლავრების პირობებში საგადასახადო სამსახურების საქმიანობა უაქციზო სიგარეტის, სპირტიანი სასმელებისა და ნავთობპროდუქტების შემოტანა-რეალიზაციის აღსაკვეთად, მხოლოდ კამპანიური ხასიათისაა და სიტუაციის გამოსწორებას ვერ უზრუნველყოფს. გორის „ტრანსტერმინალში" შეყვანილი 43,6 ტონა დიზელის საწვავით დატვირთული „კამაზის" მარკის ორი ავტომანქანა საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის მოკელეების სამმართველოს წერილის საფუძველზე განუბაჟებლად გაუშვეს, აქაოდა, საწვავი სამაჩაბლოს სოფელ აჩაბეთში არსებულ მშს „ვიზოილის" ნავთობბაზამია შეძენილი, და ამდენად, ეს შიდა გადაზიდვააო. შემოწმებით კი დადასტურდა ყალბი დოკუმენტების შექმნის გზით საწვავის დაუბეგრავად გაშვების ფაქტი.

ახალქალაქისა და ნინოწმინდის რაიონებში სიგარეტებისა და ალკოჰოლური სასმელების უდიდესი ნაწილი, საქართველოს აქციზური მარკების გარეშე იყიდება, რაც კონტრაბანდად უნდა ჩაითვალოს. ყოველივე ეს შესაბამისი მაკონტროლებელი სამსახურების უსუსურობაზე მიგვანიშნებს. ხარჯების დაუფინანსებლობის შედეგად მხარეებში გაიზარდა საბიუჯეტო ორგანიზაციების თანამშრომლებზე გაუცემელი ხელფასების მოცულობა (განსაკუთრებით დიდი ხვედრითი წილი პედაგოგთა ხელფასებზე მოდის). შიდა ქართლის მხარეში ხელფასებზე ბიუჯეტის დავალიანებამ 2457 ათასი ლარი შეადგინა და წლის დასაწყისიდან 41 პროცენტით გაიზარდა, სამცხე-ჯავახეთში – 3987 ათასი (50,5 პროცენტი), ხოლო მცხეთა-მთიანეთში 1224 (36 პროცენტი) ლარი...

**ᲡᲮᲓᲝᲛᲐᲛ არადამაკმაყოფილებლად შეაფასა 2000 წელს ბიუჯეტის შედგენა-შესრულების მიმართულებით გაწეული მუშაობა ქარელის, ახალციხის, ადიგენის, ბორჯომის, ახალგორის, თიანეთისა და ყაზბეგის რაიონებში (გამგებლები: თ. რაზმაძე, რ. გიქოშვილი, ა. ამბარცუმიანი, ი. პაქსაძე, ე. ასპანიძე, ნ. თინიკაშვილი, პ. ქისტაური, გ. ქირიკაშვილი), ხოლო არასაკმარისად – გორის, ნინოწმინდის, ასპინძის, ხაშურის, კასპის, მცხეთისა და დუშეთის რაიონებში (გამგებლები: გ. კაიდარაშვილი, რ. არზუმანიანი, ი. ხუციშვილი, ვ. ჯაფარაშვილი, გ. ქერივიშვილი, ა. კალანდაძე, ნ. ოდიშვილი), არადამაკმაყოფილებლად მიიჩნიეს ამ მხრივ, გორის, კასპის, ახალგორის, თიანეთისა და ყაზბეგის საგადასახადო ინსპექციების მიერ გაწეული საქმიანობა (ინსპექციათა უფროსები: ბ. გამგებელი, გ. გოგიაშვილი, ნ. ოდიშვილი, ბ. დოჭურიშვილი, ზ. ავსაჯანიშვილი).**

სიტყვით გამოსულმა მცხეთა-მთიანეთისა და შიდა ქართლის გუბერნატორებმა კობა ბეზუკურმა და ირაკლი ბოჭორიძემ მკაცრად გაილაშქრეს მსხვილი გადამხდელების თავიანთი რაიონებიდან ჩამოშორებისა და ცალკე – მსხვილ გადამხდელთა ინსპექციაში თავმოყრის წინააღმდეგ: ამ პრაქტიკამ ადგილობრივი ბიუჯეტები გააჩანაგაო და მათი „მშობლიურ ბუდეებში" დაბრუნება მოითხოვეს. თუკი რომელიმე ორგანიზაციას რაიმე მეტნაკლებად ღირებულის გადახდა შეუძლია, იგი რაიონისათვის დაკარგულია, მისგან არავითარი სარგებელი არა აქვსო. ამის შედეგია ის, რომ, მაგალითად, წლეულს სწავლა არ დაწყებულა თიანეთის სკოლებში – მიუღებელი ხელფასის გამო 350 მასწავლებელი გაფიცულია. არადა, სულ 10 ათას ლარზეა ლაპარაკი.

მწვავედ გააკრიტიკეს, აგრეთვე, დაბეგვრის არსებული ფორმა, როცა საგადასახადო ერთს გეგმავს, ფინანსთა სამინისტრო კი – მეორეს. თუმცა, არსებობს საკანონმდებლო ბაზა, მაგრამ ამ ბაზას სწორედ ისინი უგულებელყოფენ, ვინც მას უნდა იცავდნენ. ადგილობრივი ბიუჯეტი, რომელსაც რაიონის საკრებულო იღებს, ფაქტობრივად, იურიდიულ დოკუმენტს არ წარმოადგენს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროსათვის, საგადასახადო შემოსავლების თუ ფინანსთა სამინისტროები ნებისმიერ ჩინოვნიკს შეუძლია რაიონული საკრებულოს გადაწყვეტილების შეცვლაო.

გუბერნატორებმა მხარი დაუჭირეს კონტროლის პალატის რეფორმებს.

ერთობ საინტერესო იყო ბატონ სულხან მოლაშვილის გამოსვლა. მან თავისი სამსახურის ძირითადი და ახალი მიმართულებები, აქ მიმდინარე რეორგანიზაციის არსი გააცნო შეკრებილთ. რეგიონული ბიუროები, – თქვა მან, – გაერთიანდება და გამსხვილდება, რაც, ბუნებრივია, მათი რაოდენობის შემცირებას გამოიწვევს (ამჟამად ასეთი 13-ია), დღეს რეგიონული ბიუროების მოქმედების ტერიტორია ემთხვევა სამხარეო ადმინისტრაციების ტერიტორიას, რაც არასწორად მიმაჩნია, მათი მოქმედების არეალი ბევრად უნდა გაფართოვდეს, რათა ისინი გათავისუფლდნენ სამხარეო ადმინისტრაციის აპეკუნობისა თუ ზეწოლისაგან, განმარტა მან.

კონტროლის პალატა სერიოზულ განაცხადს აკეთებს.

ეს უთუოდ ყურად უნდა იღონ მათ, ვისთვისაც რეკავს ზარი...

**ალეკო ასლანიშვილი, ბონდო მძინარაშვილი.**

## პროკურატურა

ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ პროკურატურამ წარმოებით დაამთავრა კორუფციული ხასიათის სისხლის სამართლის საქმე საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს რუსთავის საქალაქო სამსახურის თანამშრომლების გ. ჩიქოვანის, მ. ხურცილავას, მ. გოგსაძის და სხვათა მიმართ დევნილთა მოწმობების გაყალბების გზით სხვისი ქონების, დევნილთათვის განკუთვნილი ფულადი დახმარების თანხების დიდი ოდენობით გატაცების ფაქტზე. ამ პირებმა თავიანთი სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით, თაღლითობით, ცრუ დოკუმენტების შექმნით, ოფიციალურ საბუთებში სიყალბის შეტანით, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში კანონის მოთხოვნათა უხეში დარღვევით შეძლეს მოგონილი 99 პირის ანკეტირება და მათ სახელზე დევნილთა მოწმობების მიღება.

1996-99 წლებში ყალბი მინდობილობებით საბანკო დაწესებულებებიდან გამოტანილი და მითვისებულია 28.885 ლარი. გამოძიების პროცესში სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემულია 19 პირი, ბიუჯეტის სასარგებლოდ ამოღებულია 6745 ლარი. საბრალდებო დასკვნა თითქმის 150 გვერდია. ამიტომაც ჩვენ აქ ვერ შევუდგებით 19-ივე პირის „ნამოღვაწარის" აღწერას. ყველა მათგანი მოქმედებდა სწორხაზოვანი, პრიმიტიული მექანიზმით. საკმარისია, მარტოოდენ გიორგი ჩიქოვანის მაქინაციების გამოქვეყნება, რათა ნათელი წარმოდგენა შეგვექმნას სხვათა დანაშაულებრივ ქმედებებზეც.

ამაზე კი გვესაუბრება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსი ᲡᲝᲡᲝ ᲨᲐᲪᲐᲪᲘᲐ.

# ასეთი ლუკმა ძნელი გადასაყლაპავია

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲩᲘᲥᲝᲕᲐᲜᲘ 1995 წლიდან მუშაობდა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს რუსთავის საქალაქო სამსახურში. მას ევალებოდა შტაბის საწყობში შემოსული დახმარების ზუსტი აღრიცხვა. აქედან გამომდინარე, ითვლებოდა მოხელესთან გათანაბრებულ პირად. 1996 წლის ბოლოს იგი დანაშაულებრივად დაუკავშირდა გუდაუთის რაიონის გამგებლის პირველ მოადგილეს, აწ გარდაცვლილ გიორგი რეხვიაშვილს, სთხოვა დევნილთა სტატუსით რეგისტრაციაში გაეტარებინა მის მიერ მოგონილი არარსებული პირები და გადასცა 40 კაცის სია შესაბამისი დემოგრაფიული მონაცემებით. რეხვიაშვილიც დათანხმდა, ისარგებლა გაგრის მერიის, სოხუმისა და ოჩამჩირის რაიონების გამგეობების პასუხისმგებელი პირების დაუდევრობით და შესაბამისი რაიონების მაცხოვრებლებად რეგისტრაციაში გაატარა ჩიქოვანის მიერ მოგონილი პირები, რომელთაც მიენიჭათ სარეგისტრაციო ნომრები: 290, 291, 505, 506, 507, 508, 509... ამის შემდეგ რეხვიაშვილი დანაშაულებრივად დაუკავშირდა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს წამყვან სპეციალისტს ლევან ხვედელიძეს. მანაც, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებით, ანკეტირება-რეგისტრაციაში გაატარა ეს არარსებული პირები და მიანიჭა საოჯახო ნომრები: 01100, 01120, 01130, 01131, 01136, 01137... ჩიქოვანმა რეხვიაშვილისაგან მიიღო კიდეც დევნილთა ყალბი მოწმობები.

გიორგი ჩიქოვანმა 1998 წლის ბოლოს კვლავ მიაკითხა ლევან ხვედელიძეს და მკვდარ სულებს კიდევ მიუმატა 10 პირი. ანკეტირება-რეგისტრაციაში გატარებისათვის მას გადასცა დემოგრაფიული მონაცემებიც და, ქრთამის სახით, 100 ლარიც. მერე გაჩნდა ახალი საოჯახო ნომრებიც: 01270, 01277, 01281 და დევნილთა ყალბი მოწმობებიც.

ჩიქოვანი ბოროტად სარგებლობდა თავისი სამსახურებრივი უფლებამოსილებით, აგრეთვე, საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს რუსთავის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელთა დაუდევრობით და 1998-2000 წლებში მოგონილ პირებზე „ხვეჭდა" დევნილთა ყალბ მოწმობებს, მათ საფუძველზე კი, – სახელმწიფო სახსრებს. სულ სამსახურებრივი სიყალბით, უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებით, თაღლითობით, ჩიქოვანმა მიითვისა 9.370 ლარი.

მაინც, რა გზებით ითვისებდა ამ თანხებს?

1997 წლის 15 მაისს საოჯახო ანკეტა № 01137-ში ჩაწერილ არარსებულ პირებზე (პარმენ ცაავა, ვალტერ ცაავა, ირა ცაავა, ზაირა ნაჭყებია, ლუბა ზაქარაია) „გადასაცემად" გაერთიანებული ქართული ბანკის რუსთავის რეგიონულ ფილიალში კონტროლიორმა კურტანიძემ და მოლარე დიასამიძემ, მინდობილობის გარეშე, ჩიქოვანს პირადად ჩაუთვალეს დევნილთათვის განკუთვნილი ყოველთვიური დახმარების თანხა, – 102 ლარი...

1998 წლის 11 თებერვალს საოჯახო ანკეტა № 01118-ში ჩაწერილ არარსებულ პირებზე (თოლორდავა მაყვალა, თოლორდავა ციური, თოლორდავა ნუგზარ, თოლორდავა თამარ, თოლორდავა ირმა, თოლორდავა დალი) გადასაცემად იმავე გაერთიანებული ქართული ბანკის რუსთავის რეგიონულ ფილიალში, ამჯერად უკვე ნოტარიუს ნ. ფარცვანიას მიერ დამოწმებული მინდობილობის საფუძველზე, რწმუნებულ კ. ჭოლარიას მისცეს 120 ლარი, რომელიც მან ჩიქოვანს აახლა.

და ეს მეორდებოდა ყოველთვიურად, ყოველწლიურად, ვიდრე სამართალდამცველებმა მათ საქმიანობას ფარდა არ ახადეს...

**მკვდარი სულების მოგონება, მათზე ხელის მოთბობა არც გიორგი ჩიქოვანის იდეაა და არც მისი თანამზრახველებისა, მაგრამ მაინც ჭირს ლაპარაკი ამისთანა უმსგავსო ფაქტზე. ამ სისხლის სამართლის საქმის ბევრი „გმირი" დევნილია. ვიცით, უჭირთ ცხოვრება, ყოველდღიური ყოფა, მაგრამ არ ვიცი, მწეობის, უბრალოდ, ადამიანობის რა ჩარჩოებში ეტევა ახალ-ახალ „ლტოლვილთა" ნაკადის ხელოვნურად შექმნა და მათ ხარჯზე საკუთარი კეთილდღეობის გაუმჯობესება.**

**ასეთი ლუკმა მაინც ძნელი გადასაყლაპავია.**

**ᲑᲝᲜᲓᲝ ᲒᲣᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ.**

## ფაქტი

### 30 მოქალაქეს ყალბი მოწმობა დაუმზადეს

ᲙᲝᲠᲣᲤᲪᲘᲐᲡᲗᲐᲜ და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის იმერეთის შინაგან საქმეთა განყოფილების მუშაკებმა ამხილეს ინვალიდთა ლიგის ქუთაისის განყოფილების უფროსი ნატო ყიფიანი და მისი თანამშრომლები – თინათინ ჭელიძე, თამილა ჭანკოტაძე და ანა ქავთარაძე.

მათ 30 მოქალაქეს დაუმზადეს პირველი ჯგუფის ინვალიდის ყალბი მოწმობები და თანხების მისაღებად შეიყვანეს კომპიუტერულ სიებში.

თინათინ ჭელიძემ სამ მოქალაქეს – ლევან დვალს, ლალი გობეჯიშვილსა და ლალი მოწონელიძეს, ვითომ „უფროსებისათვის" გადასაცემად, ქრთამის სახით, თითოეულს 80–80 ლარი გამოართვა.

ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘ.

## დატაცება

### მითვისებულია მილიონამდე ლარი

ᲒᲐᲠᲓᲐᲑᲐᲜᲘᲡ რაიონის პოლიცია მშს „წინუბანში" (ყოფილი „ნორიოს მეფრინველეობის ფაბრიკა") სახელმწიფო ქონების დიდი ოდენობით დატაცების ფაქტს იძიებს: ახლახანს ჩატარებული ინვენტარიზაციისას იქ 947 ათასი ლარის სახელმწიფო ქონების დატაცების ფაქტი გამოვლინდა.

ᲞᲠᲐᲘᲛ-ᲜᲘᲣᲡᲘ.

## ჩვენ და ბუნება

# ესეც იწვევს კორუფციას

ᲡᲣᲚ ორიოდე ათეული წლის წინათ, ვიდრე ამ ბოლო დრომდე, სატყეო-სამეურნეო ფაკულტეტზე, როგორც სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ერთ-ერთ პრესტიჟულ სპეციალობაზე, მოსახვედრად დიდი კონკურსი იყო – ერთ ადგილზე 5-6 აბიტურიენტი მოდიოდა. წლეულს კი ამ სპეციალობაზე მხოლოდ 12 აბიტურიენტი ჩაირიცხა და ისიც, ფაქტობრივად, უკონკურსოდ.

ეს, თითქოს, გასაკვირი უნდა იყოს, რადგან დღეს პრესაც და ტელევიზიაც ერთსულოვნად აცხადებს, რომ მეტყევის სპეციალობა სარფიანია, თუ ასეა, რად გაურბიან ახალგაზრდები ამ პროფესიას?

იმად, რომ მეტყევეთა შვილები, ახალგაზრდობა ხედავენ, თუ რა დღეში არიან მათი მეტყევე მშობლები, ახლობლები, ნაცნობები, როგორ დაუნდობლად ექცევიან მათ, ხედავენ, რომ ხშირია მეტყევეთა ცემის, დაჭრის და სიცოცხლის ხელყოფის ფაქტებიც კი. ხედავენ იმასაც, თუ როგორ უსაფუძვლოდ ადანაშაულებენ უხელფასო, უიარაღო, უფორმო, უტრანსპორტო, აბსოლუტურად დაუცველ სატყეო დარგის მუშაკებს... ამიტომაც არ სურთ ამ დარგში მუშაობა.

ამ ახალგაზრდობის თითქმის 95 პროცენტი სოფლელია და საკუთარი თვალით ხედავს, როგორ არის ტყე მესეული დიდი და პატარა (აღარ ვაკონკრეტებ თანამდებობებს), რაიონის ყველა სტუმარი და შემმოწმებელი ტყის გასასტუმრებელია, ტყეს კი უჭირს.

ამას ემატება კვალიფიკაციისა და გადამზადების კურსების უქონლობა (დაუფინანსებლობის გამო). ამიტომაც თითქმის ყველა რაიონში გვაკლია სპეციალისტები, რეზერვზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. აღსანიშნავია ისიც, რომ თუ მეტყევე იმ რაიონის მკვიდრი არ არის, მას არც რაიონი ღებულობს და არც არავინ არის იქ სამუშაოდ წასვლის მსურველი, რადგან კაცს, რომელსაც არ აძლევენ ხელფასს, რაიონში არ არის სასტუმრო, იაფიანი სასადილო და ასე შემდეგ, გამოდის, რომ უშვებ პირდაპირ საქურდლად, რათა თავი ირჩინოს. აი, სად არის კორუფციის ერთ-ერთი სათავე.

როცა სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტს მეორე წელია არ მიუღია მივლინების, ტრანსპორტის შენახვის, საწვავის, საკანცელარიო ინვენტარის და სხვა თანხები, როცა გადაუხდელობის გამო მეორე წელია გათიშულია ყველა ტელეფონი, სინათლე, აჭედილია ყველა საპირფარეშო, (უწყლობის გამო, დაავადების გაჩენის შიშით), როცა ასეთ გაუსაძლის პირობებში იმყოფება ერთ-ერთი უნიკალური და სასიცოცხლო დარგი – ტყე, რომელსაც უკავია რესპუბლიკის მთლიანი ტერიტორიის თითქმის 40 პროცენტი, როცა ასეთ პირობებში წელიწადში მოდის დაახლოებით 1000 შემმოწმებელი და „კეთილისმსურველი", მეტყევეებს მოსთხოვო ტყეებში ნორმალური მდგომარეობის შენარჩუნება, რბილად რომ ვთქვათ, ძნელია, თუ შეუძლებელი არა. აი, რაზე უნდა იფიქროს მთავრობამ და, უწინარესად, ფინანსთა სამინისტრომ, რომელმაც ეს დარგი გასაწირად გაიმეტა.

თუ ნაწილობრივ მაინც გამოსწორდება აღნიშნული მდგომარეობა, თუ ყველა რაიონში განხორციელდება გადაუდებელი ღონისძიებანი, ტყიდან სასწრაფოდ გამოვა უნებართვო, უნომრო ტექნიკა, რაც მხოლოდ დანაშაულის წყაროა, თუ მთავრობა დაავალებს გამგეობებს და თვითონ დააწესებს კონტროლს სახერხების ხელახალ რეგისტრაციაზე, რათა რესპუბლიკაში ამჟამად არსებული დაახლოებით 800 სახერხიდან დარჩეს მაქსიმუმ 200, თუ ტყეს ყველა მიუდგება ისე, როგორც გადამრჩენელს, მდგომარეობის გამოსწორება შეიძლება. სხვაგვარად კი, დღესვე რომ გადადგეს მეტყევეთა მთლიანი შემადგენლობა, ტყეს არაფერი ეშველება.

ყველამ საკუთარ გულში ჩავიხედოთ და ღვიძლი შვილივით გავუფრთხილდეთ ტყეს!

ეს აუცილებელია, მაგრამ გავაკეთებთ კი?

**ᲯᲘᲛᲘ ᲩᲐᲠᲙᲕᲘᲐᲜᲘ,**
**საქართველოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე.**

## პოლიცია

# არარსებული „ბუჩქნარიდან" გაკეთებული 144 ათასი...

ᲓᲘᲓᲘ ოდენობით სახელმწიფო ფულის მითვისების აფიორა გათამაშდა ქვემო ქართლში, კერძოდ, მარნეულის რაიონში. მისი ავტორია რაიონის მიწის მართვის სამმართველოს ყოფილი უფროსი თემურ ლაგურაშვილი. მას 144.400 ლარის მითვისება და გაფლანგვა ედება ბრალად, 16 სექტემბერს კრწანისი-მთაწმინდის რაიონულმა სასამართლომ აღმკვეთ ღონისძიებად წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.

**აფიორა კი ასე დაიწყო:**

1997 წლის ივლისში ქვემო ქართლის მიწის მართვის სამმართველოს წერილით მიმართა საქართველოს სახელმწიფო მიწის მართვის დეპარტამენტს, მარნეულის რაიონის მიწის მართვის სამმართველოსთვის გამოეყო 463.730 ლარი. სოფელ თაზაქენდის ტერიტორიაზე 70 ჰექტარი ქვით, ბუჩქნარითა და ჭაობით დაფარული ფართობის ათვისებისათვის, ხოლო სოფელ ყიზილაჯლოს ტერიტორიაზე 15 ჰექტარი ასეთივე ფართობის ათვისებისათვის – 188.560 ლარი.

წერილში აღნიშნული იყო, რომ თუ ეს თანხები რაიონის მიწის მართვის სამმართველოს გადაერიცხებოდა ყოველგვარი შეფერხების გარეშე, მოხდებოდა ზემოთ დასახელებული ფართობების, ქვა-ღორღისაგან გაწმენდა, ბუჩქების ამოძირკვა, საწრეტი არხების გაყვანა, ნიადაგის ღრმა მოხვნა და უკვე შემოდგომისათვის ხორბლის დასათესად რაიონი მიიღებდა მაღალნაყოფიერ, სარწყავ-სახნავ ფართობს.

მიუხედავად იმისა, რომ წინადადება ფრიად მიმზიდველად გამოიყურებოდა, მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარემ ზურაბ გეგეჭკორმა მას უარყოფითი რეზოლუცია დაადო თანხების უქონლობის გამო.

ეს მოხდა ივლისში, მაგრამ მიუხედავად სახელმწიფო დეპარტამენტის უარისა, მარნეულის რაიონის მიწის მართვის სამმართველოს უფროსმა თემურ ლაგურაშვილმა იმავე წლის სექტემბერში წერილობით მიმართა, ამჯერად უკვე ქვემო ქართლის მიწის მართვის სამმართველოს, ახალი მიწების ათვისებისათვის მისთვის გამოეყოთ 750 000 ლარი, ხოლო სამელიორაციო სამუშაოების შესასრულებლად – 300 000 ლარი.

და აი, ივლისში ნათქვამი უარის მიუხედავად, უკვე სექტემბერში, სახელმწიფო მიწის მართვის დეპარტამენტიდან მარნეულის რაიონის მიწის მართვის სამმართველოს გადაურიცხეს 188 ათასი ლარი, სოფელ ყიზილაჯლოს ტერიტორიაზე 15 ჰექტარი ბუჩქნარით დაფარული, დაჭაობებული მიწის ფართობის ასათვისებლად. ამ გადარიცხვას ზურგს უმაგრებდა სახელმწიფო მიწის მართვის დეპარტამენტის საპროექტო ინსტიტუტ „სახმიწაპროექტში" შედგენილი პროექტი და შესასრულებელი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა – გადარიცხული 188 ათასი ლარის ფარგლებში.

წესით, სახელმწიფოს ხაზით ყოველგვარი დიდი მოცულობის სამუშაოს შესრულებისათვის ტარდება ტენდერი, უპირატესობა ეძლევა იმ უწყებას ან ორგანიზაციას, ვისაც აქვს სათანადო ტექნიკა და გამოცდილება, ჰყავს სპეციალისტები ამ სამუშაოს შესასრულებლად.

მარნეულში არავითარი ტენდერი არ ჩატარებულა. სახსრები გამოეყო მიწის მართვის რაიონულ სამმართველოს, რომელსაც არც სათანადო ტექნიკა ჰქონდა და არც მუშახელი ჰყავდა. თუმცა, ამას სახსრების „ათვისებაში" სრულიადაც არ შეუშლია ხელი თემურ ლაგურაშვილისათვის.

მან დაავალა სამმართველოს მთავარ ბუღალტერს მევლუდ მამარდაშვილს შეედგინა შრომითი ხელშეკრულებები სამ პიროვნებასთან, რომლებსაც საკუთარი ტექნიკით უნდა შეესრულებინათ მიწის სამუშაოები.

მაგალითად, სოფელ კასუმლოში მცხოვრებ რამიდ ალახიაროვთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში აღნიშნულია, რომ მან 1997 წლის 1 აგვისტოდან 1 სექტემბრამდე (ე. ი. სამმართველოში ფულის გადმორიცხვამდე) 15 ჰექტარზე მოახდინა 3.750 კუბური მეტრი ქვის შეგროვება და გატანა, რამიც მიღებულად ჩაუთვალეს 23.868 ლარი და ხელფასი 5.228 ლარი. ასეთივე ხელშეკრულების საფუძველზე მეორე მექანიზატორმა სეიგან ასკეროვმა ასეთივე სამუშაოების შესრულებისათვის მიიღო 30 000 ლარი, ხოლო ვინმე აზატ ალიევმა – 482 ლარი.

შედგა შესრულებულ სამუშაოთა მიღება-ჩაბარების აქტებიც, ბანკიდან გამოტანილი ფულის გაცემის უწყისებიც... ამ საბუთების მიხედვით, მარტო რამიდ ალახიაროვს მიღებული აქვს 71.083 ლარი, მაგრამ...

მსს კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს ინსპექტორებმა თამაზ სურგულაძემ, თამაზ ნინოშვილმა, მამუკა მსხილაძემ, მსს საგამოძიებო დეპარტამენტის განყოფილების უფროსმა გიორგი ბუძიშვილმა და გამომძიებელმა გიორგი ასამელმა გაარკვიეს, რომ ყველაფერი ეს წარმოადგენდა მარნეულის რაიონის მიწის მართვის სამმართველოს უფროსის თემურ ლაგურაშვილის მიერ ორგანიზებულ ბლეფს.

რამიდ ალიახაროვმა, აზატ ალიევმა და სეიგან ასკეროვმა სამართალდამცველებს განუცხადეს, რომ მათთან არავის გაუფორმებია შრომითი ხელშეკრულება, არ შეუსრულებიათ არავითარი სამუშაო და საერთოდ თვალითაც არ უნახავთ ყიზილაჯლოს ქვა-ღორღითა და ბუჩქნარით დაფარული მიწის ფართობები და, რაც მთავარია, არ მიუღიათ არავითარი ფული.

შესრულებული სამუშაოების ანაზღაურების სახით 8.847 ლარის მიღების ფაქტი უარყვეს სხვა პირებმაც, რომელთა სახელზეც ასევე გამოწერილი იყო ყალბი უწყისები.

მთელი ეს თანხა – 144.400 ლარი გაფლანგული და მითვისებული აქვს თემურ ლაგურაშვილს. გამოძიება და სასამართლო დაადგენს, ეს ფული მთლიანად მან მიითვისა თუ „სხვასაც გაუყო" გაწეული დახმარებისათვის (დეპარტამენტიდან გადარიცხული 188 ათასი ლარიდან 43.600 ლარი დარჩა ბანკს მომსახურებისათვის).

სამართალდამცველებმა, ბუნებრივია, მოინახულეს სოფელ ყიზილაჯლოს ის „ქვა-ღორღიანი, ბუჩქნარითა და ჭაობით დაფარული" ფართობები, რომელთა ასათვისებლად სახელმწიფო სახსრებიდან 188 ათასი ლარი იქნა გამოყოფილი. ინახულეს და, ჰოი, საოცრებავ...

მიწები, რომელსაც თ. ლაგურაშვილი ბუჩქნარითა და ქვაღორღით დაფარულად ასაღებდა, მშვენიერი სახნავ-სათესი ფართობები იყო ოდითგანვე, ყიზილაჯლოს მეკარტოფილეობის საბჭოთა მეურნეობის ნიადაგების რუკაზეც, რომელიც 1987 წელს არის შედგენილი, ეს მიწები აღნიშნულია, როგორც სახნავ-სათესი, სარწყავი სავარგული.

უფრო მეტიც, ამ ფართობს 1996 წლიდან იჯარით ამუშავებს ყიზილაჯლოს მკვიდრი ალი ალექფეროვი, რომელიც მრავალი წლის მანძილზე იყო ამ მეურნეობის დირექტორი და არ ახსოვს ამ საუკეთესო სახნავ-სათესზე ოდესმე თუ იყო ბუჩქნარი. და კიდევ ერთი კურიოზი: 1996 წელს, როცა ალი ალეკფეროვმა ამ ფართობის იჯარით აღების რეგისტრაცია მოახდინა მარნეულის რაიონის მიწის მართვის სამმართველოში, მასზე ხელი მოაწერა სამმართველოს ამჟამინდელმა ბუღალტერმა, იმ ხანად კი სამმართველოს უფროსის მოადგილემ მევლუდ მამარდაშვილმა – „ქვა-ღორღით და ბუჩქნარით დაფარული მიწების „ათვისების" ერთ-ერთმა ორგანიზატორმა.

**ᲕᲐᲚᲔᲠᲘᲐᲜ ᲒᲝᲒᲝᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ.**

## ფაქტი

### გაჰყიდა ყადაღადადებული კონცენტრატები

ᲘᲛᲔᲠᲔᲗᲘᲡ შინაგან საქმეთა სამხარეო სამმართველოს კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის განყოფილების თანამშრომლებმა ამხილეს ჭიათურის მშს „მანგანუმ–95" -ის მთავარი ბუღალტერი მერაბ ხარაძე.

მას ბრალად ედება, რომ მშს „ტოლის" მიჰყიდა კონტროლის პალატის სააღსრულებლო ბიუროს მიერ 17 ივლისს ყადაღადადებული „მანგანუმ-95"-ის 32120 ლარის ღირებულების 480 ტონა მანგანუმის კონცენტრატი.

ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘ.

საქართველოს რესპუბლიკა
№ 261. ხუთშაბათი, 28 სექტემბერი, 2000 წელი.

## აუდიტორები

# ფირმა „ალექსანდრეს“ ძლიერი პარტნიორები

მოდიოდა რევიზორი მოულოდნელად, უცაბედად ამოვარდნილი ქარიშხალივით და თან მოჰქონდა ელდა. დაზაფრულ მასპინძელს სავარძლის დაკარგვის, „კლეტკებში“ ჩასმის შიში მოსვენებას უკარგავდა. ვოიაჟი სტუმრის სასარგებლოდ მთავრდებოდა, ჯიბეგათხელებული დამხვდური კი მთელი წლის მანძილზე იშუშებდა „იარას“.

ცნობილი გამონათქვამი: „გამიშვით რევიზიაზე, მეც ხომ ცოლ-შვილი მყავს“, წარსულში დარჩა. რევიზორის „ფესვებზე“ აღმოცენებული აუდიტორი ადრინდელი შემმოწმებლისგან რადიკალურად განსხვავდება. იგი მეწარმის სურვილით სტუმრობს საწარმოს და მომსახურებაც მასპინძლისთვის სიკეთის გაწევას ისახავს მიზნად.

ამ ხუთიოდე წლის მანძილზე საქართველოში ორასზე მეტი აუდიტორული ფირმა შეიქმნა. ქვეყანაში ამდენივე დამოუკიდებელი აუდიტორი მოღვაწეობს. საბაზრო ეკონომიკის ამ აუცილებელ ატრიბუტს მოხერხებულმა ადამიანებმა უმალვე აუღეს ალღო. ცნობილი, წარმატებული ბიზნესმენები თავიანთი საქმიანობის ფინანსური ნაწილის შესამოწმებლად უცხოელ აუდიტორებს იწვევენ. რატომ? ზოგჯერ, იქნებ იმიტომ, რომ „შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვს“? ან, იქნებ ხუთი წელი მცირე დროა ავტორიტეტის მოსაპოვებლად?

ფირმა „ალექსანდრე“ კი დროის დეფიციტს განიცდის – შემკვეთთა რიცხვი თანდათან მატულობს.

როგორც ფირმა „ალექსანდრეს“ დირექტორმა **ალექსანდრე სომხიშვილმა** გვითხრა, იდეა თავისთავად არ მოსულა. – ბევრს ვფიქრობდი. სარევიზიო-საკონტროლო სამუშაოებზე გატარებული 25 წელიწადიც ერთგვარ სტიმულს მაძლევდა, მაგრამ სრულიად განსხვავებული ცხოვრების დაწყებას მაინც უამრავი სიძნელე ახლდა; ამ ამპლუაში მოხვედრა, აწ განსვენებულმა, ჩემთვის მეტად პატივსაცემმა ადამიანმა ემირ ჯუღელმა გამიადვილა. ის მაშინ სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრის პირველი მოადგილე იყო. იქ შევხვდი ახალგაზრდა ეკონომისტ იური დოლიძეს. მისი თეორიული ცოდნა, რისკის უნარი, განათლება და ჩემი პროფესიონალიზმი ერთმანეთს შეერწყა, რაც ფირმა „ალექსანდრეს“ შექმნის საფუძველი გახდა.

**— თქვენ საქმიანობა დაიწყეთ მაშინ, როდესაც არ არსებობდა კანონი „აუდიტორული საქმიანობის შესახებ“. არ იყო პარტნიორებთან დამოკიდებულების, მათთან კონტაქტის ძიების გამოცდილებაც, როგორ გაიკვალეთ გზა?**

— იმ დროისათვის ყველა საწარმოს უნდა გაევლო სასამართლოში ხელახალი რეგისტრაცია. საჭირო იყო ქონების შეფასება. მეწარმეებმა ამ საქმეში დახმარება გვთხოვეს. იური დოლიძე საინვესტიციო ფონდების დებულებას კარგად ფლობდა, მე კი საწარმოს ვიცნობდი, ვიცოდი, ვის რა უჭირდა, რა სტკიოდა. ალბათ, ამიტომ არ გაგვჭირვებია პარტნიორობა. მერე ჩვენი საქმიანობა ჩვენს რეკლამად იქცა. დამკვეთებს თვითონ მოჰყავდათ პარტნიორობის მსურველები. სამუშაო არასოდეს შემოგვაკლდებია.

**— რა მიგაჩნიათ თქვენეულ „ხელწერად“, იმ სიახლედ, რაც პარტნიორთან დამოკიდებულებას გიადვილებთ?**

— კანონის მიხედვით, მესაკუთრემ აუდიტორი სამეურნეო წლის დამთავრების შემდეგ უნდა მოიწვიოს. მე კი პარტნიორებს შევთავაზე სრულიად ახალი პროგრამა, რომლის მიხედვითაც აუდიტორული შემოწმება ყოველთვიურად, მეწარმეთა მიერ გაწეული მუშაობის კვალდაკვალ უნდა მოხდეს, რათა შეცდომები მაშინვე გასწორდეს. ფინანსური წესრიგი მეწარმისათვის ერთგვარი „ზურგის ქარია“, იგი წარმატებული შრომის საფუძველს ქმნის. სამეურნეო წლის დამთავრების შემდეგ, უკვე მომხდარი ფაქტის აღნიშვნა, უარყოფითი აუდიტორული დასკვნა, შეცდომების აღიარება მესაკუთრეს მდგომარეობიდან ვერ გამოიყვანს. მაგრამ აი, თუ წლის დასაწყისიდანვე ფინანსური წესრიგი ცხოვრების ნორმად იქცევა, შეცდომა გამოირიცხება. და თუ ვინმე მაინც ეჭვს შეიტანს ჩვენი პარტნიორის საბუღალტრო აღრიცხვაში, მზად ვართ ჯარიმა ჩვენ გადავიხადოთ. ამ ხუთი წლის მანძილზე ათასზე მეტი საწარმო შევამოწმეთ, მაგრამ პრეტენზია არავის გამოუთქვამს, პირიქით, თანამშრომლობა უფრო გაღრმავდა.

> სამეურნეო წლის დამთავრების შემდეგ, უკვე მომხდარი ფაქტის აღნიშვნა, უარყოფითი აუდიტორული დასკვნა, შეცდომების აღიარება მესაკუთრეს მდგომარეობიდან ვერ გამოიყვანს. მაგრამ აი, თუ წლის დასაწყისიდანვე ფინანსური წესრიგი ცხოვრების ნორმად იქცევა, შეცდომა გამოირიცხება. და თუ ვინმე მაინც ეჭვს შეიტანს ჩვენი პარტნიორის საბუღალტრო აღრიცხვაში, მზად ვართ ჯარიმა ჩვენ გადავიხადოთ. ამ ხუთი წლის მანძილზე ათასზე მეტი საწარმო შევამოწმეთ, მაგრამ პრეტენზია არავის გამოუთქვამს, პირიქით, თანამშრომლობა უფრო გაღრმავდა.

**— ჩანს, ფირმის პროგრამამ გაამართლა, მაგრამ ეს მაინც არ ნიშნავს, ალბათ, ძიების შეწყვეტას...**

— ცხადია, არა. ცხოვრება მუდამ სიურპრიზს გვთავაზობს, მოთხოვნა იზრდება. ჩვენი სურვილია სიახლის ძიება ღირსეულთა შორის, კონკურენტულ გარემოში. სხვაგვარად აუდიტორული საქმიანობა ინტერესს, თავისებურ ხიბლს კარგავს.

**— საზოგადოებაში გავრცელებული აზრის მიხედვით, აუდიტორიც ჩვეულებრივად „სუსტი“ ადამიანია, ანუ შემოწმებას კორუფციის ელემენტებიც ახლავს...**

— მომსახურების სერვისი შესაფერის ანაზღაურებას გულისხმობს. უგუნურობაა, მოჭრა ის ტოტი, რომელზეც ზიხარ, ანუ, დღეს გამდიდრდე და ხვალ უპროფესიოდ დარჩე. შენს პატიოსნებაში ერთხელ თუ შეიტანეს ეჭვი, მერე შენთან კონტაქტის დამყარებას არავინ ისურვებს. ამიტომ ჩვენი ფირმის არც ერთი მუშაკი „გარიგებაზე“ არ წავა. ეს გამორიცხულია.

**— ალბათ, მაინც იქნებოდა მცდელობა...**

— იყო. ერთ-ერთმა მესაკუთრემ შეუმოწმებლად სასურველი აუდიტორული დასკვნა მოითხოვა. მაღალ საზღაურს გვპირდებოდა... უარით გაესტუმრეთ, რადგან, „სახელის გატეხას თავის გატეხა სჯობს“. რაკი ეს პროფესია ავირჩიეთ, ბოლომდე უნდა ვუერთგულოთ, ისე, როგორც ეს საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით ხდება.

**— გამოდის, რომ „ალექსანდრეს“ ნებისმიერ მსურველთან პარტნიორობა არ სურს?**

— ცხადია, არა. ჩვენ არ ვთანამშრომლობთ იმ მესაკუთრესთან, ვინც შემოსავლების დამალვას ცდილობს. დამალულ შემოსავალს აუდიტორული შემოწმება არ სჭირდება. ფირმის უმთავრესი მოთხოვნა საგადასახადო პოლიტიკის დაცვაა. დღეს, როცა საბიუჯეტო კრიზისია, ამ სფერომ „ჩაყლაპა“ აუდიტორული საქმიანობის სხვა მხარეები და უპირველეს ადგილზე მოექცა. გვყავს ფირმის მთავარი საგადასახადო მენეჯერი, „საგადასახადო კარიბჭე“ — ქალბატონი იზაბელა გუტიძე. ბიუჯეტთან პირნათელი დამოკიდებულება მაღალი კომპეტენციაა, ძლიერთა ხვედრია. ამ პრინციპით ვირჩევთ პარტნიორს. დარწმუნებული ვარ, დღესვე რომ გაუქმდეს კანონი „აუდიტორული საქმიანობის შესახებ“, კლიენტები ჩვენგან არ წავლენ, რადგან მათ უკვე დაინახეს სასიცოცხლო მოთხოვნილების დაკმაყოფილების წყარო. დასკვნის გაცემა კი არ არის მთავარი, არამედ საბუღალტრო აღრიცხვის მოწესრიგება-გამჭვირვალეობის სიკეთეში მეწარმის დარწმუნება. ბიზნესმენი სრულ ფინანსურ წესრიგს თუ მიეჩვია, მერე ამ გზიდან არ გადაუხვევს.

**— ასეთი საწარმოები, ალბათ, „სანთლით საძებარია“.**

— სულაც არა. მრავალთა შორის ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის მაგალითს გაგაცნობთ. იქ სრული ფინანსური წესრიგია. ბატონ გია ჭანტურიასთან დიდი სიამოვნებით ვთანამშრომლობთ. ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტის საგადასახადო ნაწილი ჩვენს კონტროლქვეშ გადიოდა — კორპორაციის მუშაკებს ამ საკითხში კონსულტაციას ვუწევდით. ცალკეულ პრობლემურ საკითხზე გვიან ღამითაც კი გვირეკავდნენ, გვეკითხებოდნენ და ვპასუხობდით. ამ თემას საპარლამენტო სხდომაზე ერთი მოწინააღმდეგეც კი არ ჰყოლია — „უმტკივნეულოდ“ დამტკიცდა.

**— საგადასახადო კოდექსი თქვენი „სამაგიდო წიგნია“. ის კი გამუდმებით იცვლება... არ გაღიზიანებთ ეს ფაქტი?**

— ფირმას აქვს კომპიუტერული ტექნიკა, ინფორმაციის წყაროები. ის ცვლილება, რაც საგადასახადო კოდექსში უნდა შევიდეს, ჩვენთვის ცნობილია. ეს ბუნებრივი პროცესია, ჩვენი საქმიანობის უმთავრესი ნაწილია.

**— და მაინც, არსებობს ამ თემასთან დაკავშირებული პრობლემები?**

— ის, რაც მეწარმეს აწუხებს, გარკვეულწილად ჩვენზეც მოქმედებს. ბევრმა არ იცის, რა სახის გადასახადი უნდა გადაიხადოს და რაზე თქვას უარი. მეწარმეთა დიდი ნაწილი ვერ ერკვევა რთული ენით დაწერილ კოდექსში. საგადასახადო ინსპექციაში პრობლემურ საკითხზე ერთი თანამშრომელი დადებით პასუხს იძლევა, მეორე — უარყოფითს. ბიზნესმენს უჭირს სიმართლის გარკვევა. ამგვარი გაუგებრობა, ცხადია, ზედმეტ თავსატეხს გვიჩენს.

**— ცნობილი ფორმულირებით, „სოკოებივით მომრავლებულ აუდიტორულ ფირმებს ბაზარი გაცხრილავს“. თქვენ როგორ ფიქრობთ?**

— ჩემი რწმენით, „გაცხრილვის“ მისია ბაზარმა კი არა, კანონმა უნდა შეასრულოს. დღეს წვრილი აუდიტორული ფირმა ორ-სამკაციანი შპს-ების ხარჯზე არსებობენ. აუდიტორული შემოწმება მხოლოდ იმათთვის თუ იქნება სავალდებულო, სადაც მრავალი მესაკუთრეა, მაშინ უკლიენტებოდ დარჩენილი წვრილ-წვრილი აუდიტორული ფირმები სოლიდურ კომპანიებში გაერთიანდებიან. პროცესი ამგვარად დარეგულირდება. ამიტომ, კანონმა უნდა დახვეწოს.

ფირმა „ალექსანდრემ“ ოფისი ფოთშიც გახსნა. მან თითქოს დედაქალაქიდან გასვლა „დააგვიანა“, „მოდას“ ჩამორჩა? ბატონი ალექსანდრე სომხიშვილის თვალსაზრისით, ახალი პროგრამის განხორციელება მოხდა მაშინ, როდესაც დრომ მოითხოვა. ფოთის მერიამ გადაწყვიტა, კონტროლი გაეძლიერებინა საკუთარი ფინანსების ხარჯვაზე და აუდიტორების შესარჩევი კონკურსი მოაწყო. გამარჯვება „ალექსანდრემ“ მოიპოვა.

**წლეულს ფირმის ორი მუშაკი — იზაბელა გუტიძე და ეკატერინე სიჭინავა საერთაშორისო ბუღალტრული აღრიცხვის სერტიფიკატის მფლობელები გახდნენ. ეს უცხოეთში აუდიტორული საქმიანობის უფლების მოპოვებას ნიშნავს.**

**მსოფლიო ხუთეულის წევრმა ამერიკულმა აუდიტორულმა ფირმა „ერნსტენიანმა“ საქართველოში პარტნიორად „ალექსანდრე“ აირჩია.**

**მაგრამ უკვე დადგა დრო, როდესაც ფირმამ კონკურენტულ გარემოში უნდა იმოქმედოს და ახალი სიტყვა თქვას... თუნდაც იმიტომ, რომ ბიზნესი განვითარებადია და ფეხდაფეხ მიყოლას ითხოვს.**

**ლამარა ესართია.**

## რეფორმა

# ნავსი გატყდა — გაზეთის პუბლიკაციებმა იმუშავა...

**ჩვენმა გაზეთმა რამდენჯერმე გამოხატა თავისი პოზიცია საქართველოს დამსახურებული ეკონომისტის, მცირე მეწარმეთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტის ანზორ ბაბუხადიას წინადადებებთან დაკავშირებით ვაჭრობისა და მომსახურების დარგებში ექსპერიმენტის წესით ალტერნატიული საგადასახადო სისტემის შემოღების მიზანშეწონილობის თაობაზე. როგორც შევიტყვეთ, ნავსი გატყდა და გაზეთის პუბლიკაციებმა „იმუშავა“. აი, რა გვითხრა პროექტის ავტორმა:**

— მგონი ყინული მართლა დაიძრა — ეკონომიკის, ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტრომ მოამზადა პრეზიდენტის ბრძანებულების პროექტი „საქართველოს ტერიტორიაზე ბაზრებისა და ბაზრობების აღრიცხვიანობისა და ამ სფეროდან საბიუჯეტო შემოსავლების მობილიზების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“. ამით უქმდება მთავრობის 1992 წლის 4 მაისის №522 დადგენილება „ვაჭრობის თავისუფლების შესახებ“. ამ დოკუმენტით საწარმოებს, განურჩევლად ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა, აგრეთვე, შოქალაქეებს, უფლება ჰქონდათ შეუზღუდავად, საგანგებო ნებართვის გარეშე ევაჭრათ მათთვის მოსახერხებელ ადგილზე. დადგენილებაში არის სხვა კურიოზებიც, რამაც დღევანდელ მდგომარეობამდე მიიყვანა დედაქალაქი. ამიტომ, სანამ ეს დადგენილება არ გაუქმდება, საკანონმდებლო ბაზა ეწინააღმდეგება დედაქალაქის ხელმძღვანელობის ნებას გარევაჭრობის მოწესრიგებაში, აღრიცხვიანობის სრულყოფასა და საბიუჯეტო შემოსავლების მაქსიმალურ მობილიზებაში.

მეორე მნიშვნელოვანი მომენტი, რაც უკვე გაჩნდა ზემოთ აღნიშნული ბრძანებულების პროექტში, არის ცნება „ფიქსირებული“ გადასახადის შესახებ.

პროექტთან დაკავშირებით სერიოზული მსჯელობა გაიმართა სახელმწიფო კანცელარიაშიც, მაგრამ პრობლემა ბოლომდე გადაწყვეტილად არ შეიძლება ჩაითვალოს, რადგან კატეგორიულად არ ვეთანხმებით პროექტის ავტორთა მოსაზრებას ფიქსირებული გადასახადის მოცულობის განსაზღვრისა და ზოგიერთ სხვა მნიშვნელოვან საკითხში. ამაზე ცალკე უნდა ვიმსჯელოთ სპეციალისტებმა. თუ ფიქსირებული გადასახადის დაწესების სუბიექტზე, მისი განსაზღვრის მექანიზმსა და სხვა პრინციპულ საკითხებზე შევთანხმდებით, შედეგი გარდაუვალია. ერთი სიტყვით, ვნახოთ, საით გადაიხრება სასწორი.

**— კარგად მახსოვს, ამ პრობლემასთან დაკავშირებით ადრე არ მოითხოვდით საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანას — პირველ ეტაპზე საკითხს აყენებდით ექსპერიმენტის თაობაზე, რათა გამორიცხულიყო საგადასახადო კოდექსში კიდევ ერთი შეუსწავლელი და სათანადოდ არააპრობირებული ცვლილებების შეტანა.**

— პოზიცია არ შემიცვლია, მაგრამ თქვენ წარმოიდგინეთ, ბიუროკრატიული სახელმწიფო აპარატი მიმტკიცებს, თითქოს ქვეყნის პრეზიდენტს ასეთი ექსპერიმენტის უფლება არა აქვს. მოვაწყოთ „რეფორმატორებთან“ შეხვედრა, ყველაფერი ნათელი გახდება.

**— როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს პრეზიდენტის მრჩევლად ეკონომიკის საკითხებში მოწვეულია ცნობილი პოლონელი რეფორმატორი ლ. ბალცეროვიჩი. თუ გაქვთ ინფორმაცია პოლონეთში მის რეფორმებთან დაკავშირებით და რას შეიძლება ელოდოს ჩვენი ქვეყანა მისი იდეების განხორციელების შემთხვევაში?**

— ლ. ბალცეროვიჩის რეფორმის თავი და თავი გახლდათ ქვეყანაში საგადასახადო სისტემის მაქსიმალური გამარტივება და გამკაცრება. მან ჯერ რეფორმების პროგრამა შეიმუშავა, შემდეგ კი ე. წ. „შოკური თერაპიის“ პრინციპით დაიწყო მისი განხორციელება: საბიუჯეტო შემოსავლების გარანტირებული ზრდის მიზნით ვაჭრობისა და მომსახურების ობიექტების დიდი ნაწილი გადაიყვანა ფიქსირებულ გადასახადებზე; მატერიალური წარმოების სფეროს მცირე და საშუალო ზომის საწარმოებზე გაავრცელა საგადასახადო სისტემის ისეთი პირობები, რომელიც მეწარმეს მუშაობის სტიმულს აძლევდა. ამით ფეხზე დააყენა მოსახლეობის საშუალო ფენა და მაქსიმალურად გაზარდა დასაქმების კოეფიციენტი. რაც შეეხება თქვენი კითხვის მეორე ნაწილს, რას შეიძლება ველოდოთ ლ. ბალცეროვიჩისაგან, პირდაპირ გეტყვით: ალბათ, ბევრს არაფერს, რატომ? იმიტომ, რომ ამა თუ იმ ქვეყანაში რეფორმა მაშინ აღწევს შედეგს, როცა სათანადო პროგრამა შემუშავდება და განხორციელდება ქვეყნისა და ხალხის ყველა ნიუანსის, ხასიათების, მენტალიტეტისა და სხვა მომენტების გათვალისწინებით. სერიოზული რეფორმების დაწყების წინ ქვეყანა თავისი ეკონომიკური მდგომარეობით, ასე თუ ისე, ფეხზე უნდა იდგეს და საჭიროების შემთხვევაში ერთი ნაბიჯის უკან გადადგმაც შეეძლოს. ჩვენი ქვეყნის სასტარტო მდგომარეობა კი ნულს ქვემოთაა, ისიც არ ვიცით, რა გვინდა და საით მივდივართ. მაგრამ, გადარჩენის შანსი კიდევ არსებობს, თუ ამის რეალური ნება იქნება და მავანნი რამდენიმე წლით მაინც გადადებენ თავიანთი პირადი პრობლემების მოგვარებას.

უშუალოდ თქვენს შეკითხვას დავუბრუნდები. პირდაპირ გეტყვით, ჩვენში შინაური მღვდლის სინდრომი მუშაობს, თორემ, ნოდარ ჭითანავა, ლეო ჩიქავა, იამა მესხია, მიხეილ ჯიბუტი და სხვები გვყავდეს და ეკონომისტ-რეფორმატორებს სხვაგან ვეძებდეთ, სირცხვილია.

**— ბოლო დროს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში ძალზე გახშირდა საუბრები სახელმწიფო ქონების პრივატიზების შედეგების შესაძლო გადასინჯვის თაობაზე. როგორც ვიცი, მასობრივი პრივატიზება ყველაზე დიდი მასშტაბებით ვაჭრობისა და მომსახურების ობიექტებში განხორციელდა. სწორედ ამ პერიოდში თქვენ ამ დარგებში საქართველოს მთავრობის მთავარი სახელმწიფო მრჩეველი ბრძანდებოდით, აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, ძალზე საინტერესოა თქვენი პოზიცია ამ მეტად აქტუალურ პრობლემასთან დაკავშირებით.**

— მიუხედავად სამსახურებრივი მდგომარეობისა, არც ჩემი და არც ჩემი დედმამიშვილების ოჯახების არც ერთ წევრს სახელმწიფო ქონების პრივატიზებასთან არანაირი შეხება არ ჰქონია. მთელი ამ პროცესიდან, სუვენირებად თითოეულ ჩვენგანს მხოლოდ თითო ვაუჩერი შეგვრჩა. მიუხედავად ამისა, პრივატიზების შედეგების მასობრივად გადასინჯვა გამართლებულად არ მიმაჩნია. არც ის არის, ალბათ, სწორი, სამი წლის წინათ პარლამენტმა კანონი რომ მიიღო პრივატიზების შედეგების გადასინჯვის ვადების დამტკიცების თაობაზე. ცალკეულ ექსტრემალურ სიტუაციებში ქვეყნის ხელისუფლებას არაფერმა არ უნდა შეუშალოს ხელი, რომ სახელმწიფო ქონების უკანონო პრივატიზების შედეგები მოიკითხოს.

**— ბოლო შეკითხვა და ამით დავასრულოთ. ბატონო ანზორ, გულახდილად მითხარით, რამდენად გაქვთ იმედი, რომ თქვენს მიერ ზემოთ აღნიშნულ იდეებს ხორცი შეესხმება და შედეგებს საზოგადოება რეალურად იგრძნობს?**

— დასაწყისში მოგახსენეთ, რომ ყინული უკვე დაიძრა. მე და ჩემი კოლეგები ამ პრობლემებზე მუშაობას თავს არ დავანებებთ. მით უმეტეს, რომ ჩვენი პოზიციების გაძლიერების მიზნით, სულ ახლახან, ჩემს თანამოაზრეებთან ერთად დავაფუძნეთ ყოველგვარი სამეურნეო ფუნქციებიდან თავისუფალი, არასამთავრობო საზოგადოებრივი ორგანიზაცია — „საქართველოს ბიზნესისა და სერვისის სფეროთა ინტერესების დაცვის კავშირი“. პოზიციას ისიც გვიძლიერებს, რომ ჩვენს გვერდით დგას, აგრეთვე, საქართველოს მცირე მეწარმეთა ასოციაციის მთელი გუნდი.

ესაუბრა
**ელგუჯა ლებანიძე.**

## ენერგეტიკა

# ქარი ქრის, თუმცა უსარგებლოდ...

ფოთის ლანდშაფტს ახალი დეტალი შეემატა — 40-მეტრიანი ანძა ქარის სიჩქარისა და მიმართულების დასადგენად. იგი ქარის ენერგეტიკის ეროვნული ცენტრის „ქარენერგოს“ სპეციალისტებმა აღმართეს.

— ქარის ენერგეტიკის პოტენციალის შეფასებისადმი მოთხოვნები მოცემულ ეტაპზე რამდენადმე შეიცვალა, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს ცენტრის დირექტორმა, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატმა არჩილ ზედგენიძემ. — მისი ამოცანების სპეციფიკა ქარის ნაკადის სიჩქარისა და მიმართულების დადგენის ახალ მეთოდიკას მოითხოვს. „საქენერგოგენერაციის“ ენერგიის განახლებადი წყაროების განყოფილების პარალელურად ამგვარ ექსპრეს-გაზომვას შევუდექით ბათუმსა და ქუთაისში, რუსთავში, სურამის მახლობლად, ზოგიერთ სხვა ადგილას. სწორედ იქ არის ყველაზე საავარაუდო ქარის სადგურების მშენებლობა. ქარის ენერგეტიკას ახლა დიდი მნიშვნელობა ენიჭება ჩვენს პლანეტაზე კლიმატის გლობალური დათბობის პრობლემასთან დაკავშირებით, რაც გამოწვეულია ჰაერში ნახშირორჟანგისა და სხვა სითბური გაზების კონცენტრაციის მკვეთრი გადიდებით. სწორედ ამის შედეგი იყო არნახულად ძლიერი და ხანგრძლივი გვალვა საქართველოში.

ატმოსფეროში გაზების ემისიის ძირითადი წყარო სითბური ელექტროსადგურებია. 1997 წელს, კიოტოში ამ საჭირბოროტო პრობლემასთან დაკავშირებულ საერთაშორისო სამიტზე მიიღეს გადაწყვეტილება ჰაერში სითბოს გაფრქვევის არსებითი შემცირების შესახებ. მაღალგანვითარებულმა ქვეყნებმა ამერიკამ, ინგლისმა, გერმანიამ ვალდებულება იკისრეს 1990 წლის დონესთან შედარებით ხუთი პროცენტით შეამცირონ ემისია. ისედაც სიტუაცია მოითხოვს, რომ საბოლოოდ აიკრძალოს ქვანახშირის დაწვა. რით შეიძლება ეს შეიცვალოს? იგივე ენერგიის განახლებული წყაროებით — მზის, წყლისა და ქარის ენერგიით. საბედნიეროდ, საქართველოში უხვად არის სამივე... მაგრამ ყველაფერს თავისი დრო აქვს. ჯერჯერობით კი უნდა ავამუშაოთ ქარი. ამისათვის ყველა წანამძღვარი არსებობს: ზემოთ ნახსენები რეგიონების შესწავლილ ფართობზე დღესვე შეიძლება ქარის სადგურების მშენებლობის დაწყება. მათი საერთო სიმძლავრე 500 მეგავატი იქნება. წელიწადში კი ისინი 1,3 მილიარდამდე კილოვატსაათ ელექტროენერგიას გამოიმუშავებენ. წინასწარი შეფასებით, მთლიანად საქართველოში ქარის სადგურების მშენებლობით შესაძლებელია 3,5-4 მილიარდი კილოვატსაათი ელექტროენერგიის მიღება. სხვათა შორის, საქართველოც შეუერთდა სამიტის გადაწყვეტილებებს. კიოტოში ჩვენი პოზიცია საკმარის საფუძველს იძლევა იმისათვის, რომ ვიქონიოთ ჩვენში ქარის ენერგეტიკის განვითარების იმედი. გერმანია აპირებს ხელი შეუწყოს საქართველოს ყველა სახეობის განახლებადი ენერგიის, განსაკუთრებით, ქარის ენერგიის გამოყენებაში.

**გიორგი ძავთარაძე,**
საქინფორმის კორ.

## გვეხმაურებიან

# ბიბლიოთეკის ხელყოფა დანაშაულია

**თანამედროვე შეჭირვებული და ეკონომიკურად რეგრესირებული საქართველოს ხვედი კიდევ ერთხელ წარმოჩინდა ახლანდელი პრესის ფურცლებზე. გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ წავიკითხე ელგუჯა ლებანიძის სტატია „გაპრივატიზებული ბიბლიოთეკა და გატრიზავებული მკითხველი“.**

როგორც წერილი იუწყება, მირზა გელოვანის სახელობის ახალგაზრდობის რესპუბლიკურ ბიბლიოთეკას ართმევენ სახელს და დამოუკიდებლობას. პოეტმა ჯარისკაცმა მირზა გელოვანმა ახალგაზრდა სიცოცხლე შესწირა საქართველოს მომავალი თაობის კეთილდღეობას. იგი ბრძოლის ველიდან ასე წერდა: „მე მაქვს იმედი, რომ არასოდეს დავიკარგებით, ისე რომ, ჩემი კვალი არ დარჩეს...“ გვაქვს კი უფლება ბიბლიოთეკას წავართვათ მისი სახელი?

ბიბლიოთეკა ეროვნული საუნჯეა და მას მოფერება სჭირდება. მირზა გელოვანის სახელობის ახალგაზრდობის რესპუბლიკური ბიბლიოთეკა უნივერსალურია თავისი პროფილით, უნიკალური ფონდით. სწორედ ეს არის მისი პოპულარობის საფუძველი. ჩვენი უნივერსიტეტის თითქმის ყველა ფაკულტეტის სტუდენტი მისი სიკეთით სარგებლობს, რადგან ყველა წიგნის შეძენის საშუალება არ აქვთ. ბიბლიოთეკა მათთვის წიგნით უფასოდ სარგებლობის ერთადერთი საშუალებაა. ამიტომ ეს საშუალება არ უნდა მოვუსპოთ, ხოლო ბიბლიოთეკას დავეხმაროთ მდიდარი ფონდის შენარჩუნებაში.

იმედი გვაქვს, კულტურის მინისტრი, ქალბატონი სესილი გოგიბერიძე გულთან ახლოს მიიტანს ბიბლიოთეკის ყოფნა-არყოფნის საკითხს, დაიცავს მას და იზრუნებს მისი შენარჩუნებისა და გაძლიერებისათვის.

**გივი თუმანიშვილი,**
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტის კათედრის გამგე, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

## გულარხეინობა?

# თვითონ კარგად ცხოვრობენ და სხვებისა რა ენაღვლებათ

ბევრისათვის, განსაკუთრებით საქმიან წრეებში კარგად არის ცნობილი ბიზნესმენ ვანო ჩხაიძის საქმიანობა, ამასთან მის მიერ გამოცემული ბროშურა: „როგორ გავმდიდრდეთ, ანუ ჩვენი გზა ეკონომიკური კეთილდღეობისაკენ“. მის მიერ მითითებული ბიუჯეტის შევსების ახალ წყაროზე ჩვენს გაზეთში ერცელი საუბარი გვქონდა. გარკვეული დროის შემდეგ დავინტერესდით ქვეყანაში ეკონომიკური მდგომარეობის გაჯანსაღებაზე ავტორის მიერ გამოთქმული თვალსაზრისის შემდგომ ბედზე. იქნებ სათანადო უწყებებმა დაიწყეს მიდგომის განხილვა, მოიწონეს ან უარყვეს იგი?

გვესაუბრება ბროშურის ავტორი **ვანო ჩხაიძე**.

— სამწუხაროდ, — გვითხრა მან, — წიგნში მოცემული დასკვნები და მოსაზრებები ცნობისმოყვარეობის ფარგლებს ვერ გასცდა. ჩემი აზრით, ამის მიზეზია სიახლისადმი შიში, გაზარმაცებული აზროვნება, ცოდნისა და გამოცდილების უქმარისობა, გაუბედაობა და სხვა.

ახლისადმი შიშის მიზეზი ის არის, რომ დაგვაჩვიეს ოფიციალურად მხოლოდ „ზემდგომის“ დავალებების შესრულებას, ინიციატივის ხელყოფას. ახალ გარემოშიც უკვე ბევრჯერ დაგვსაჯა თვით ცხოვრებამ. ეკონომიკური მართვის საკუთარ თავზე აღების ახლადწამოჩიტული სურვილი დაშინდა, ჩაკვდა. არავინ გააანალიზა, ვის ეშლებოდა, მეტიც, დღესაც უსისტემო ინიციატივებში ვკარგავთ დროს.

ეკონომიკა მოსწყდა რეალობას და ელემენტარულ მოთხოვნებსაც ველარ პასუხობს, ახალი პოლიტიკური კურსი უპირველესად ითხოვს სახელმწიფოსა და საზოგადოების ურთიერთპასუხისმგებლობის გათანაბრებას. ჩვენ კი რას ვაკეთებთ, აქაოდა ვერა'ვინ დაგვსჯისო, ხალხს კუთვნილ ხელფასსაც ვერ ვაძლევთ! პრობლემის გადაწყვეტაში კი უსუსურები ვართ.

სიახლე მაშინ არის საშიში, როცა იგი დრომოჭმული, ძველი აზროვნების ნაყოფია და ახლად გვასაღებენ, ან მართლაც ახალია, მაგრამ დალევინება აკლია. მნიშვნელოვანია მოუცლელობის საფარში შეფარებული ამბიციები, გასაკვირი არ არის, როცა თანამდებობის პირები ეკონომიკური გაჭირვებიდან ვერ ხედავენ გამოსავალს, მიაჩნიათ, რომ გამოსავალი არ არსებობს, მაგრამ ხანდახან, კარგ სელას ჩვეულებრივი გულშემატკივარი, მით უმეტეს ექსპერტი, მოთამაშეებზე უკეთ ხედავს, თუმცა ამას გაგება უნდა.

წიგნში დეტალურად გავაანალიზეთ შესაძლო შედეგები, რათა რამე არ შეგვშლოდა, მაგრამ ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელი, სწორედ ისინი, რომლებიც წესით დღედაღამ უნდა ეძებდნენ ეკონომიკური პრობლემის დაძლევის გზებს, ცხვირს იბზუებენ და სათანადო დაინტერესებას არ იჩენენ.

ჩვენთვის ცნობილია, რომ სოციალურ თუ ეკონომიკურ პრობლემებზე პასუხისმგებელი ზოგიერთი პირი, დახმარებისათვის მადლობის თქმის მაგიერად, ყველაფერს ცდილობს, ჩვეული ბელეტრისტიკით, თავისი პოლიტიკური პატრონის თვალში, როგორც „სპეციალისტმა“, არარეალისტურად და უტოპიურად მონათლოს შემოთავაზებული ახალი ეკონომიკური მიდგომა., ჩემი შენ გითხარიო... ამაზეა ნათქვამი.

მართალია, სხვა უფრო ეფექტიანი გზა და არც ჩვენი საწინააღმდეგო კონკრეტული არგუმენტები არ გააჩნიათ, მაგრამ მაინც არ იშურებენ მონდომებას, რათა ყურადღება აარიდონ ჩვენს მიერ წამოჭრილ სიახლეს. ბუნებრივად გვებადება ეჭვი, ალბათ, შიშობენ, ჩვენი პოზიციის მხარდაჭერის შემთხვევაში, იმიჯი და თანამდებობა არ დაკარგონ.

პირადად მე სახელმწიფო სამსახურში საკმარისად ვიშრომე, ადრე ერთ-ერთ პუბლიკაციაში ვახსენე და კვლავ ვიმეორებ, თუ საჭიროა, ნოტარიუსითაც დავამოწმებ, რომ ხელისუფლებაში და პოლიტიკაში ჩართვის არავითარი სურვილი არა მაქვს, მაგრამ მაქვს საკმარისად მყარი ამბიცია, რომ ჩვენს ხალხს უკეთესად ცხოვრება ეკუთვნის, ჩვენ კი ამისი უზრუნველყოფა შეგვიძლია.

შეიძლება ჩემი მხრიდან ვინმეს პარადოქსულად მოეჩვენოს, მაგრამ მართლაც მიმაჩნია, რომ ეკონომიკის წარმმართველ თანამდებობებზე, არსებულზე უკეთესი კანდიდატურების შერჩევა ძნელია. ბევრი მათგანი გონიერ დასკვნებთან სხვებზე უფრო ახლოსაა, ზოგიერთს კი, თვითრეალიზაციაში მხოლოდ ეტიკეტი უშლის ხელს.

ისე, კაცმა რომ თქვას, ჩვენი მცდელობები თითქმის უტოპიურია, მაგრამ არა იმიტომ, რომ ძნელი განსახორციელებელია, არამედ იმიტომ, რომ სიახლის დამკვიდრებას ჩვენში უდიდესი ძალისხმევა სჭირდება. როგორც იქნა მივხვდით, რომ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების რეკომენდაციები უმარტივესი ჭეშმარიტებებია და აქაც ვჯიუტობთ ხოლმე. ასეთ ფონზე ჩვენი მიდგომა შედარებით უმაღლესი მათემატიკა თუ არა, შვიდჯერ შვიდი მაინცაა, რაც შედარებით ძნელი გასაგებია. უყურადღებობის მთავარი მიზეზი ვფიქრობთ, ისაა, რომ ბევრს არ „აწყობს“ თამაშის წესების შეცვლა, თუნდაც ახალი თამაშით მეტს იგებდნენ. ამ ძალების უმეტესობას საერთოდ არც აინტერესებს, წიგნში რაზეა საუბარი. ისინი ახლო წარსულში რომ ვერც იოცნებებდნენ, იმაზე და ყოველგვარ მოსალოდნელზე ბევრად უკეთ ცხოვრებენ, კმაყოფილნი არიან და რაიმე ცვლილებების გაგონებაც არ სურთ. მიუხედავად ამისა, მაინც ვცდილობთ, ჩვენი მოსაზრებების სისწორეში დავარწმუნოთ ყველა, არ შევეგუოთ ეკონომიკური პრობლემების მოუგვარებლობისადმი გულარხეინობას.

ესაუბრა
**ლალი ძინძლაძე.**

## გვწერენ

# ხალხი უშუქოდ დაგვტოვეს

„გაჭირვებულ კაცს ქვა აღმართში მიეწევაო“, — უთქვამთ და, მართლაც რომ, ასე დაგვემართა ჩვენც: გლდანის მცხოვრებნი ძალიან შეწუხებულნი ვართ მას შემდეგ, რაც „ეი-ი-ეს თელასმა“ ახალი მრიცხველები დაგვიდგა. მრიცხველებმა კი არ შეგვაწუხა, არამედ მავნე ახალგაზრდებმა, რომლებმაც კაბელები გადაჭრეს, წაიღეს და ჯართის შემკრებ პუნქტს ჩააბარეს, გაჭირვებული ხალხი კი უშუქოდ დაგვტოვეს.

ეს რომ ერთი შემთხვევა იყოს, იქნებ არც ამოგვეღო ხმა. ხალხი ძალიან შეწუხდა — იოლი როდია კაბელების ხელახლა შეძენა და გაყვანილობის აღდგენა. 9 თვეა, რადიოც არ მუშაობს, რადგან გაყვანილობა დაგლიჯეს და წაიღეს. რითი და როგორ შეუძლიათ 14 ლარის პატრონ მობინადრეებს ამ ზარალის დაფარვა და ხარჯების გაღება?

ამ წერილს იმიტომ ვწერ, შესაბამისმა ორგანოებმა მითითება მისცენ, რათა პუნქტებმა არ ჩაიბარონ კაბელები, პოლიციამ კი თავი მოიქექოს დამნაშავეთა დასაკავებლად.

**დოდო ზურაბიშვილი.**

## ნავთობსადენი



ნინოწმინდის ნავთობის საბადოები მალე ადგილობრივი გაზის ძირითადი მომპოვებლები გახდება. ამჟამად აქ დიდი სამუშაოები წარმოებს, რათა უახლოეს წლებში საქართველომ მთლიანად დაიკმაყოფილოს საკუთარი მოთხოვნილება. მარაგი კი, სავარაუდოდ, 100 მილიარდი კუბური მეტრია.

სურათზე: ნინოწმინდის ნავთობის ჭაბურღილის მბურღავის თანაშემწე ტარიელ უსტიაშვილი, ბურღვის ოსტატები ალეკო სუთიძე და გიორგი მკერვალიშვილი.

თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.

# სახიობა

თეატრალური გაზეთი

„საქართველოს რესპუბლიკის“ ყოველთვიური დამატება

№9 (29)


...დიდია, განუზომელია მნიშვნელობა თეატრისა ყველა ერისათვის. კულტურა თეატრისა უმაღლესი კულტურაა ერისა. იგი ხარობს, ფრთებს ისხამს მასთან ერთად და ეცემა, კვდება ერის სიკვდილთან ერთად.

**სანდრო ახმეტელი.**

## იუბილე

# ისევ დირიჟორობას ავირჩევდი

„დიდი სიხარულისა და აღტაცების გრძნობას განვიცდი ასეთი ნიჭიერი მუსიკოსის გამოჩენის გამო. იგი უახლოეს მომავალში ბევრს გააკეთებს ჩვენი მშობლიური კულტურის განვითარებისათვის“, – ამ სიტყვებით გამოეხმაურა ოთხი ათეული წლის წინათ გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორი შალვა მშველიძე იმხანად სრულიად ახალგაზრდა დირიჟორის გივი აზმაიფარაშვილის დებიუტს. დღევანდელი გადასახედიდან სრულიად აშკარაა, რომ შალვა მშველიძის ეს მოსაზრება გამართლდა – გივი აზმაიფარაშვილმა, დღეს უკვე აღიარებულმა, თვალსაჩინო შემოქმედმა, სახალხო არტისტმა, პროფესორმა, მართლაც, მნიშვნელოვანი კვალი გაავლო ქართული მუსიკალური ხელოვნების განვითარებაში და არაერთი შემოქმედებითი წარმატებაც იზეიმა.



საკმაოდ ბანალურად გაიჟღერებს თუ ვიტყვით, რომ გივი აზმაიფარაშვილი ბავშვობიდანვე ეზიარა არა მხოლოდ მუსიკალურ ხელოვნებას, არამედ მუსიკალურ ცხოვრებასაც, მაგრამ მართლაც ასეა, რადგან იგი თითქმის მუდმივად ესწრებოდა ბიძამისის, დირიჟორ შალვა აზმაიფარაშვილის რეპეტიციებს ოპერის თეატრშიც და რადიოს ორკესტრშიც. ამდენად, დირიჟორობის სურვილი და სიყვარული ბავშვობიდანვე ჩაენერგა ბატონ გივის, თუმცა თბილისის კონსერვატორია წარჩინებით დაამთავრა პიანისტის სპეციალობით, სადაც მას ცნობილი პედაგოგი გივი სვანიძე ხელმძღვანელობდა. და მაინც, დირიჟორობის სურვილმა იმძლავრა და თბილისის კონსერვატორიის დამთავრებისთანავე მიაშურა ახალგაზრდა მუსიკოსმა ლენინგრადის კონსერვატორიას, სადაც პროფესორ ნიკოლოზ რაბინოვიჩთან დაოსტატდა.

ბოლო კურსზე სწავლისას გივი აზმაიფარაშვილმა, ჯერ კიდევ უდიპლომო დირიჟორმა, თბილისის ოპერის თეატრის ხელმძღვანელობას სადებიუტო სპექტაკლის დირიჟორობის უფლება სთხოვა. იგი ჩაიკოვსკის „ევგენი ონეგინს“ წარუძღვა. წარმატება იმდენად დიდი აღმოჩნდა, რომ პირველივე გამოსვლის შემდეგ თეატრის სამხატვრო საბჭოს გადაწყვეტილებით გივი აზმაიფარაშვილი სამუშაოდ აიყვანეს და უკვე თბილისის ოპერის თეატრის დირიჟორმა მიიღო ლენინგრადის კონსერვატორიის დიპლომი.

თოთხმეტი წლის შემდეგ, 1974 წელს, ბატონი გივი ამავე თეატრის მთავარ დირიჟორად მოგვევლინა, ამ თანამდებობაზე მან 1982 წლამდე დაჰყო. საკმაოდ ნაყოფიერი იყო თეატრში გატარებული დრო გივი აზმაიფარაშვილისთვის. ამ ხნის განმავლობაში მან ოცდაორი ახალი დადგმა განახორციელა. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“, ო. თაქთაქიშვილის „მინდია“, „მთვარის მოტაცება“, „სამი ნოველა“, „პირველი სიყვარული“, ჩაიკოვსკის „პიკის ქალი“, „ევგენი ონეგინი“, ვერდის „აიდა“, „ოტელო“, „ტრუბადური“, „რიგოლეტო“, „ტრავიატა“, ბალეტები: ა. ბალანჩივაძის „მწირი“, ბ. კვერნაძის „ბერიკაობა“. თავად ბატონი გივი კი მიიჩნევს, რომ ყველაზე დიდი წარმატება მის შემოქმედებაში დოდო ალექსიძესთან ერთად განხორციელებულ ვერდის „ოტელოს“ დადგმას უკავშირდება, რომლის პრემიერა 1981 წელს გაიმართა. შესაძლოა, ამიტომაც მიიჩნევს იგი „ოტელოს“ თავის უსაყვარლეს ნაწარმოებად, თუმცა დღემდე ასევე გაუნელებლად უყვარს „მინდიაც“.

ოპერის თეატრში მოღვაწეობისას გივი აზმაიფარაშვილი მხოლოდ ოპერით არ შემოფარგლულა: ჯერ კიდევ 1965 წელს შეასხა ხორცი საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის იდეას კამერული ორკესტრის შექმნის თაობაზე და სწორედ მისი ხელდასხმით დაიბადა პირველი კამერული ორკესტრი ჩვენს ქვეყანაში.

მრავალი საგასტროლო კონცერტითა თუ სპექტაკლით მისი შემოქმედება გაიცნეს საბჭოთა კავშირის არაერთ ქალაქში, გერმანიაში, პოლონეთში, უნგრეთში, ესპანეთში, თურქეთში, იტალიაში. საგულისხმოა მოსკოველი მუსიკათმცოდნის ზ. კოზაკის გამონათქვამი (ფრაგმენტი თბილისის ოპერის თეატრის მოსკოვში გასტროლების მიმოხილვიდან): „როცა პულტთან გივი აზმაიფარაშვილი დგას, ორკესტრი დირიჟორის შემოქმედებითი შთაგონების ძალას ემორჩილება. ეს შთაგონება გადაეცემა მსახიობებს და, რა თქმა უნდა, თავის ყველაზე ახლო ინსტრუმენტს – ორკესტრს. კეთილშობილური მანერა, მკვეთრი ჟესტი, ზუსტი ჩვენება განსაკუთრებით საჭიროა საოპერო სპექტაკლის რთულ ორგანიზმში. ყოველივე ამას გივი აზმაიფარაშვილი თავისუფლად ფლობს. ფორმის საუცხოო გრძნობა, დინამიკურობა და ტემპი მისი შემოქმედების არსია.“

ახალი ეტაპი დაიწყო გივი აზმაიფარაშვილის შემოქმედებით ბიოგრაფიაში 1982 წლიდან, როდესაც იგი სათავეში ჩაუდგა საქართველოს ტელევიზიისა და რადიოს სიმფონიურ ორკესტრს, თუმცა ეს იყო ახალი ეტაპი თვით ორკესტრის მატიანისთვისაც. მთავარმა დირიჟორმა და სამხატვრო ხელმძღვანელმა ძირეულად გადაახალისა ორკესტრის შემადგენლობა და ამიტომაც არაერთმა კარგმა, მაღალპროფესიულმა შემსრულებელმა შექმნა ამ შემოქმედებითი კოლექტივის ძირითადი ბირთვი. მაესტროს ხელდასხმით ორკესტრი გატაცებით მუშაობდა იერსახის დახვეწაზე, სრულქმნაზე და სწორედ თავდადებული შრომის შედეგი იყო ის წარმატება, რომელიც მოჰყვა განახლებული ორკესტრის პირველ, საპრემიერო კონცერტებს. საუკეთესო სიტყვები არ დაიშურეს მაშინ პრაქტიკულად ახლადშექმნილი ორკესტრისა და მისი ხელმძღვანელის შესაფასებლად ანდრია ბალანჩივაძემ, ალექსანდრე შავერზაშვილმა, არჩილ ჩიმაკაძემ, სულხან ცინცაძემ, ანტონ წულუკიძემ, გულბაათ ტორაძემ, ვაჟა აზარაშვილმა და სხვა ცნობილმა ქართველმა მუსიკოსებმა. ნიშანდობლივია ოთარ გორდელის შთაბეჭდილება: „ორკესტრის დიდი წარმატება დაკავშირებულია ნიჭიერ, დიდი ერუდიციისა და მაღალი კულტურის მქონე დირიჟორთან გივი აზმაიფარაშვილთან. მას ვიცნობდით, როგორც შესანიშნავ საოპერო დირიჟორს, დღეს კი, იგი მოგვევლინა, როგორც სიმფონიური ორკესტრის ბრწყინვალე დირიჟორი, რთული საორკესტრო ფაქტურის შესანიშნავი ოსტატი. დარწმუნებული ვარ, რომ ორკესტრს დიდი მომავალი აქვს“.

და მართლაც, დღეს უკვე საქართველოს ტელერადიოკორპორაციის რევაზ ლაღიძის სახელობის სიმფონიური ორკესტრი კარგი რენომეს მქონე კოლექტივია, რომელმაც წლების მანძილზე დიდი წვლილი შეიტანა ქართული მუსიკალური კულტურის განვითარებაში, რაშიც, ცხადია, ლომის წილი სწორედ გივი აზმაიფარაშვილს მიუძღვის. ვინ მოთვლის, რამდენი საუკეთესო ჩანაწერი შექმნა ამ პერიოდში, რამდენი ღირსშესანიშნავი კონცერტი გამართა. ორკესტრს და მის მთავარ დირიჟორს დიდი წვლილი მიუძღვით ქართველი კომპოზიტორების ქმნილებათა პოპულარიზაციაშიც. ეს ჩვენი სურვილიც არის და მოვალეობაც, – ამბობს ბატონი გივი.

რამდენიმე წელიწადია სახელოვან მამას არანაკლები იმიჯის მქონე შვილიც შეეხიდა – მშვენიერი დირიჟორი ზაზა აზმაიფარაშვილი. ხშირად მისი ხელმძღვანელობითაც ჟღერს ხოლმე ორკესტრი.

ქართველ მუსიკისმოყვარულებს კარგად ახსოვთ ელენა ობრაზცოვას შარშანდელი თბილისური გასტროლი. მაშინ სახელგანთქმულ მომღერალს პარტნიორობას უწევდა საქართველოს ტელერადიოკორპორაციის სიმფონიური ორკესტრი. სადირიჟორო პულტთან ორი მაესტრო ენაცვლებოდა ერთმანეთს – ბატონი გივი და ახალგაზრდა დირიჟორი გოგი ჭიჭინაძე. ამ მშვენიერ კონცერტს მეც გამოვეხმაურე და დღეს ერთ ამონარიდს გთავაზობთ მაშინდელი წერილიდან, რომელსაც, ალბათ, კომენტარი არ სჭირდება: „და კიდევ ერთი გარემოება, რაც ვფიქრობ, ხაზგასასმელია – მაესტრო გივი აზმაიფარაშვილის დიდსულოვნება და სიკეთის ქმნის სურვილი – კონცერტზე ახალგაზრდა დირიჟორი სწორედ მისი მიწვევით ვიხილეთ, თუმცა მას ხომ თავისუფლად შეეძლო დამოუკიდებლად, მარტო გაძღოლოდა ორკესტრს. ეს მაღალი ზნეობისა და პროფესიული ეთიკის, ახალ თაობაზე ზრუნვის შესანიშნავი მაგალითია. ვარსკვლავებთან შემოქმედებითი ურთიერთობის შესაძლებლობა ყოველთვის ხომ არ ეძლევათ ახალგაზრდებს და არა მარტო მათ“.

ასეთი გზით მოემართება უკვე შვიდი ათეული წელიწადია გივი აზმაიფარაშვილი, არც ამ გზას ღალატობს და არც პროფესიას. დღესაც რომ ვირჩევდე პროფესიას, ისევ დირიჟორობაზე შევაჩერებდი ყურადღებასო, – ამბობს ბატონი გივი, ქართული სადირიჟორო სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელი. ან კი რა არის საოცარი – დირიჟორობა ხომ მისი პირველი სიყვარულია, რომელსაც ერთგულად ემსახურება დღემდე.

სექტემბერში გივი აზმაიფარაშვილს 70 წელი შეუსრულდა.

ვულოცავთ იუბილეს და მომავალ წარმატებებს ვუსურვებთ ქართული მუსიკის სასიკეთოდ.

**ზურაბ ოიკაშვილი.**



## სიახლე

# მრავალსახეობა ხელოვანისა

დღეისათვის, როდესაც წიგნის თაროს შეავლებ თვალს, რწმუნდები, რომ ქართულმა თეატრმცოდნეობამ, ყოველგვარი დაბრკოლებების მიუხედავად, შესამჩნევი ნაბიჯები გადადგა წინ. დღეს საყოველთაოდ ცნობილი არიან დიდტანიანი მონოგრაფიების ავტორები, ბევრმა მოიპოვა მაღალი სამეცნიერო ხარისხი, თეატრალურ კრიტიკოსთა წერილები ქართული თეატრის მატიანე გახდა. დიდ სამეცნიერო მოღვაწეობას ეწევა შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს ინსტიტუტში არსებული სამეცნიერო სექტორი. დაიწერა და გამოსაცემად მზადაა ქართული თეატრის ისტორია. გაზეთების რედაქციებში, ტელევიზიასა და რადიოში, ჟურნალებში მაღალი პროფესიული დონის თეატრმცოდნეები მოღვაწეობენ.

ამ ბოლო ხანებში გამოცემულ წიგნებს შორის, უთუოდ ყურადღების ღირსია გამომცემლობა „ქართული თეატრის“ მიერ დაბეჭდილი კრებული თეატრისა და კინოს თვალსაჩინო მსახიობის ქეთევან კიკნაძის შესახებ (შემდგენელი, შესავალი წერილისა და კომენტარების ავტორი ლამარა ლონდაძე; რედაქტორი გულიკო მამულაშვილი).

წიგნი ისეთივე უპრეტენზიო და მოკრძალებულია, როგორც მისი შესწავლის საგანი, ძალზე თავისებური, განუმეორებელი ნიჭის ხელოვანი საქართველოს სახალხო არტისტი ქეთევან კიკნაძე. შესავალ წერილში ლამარა ლონდაძე ყოველგვარი მაღალფარდოვანი ფრაზების გარეშე, სადად და უბრალოდ, ისევე ორგანულად, როგორც ამას აკეთებს სცენაზე მსახიობი, წერს მასზე არა მარტო როგორც ხელოვანზე, არამედ როგორც ადამიანზე, ქალზე. ქართული ტრადიციული ოჯახის ბურჯზე – ბავშვობა, ახალგაზრდობის მძიმე წლები, თეატრალური ინსტიტუტი, პირველი ნაბიჯები სცენაზე, ღრმა ადამიანური, ფსიქოლოგიური სიმართლითაა აღწერილი. წიგნში მოტანილია ნაწყვეტები ცნობილი კრიტიკოსების, თეატრალური და კინომოღვაწეების წერილებიდან, ქეთევან კიკნაძის ინტერვიუები რადიოსათვის, პრესისათვის, და ხაზგასმულია არა მარტო მისი საუკეთესო როლები, არამედ არის ცდა, რაც ძალიან მისასალმებელია, გვიჩვენოს არა მარტო ნიჭიერი მსახიობის, არამედ დედის, ბებიის, მეუღლის, მოღვაწის სახე, გამოვლენილია მისი მრწამსი, მისწრაფებები, რაც ნათელყოფს, თუ რა მტკიცე საძირკველი აქვს მას და სრული შემოქმედებითი დამოუკიდებლობა, ურომლისოდაც ჭეშმარიტი მსახიობი წარმოუდგენელია. ქეთევან კიკნაძის ოჯახი თეატრალურია,

იხ. მე-8 გვ.

საქართველოს რესპუბლიკა
№ 261. ხუთშაბათი, 28 სექტემბერი, 2000 წელი.

ტელევიზია

ამ ათიოდე წელიწადში ჩვენი ცხოვრება იმდენად აირდაირია, იმდენი სატკივარი და საფიქრალი გაგვიჩნდა, რომ თვით საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენაც კი მთელი სიცხადით ვერ აღვიქვით, ვერ გავითავისეთ. ერთბაშად ძნელია ძველი ცხოვრების წესი ახლით შეცვალო, თანაც ამას თუ ზედ ერთვის ქაოსი, ძმათა სისხლისღვრა და საქართველოს ერთიანობის ხელყოფა.

მადლობა ღმერთს, რომ თანდათან გონს მოვდივართ, ამ გაჭირვებული ცხოვრებიდან თავდახსნას ვლამობთ და უკეთესი ხვალინდელი დღის იმედიც შეგვრჩა. დღევანდელი საქართველო იმ ზღაპრულ გმირს ჰგავს, რომელიც გზაჯვარედინთან დგას და ირჩევს – საით წავიდეს. ჩვენი ცხოვრების სიდუხჭირემ კინაღამ დაგვთრგუნა, კინაღამ ხორცის გადარჩენაზე ზრუნვამ სულით წარგვწყმიდა. თუ ჩავლილ საუკუნეებს გადავხედავთ, ჩვენ ერს ამაზე უარესი ქარტეხილები დატყდომია თავს, მაგრამ უბრძოლია, უშენებია, რწმენა არ დაუკარგავს და რჯული შეუნახავს, ქვეყანა კვლავ წელში გაუმართავს და არ აღგვილა პირისაგან მიწისა.

საუკუნეების მანძილზე ჩვენი ერი თავის წიაღში შობდა და ზრდიდა გმირებს და თუ ასეთი არ ჰყავდა, მაშინვე წარსულის აკლდამების კარს ხსნიდა და მკვდრეთიდან ძველ გმირებს უხმობდა; დიდ წინაპართა ხსენება, მათი აჩრდილების გამოხმობა წრთვნიდა და რწმენას უმტკიცებდა ყოველ მამულიშვილს, თუ ჩვენ ამის სურვილი, ნდობა და უნარი დავკარგეთ, მაშინ დაგვიკარგია და დაგვივიწყნია საკუთარი ვინაობა და ეგ არის.

„ერად სახსენებელი არ არის იგი, რომელსაც ღმერთი გასწყრომია და თავის ისტორია აღარ ახსოვს“, – გვმოძღვრავს დიდი ილია და აქვე დასძენს: „ერი თავის გმირებში ჰპოულობს თავის სულსა და გულს, თავის მწვრთნელსა, თავის ღონესა და შემძლებლობას, თავის ხატსა და მაგალითს“...

ჩვენი ერის ისტორიული წარსული ჩვენთვის და განსაკუთრებით მომავალი თაობისათვის უნდა იყოს მარადიული გაკვეთილი, მისი ღრმა შესწავლა და წარმოჩენა აუცილებლად სულიერად აამაღლებს და ფიზიკურად გააძლიერებს დამოუკიდებელ საქართველოს. კიდევ უფრო მეტად და მეტად აქეთკენ უნდა იყოს მიმართული ჩვენი ლიტერატურისა და ხელოვნების, პრესისა და განსაკუთრებით ტელევიზიის ძალისხმევა. ტელევიზია ხომ ჩვენი ფიზიკური და სულიერი ცხოვრების თანამგზავრია და მის ეკრანს ადამიანები საკმაოდ დიდ დროს ვუთმობთ, მისგან ყოველგვარ ინფორმაციას ვიღებთ, კარგსაც და, არ მოვერიდები ამის თქმას, სამწუხაროდ – ზოგჯერ ცუდსაც. სწორედ ამ „ცუდს“ შეუძლია დაარღვიოს მოზარდი თაობის ეროვნული თვითშეგნების ფსიქიკა და იქითკენ უბიძგოს, რაც ერისათვის მიუღებელია და საზიანო.

**დღეს საქართველოს ტელევიზია ახლის ძიებაშია და სასიამოვნოა ის ფაქტიც ძველ კარგსაც რომ არ ივიწყებს, და ეს ძველი კარგი ჩვენი ერის ისტორიული წარსულია, მისი ხალასი ტრადიციები, მისი სწრაფვა შეინარჩუნოს საკუთარი ვინაობა, რაც არავითარ შემთხვევაში არ გამორიცხავს – ეზიაროს იმ კარგსაც, რომელიც დღევანდელ კაცობრიობას გააჩნია.**

ყოველივე ზემოთ თქმულის შემდეგ, გვინდა გითხრათ, რომ ეს წერილი დაგვაწერინა საქართველოს ტელევიზიის ფრიად სასიამოვნო და ამაღელვებელმა ორნაწილიანმა გადაცემამ **„დავით აღმაშენებელი“, რომლის პრემიერაც მთელმა საქართველომ იხილა 11, 12, 15 და 16 აგვისტოს, სწორედ იმ ისტორიულ დღეებში, ცხრა საუკუნის წინათ, 1121 წელს, საქართველოს ყოფნა-არყოფნის ბედი რომ წყდებოდა დიდგორში.**

ამ დიდებული გადაცემის ავტორი და შემსრულებელი-მთხრობელი არის საქართველოს დამსახურებული არტისტი ზაზა ბაწელაშვილი. მას გადაცემის სცენარი შეუდგენია არსენ იყალთოელის, უცნობი მემატიანის, დავით აღმაშენებლის, ილია ჭავჭავაძის, ივანე ჯავახიშვილის, როინ მეტრეველის, ლევან სანიკიძის, ანა კალანდაძისა და მურმან ლებანიძის ნაწარმოებთა მიხედვით და სწორედ ამან განაპირობა გადაცემის მაღალმხატვრულობა, რასაც გვირგვინივით მოერგო მსახიობის დიდებული ხმა და უზადო თხრობის ნიჭი. იგი თითქოს დავით აღმაშენებლის დროის მემატიანეა და საუკუნეებიდან გვესმის მისი ხმა. აი, 16 წლის ჭაბუკი დავითი გაპარტახებული საქართველოს სამეფო ტახტზე ჯდება; ქვეყანა განადგურებულია, ქრისტიანობა შერყეულ-შეგინებული, თავადაზნაურობა ორგული, ხალხი დაშინებული, ირგვლივ სამყარო თურქთაგან დაბნელებული და თითქოს ხსნა არსაიდან არის, მაგრამ არა, კადრი იცვლება, გელათის ტაძართან დგას მთხრობელი და ჩაგვესმის მისი ზარივით ხმა: – და სწორედ რომ დროზედ „ბნელსა უკუნსა შინა იწყო აღმოცისკრებად მზემან ყოველთა მეფობათამან, დიდმან სახელითა და უდიდესმან საქმითა, სახელმოდგმამამ დავით“... ეს სიტყვები თითქოს სიმბოლურად და მრავალისმეტყველად ჟღერს დღევანდელი საქართველოსთვისაც, სულში იმედის სხივივით შემოდის და გულს გვითბობს.

როგორც ჩანს, ზაზა ბაწელაშვილი ღრმად ჩააფიქრა ამ ათიოდე წლის განმავლობაში ჩვენს თავზე დატრიალებულმა უბედურებებმა, რადგანაც საქმე გვქონდა მძიმე ისტორიული წარსულის თითქმის განმეორებასთან. ყოველი ჭეშმარიტი მამულიშვილი ასეთ დროს თავის თავში ეძებს იმ ძალასა და შესაძლებლობებს, რომლითაც შეუძლია შავ დღეში ჩავარდნილ სამშობლოს ხელი, გული და სული შეაშველოს. ზაზა ბაწელაშვილმა ეს ძალა და შესაძლებლობები თავის თავში გამოძებნა და ჩაუჯდა „ქართლის ცხოვრების“ ღრმა შესწავლას. მტკიცედ გადაწყვიტა წარსულის აკლდამებიდან გმირ წინაპართა სახელები გამოეხმო და შეექმნა ტელეგადაცემათა სერიალი „ზარი მეფობისაი“,

# „ზარი მეფობისაი“

მიზანი ერთი იყო და ნათელი – სულითა და ხორცით მოშლილი ერისათვის წინაპართა ღვთიური სხივები გადმოენთო... რაც ეგზომ საჭიროა ყოველთვის და მით უმეტეს, დღეს! მან თავისი ჩანაფიქრის განხორციელება ყველაზე დიდი ქრისტიანი მეფით – დავით აღმაშენებლით დაიწყო და ტელეგადაცემათა ციკლის საერთო სათაურიც დავით აღმაშე-



ნებლის „გალობანი სინანულისანი“-დან აიღო: „ქამი რაი წვლილთა და ხმელთა აღმოფშვინვათაი წარმოდგეს, ზარი მეფობისაი წარხდეს და დიდებაი დაშრტეს“, ამბობს დავით აღმაშენებელი მეცხრე გალობაში და ამ „გალობანით“ იგი თითქოს ამქვეყნიურ ცხოვრებას ემშვიდობება და ღვთიურ ნათელში დასამკვიდრებლად ემზადება.

„ზარი მეფობისა“-ის პირველი სამი გადაცემა „დავით აღმაშენებელი“, „თამარ მეფე“ და „ვახტანგ გორგასალი“ საქართველოს ტელევიზიამ 1996-98 წლებში არაერთხელ აჩვენა. შემდგომში ამ გადაცემებმა განაპირობეს ზაზა ბაწელაშვილის მონაწილეობა ოთხნაწილიან სატელევიზიო ფილმში „ფარსმან ქველი“, რომელიც გელა ქოქიაშვილის პოემის „არმაზელების“ მიხედვით გადაიღო საქართველოს ტელევიზიამ.

მიუხედავად ფინანსური დაბრკოლებებისა, ზაზა ბაწელაშვილს არ შეუწყვეტია შემოქმედებითი მუშაობა და კვლავ ისტორიულ-ლიტერატურულ წყაროებზე დაყრდნობით ქმნის ახალ სცენარებს გადაცემებისათვის „დემეტრე თავდადებული“ და „გიორგი ბრწყინვალე“. ამასთანავე კვლავ აგრძელებს დავით აღმაშენებლის თემაზე მუშაობას, მან ხომ ერთი გადაცემით დიდი მეფის შესახებ ყველაფერი ვერ თქვა...

და აი, ამასობაში უკვე მიიწურა XX საუკუნე, შესრულდა საქართველოს სახელმწიფოებრიობის 3000, ქრისტეშობიდან 2000 და დავით აღმაშენებლის მიერ საქართველოს სრული დამოუკიდებლობის აღდგენიდან 900 წლისთავი. ამ წმინდა თარიღებს ვერც ერთი ქართველი მეფე ისე ვერ დაამშვენებდა, როგორც დავით აღმაშენებელი და ზაზა ბაწელაშვილი ხელახლა მიუბრუნდა დიდი მეფის თემას, შექმნა ახლებურად გააზრებული სცენარი და ამასთანავე დაიწყო მისი გადაღებისათვის ფინანსური საშუალებების მოძიება. და თუ არა ქ. თბილისის მერია, პირადად ბატონი ვანო ზოდელავა, საქართველოს უნივერსიტეტის რექტორთა საბჭო, პირადად ბატონი როინ მეტრეველი და კიდევ ის კეთილი ადამიანები, რომელთაც უაღრესად საჭირო მამულიშვილური დახმარება აღმოუჩინეს ზაზა ბაწელაშვილს, ეს შესანიშნავი გადაცემა ცისფერ ეკრანს, ალბათ, ვერ იხილავდა. რა თქმა უნდა, უმადურობა იქნებოდა, თუ არ ვიტყვით იმასაც, რომ ზაზა ბაწელაშვილს, პირველ ყოვლისა, დიდი დახმარება და თანადგომა აღმოუჩინეს საქართველოს ტელევიზიის მესვეურებმა, ბატონებმა: ზაზა შენგელიამ, გიორგი ლეონიძემ და ელდარ გიორგობიანმა. სწორედ ამ მამულიშვილებისა და გადამღები ჯგუფის (პროდიუსერი თამაზ ტყემალაძე, რეჟისორი ავთანდილ დიდებულიძე, ოპერატორი გელა ჭანტურიშვილი, ვიდეოინჟინერი შალვა მურუსიძე), ერთობლივმა ძალისხმევამ დაბადა ეს საიუბილეო ფილმი-მატიანე „დავით აღმაშენებელი“ და ჩვენი ერის წმინდა თარიღებს მიეძღვნა.

გადაცემის პირველი ნაწილი მთლიანად საქართველოს ფიზიკურ და სულიერ აღორძინებას ეხება.

„მას ჟამსა მოეშენა ქუეყანა ქართლისა, განძლიერდა დავით, განიმრავლა სპანი და არღარა მისცა სულტანსა ხარაჯა“ და აი ასე, 1099 წელს დავით აღმაშენებელმა საქართველოს სრული დამოუკიდებლობა აღადგინა და ამიერითგან „თურქნი ვერღარა დაიზამთრებდეს ქართლს“, – გვაუწყებს მთხრობელი და ქრონოლოგიური სვლით მოგვითხრობს დავით აღმაშენებლის ძლევამოსილ წინსვლას! აგერ კახეთ-ჰერეთი შემოიერთა, იმავდროულად დაიწყო ეკლესიის განწმენდა უღირს მღვდელთმთავართაგან, აშენებს ქალაქებს, სოფლებს, გზებს, ხიდებს, ეკლესია-მონასტრებს, აღიღო სამშვილდე, რუსთავი, ციხე გიში, უფლისწული დემეტრე გაგზავნა სალაშქროდ შირვანს, საიდანაც იგი გამარჯვებული დაბრუნდა, შემდეგ დავითმა აღიღო ციხე-სიმაგრე ლორე, ახლა ყივჩაღები გადმოასახლა საქართველოში და მათგან მუდმივი სამეფო ჯარი შექმნა... შემდეგ არნახული გამარჯვება დიდგორში, რასაც თბილისის აღება მოჰყვა და საქართველოს დედაქალაქი „ოთხას წელს ქონებული სპარსთა“ მტერს ხელიდან გამოჰგლიჯა „და დაუბრუნა შვილთა თვისთა საჭურჭლედ და სახლად თვისად საუკუნოდ“. ამას მოჰყვა ანისის განთავისუფლება და ქალაქ დმანისის აღება და ქართული მიწა-წყალი მთლიანად ერთიანი საქართველოს საზღვრებში მოექცა, რის შემდეგაც დავით აღმაშენებელმა ხელმეორედ ილაშქრა შირვანს და დარუბანდს დასცა თავისი დიდი სამფლობელოს სამანი და მისი კავკასიური სახელმწიფო გადაიჭიმა „ნიკოფსითგან დარუბანდისა ზღვადმდე და ოვსეთიდგან სპერად და არეგაწადმდე“.

გადაცემის მეორე ნაწილი დავით აღმაშენებლის სულიერ ცხოვრებას ეხება, რომელიც ასე მშვენივრადაა ასახული მის ანდერძსა და „გალობანი სინანულისაში“. დღემდე ვერავინ შეძლო სრულად მოემზადებინა და საჯაროდ წაეკითხა დიდებული მეფის ნაწარმოებები, რადგანაც იგი ნიჭთან ერთად, დაუცხრომელ შემოქმედებით შრომას მოითხოვს. ძნელია იმეტყველო დავით აღმაშენებლის ღვთიური ენით, თუ ღმერთიც არ დაგეხმარა, თუ არ ჩაგაგონა, თუ არ შეგმართა. ძალიან უნდა გიყვარდეს შენი სამშობლო, შენი წინაპრები, ეს რომ შეძლო. გვაოცებს ზაზა ბაწელაშვილის დაუშრეტელი ენერგია, შემოქმედებითი შრომის უნარი, როგორ შეძლო ამდენი ისტორიული გადაცემებისათვის, ზღვა მასალის მომზადება და ტელეეკრანიდან წაკითხვა, რასაც მან თურმე შვიდი წელიწადი შეალია.

და ბოლოს, როგორც რიგითმა მაყურებლებმა, მადლობა გვინდა გადავუხადოთ საქართველოს ტელევიზიას, ასეთი შესანიშნავი გადაცემა რომ გვაჩუქა; იმედია, კვლავ გააგრძელებს ამ მხრივ შემოქმედებით მუშაობას და მალე ტელეეკრანის შუქს იხილავენ ახალი გადაცემები „დემეტრე თავდადებული“ და „გიორგი ბრწყინვალე“, რომლებიც უკვე მზადა აქვს ზაზა ბაწელაშვილს და ელის ფინანსურ შემწეობას; ყოველივე ზემოთ თქმული გვაძლევს იმის უფლებას, რომ გამოვთქვათ ჩვენი სურვილი ზაზა ბაწელაშვილის სახელმწიფო პრემიაზე წარდგენის შესახებ.

**სილოვან ნარიმანიძე,**
**ანზორ აბულაშვილი.**

ხიდები

# „მზე შინა“ და ქართველი მეგობრები

**აკაკი ხორავას სახელობის მსახიობის სახლში გაიმართა ქართული ხალხური სიმღერის საღამო სახელწოდებით „ტრიო „მზე შინა“ და ქართველი მეგობრები“. ეს კონცერტი საფრანგეთის საელჩოს, „ალიანს ფრანსეზისა“ და „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის“ დახმარებით მოეწყო.**

ტრიო „მზე შინას“ წევრები დენიზ და კრეგ შეიფერები და ლორან სტეფანი საფრანგეთში არსებული ქართული ხალხური სიმღერის ანსამბლ „მარანის“ წევრები და ცალკე დამოუკიდებელი ტრიოს „მზე შინას“ შემქმნელებიც არიან.

ანსამბლ „მარანს“ 10 წლის ისტორია აქვს. იგი პარიზში ჩამოაყალიბა ფრანკ კენმა, რომელიც დღემდე ემსახურება საფრანგეთში ქართული ხალხური სიმღერის შესწავლა-პოპულარიზაციას. ფრანკ კენი 1990 წელს საქართველოში გამართული ქართული ხალხური სიმღერის ფესტივალის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე იყო. მღეროდა ქართული ფოლკლორის მოყვარე იაპონელებთან ერთად. ანსამბლი „მარანი“ თავისი ხარჯებით საფრანგეთში იწვევს პროფესიონალ ქართველ ფოლკლორისტებს და მათი დახმარებით სწავლობს ძველ ქართულ ხალხურ პოლიფონიურ სიმღერებს და პოპულარიზაციას უწევს მსოფლიო მასშტაბით. ანსამბლს გამოშვებული აქვს კომპაქტდისკი სახელწოდებით „სუფრა“.

„მარანთან“ არსებული ტრიო „მზე შინა“ ოთხი წელია რაც არსებობს. ტრიომ შემოიარა საქართველოს კუთხეები, შეაგროვა და შეისწავლა უძველესი მრავალხმიანი სიმღერები. ბოლოს ისინი დასავლეთ საქართველოში იყვნენ სტუმრად, მათ მეგზურობა-მასპინძლობას უწევდნენ ოზურგეთელი ფოლკლორისტები, ძმები ტრისტან და გური სიხარულიძეები. ტრიო მათთან ერთკვირიანი ფოლკლორული გაკვეთილების შემდეგ ქ. ოზურგეთში პირველად წარსდგა ქართველი მსმენელების წინაშე ანსამბლ „შვიდკაცასთან“ ერთად. თბილისელებთან შეხვედრა კი მოუწიათ სხვადასხვა ანსამბლებთან („მზეთამზე“, „გეორგიკა“, „ანჩისხატი“), მათ გვერდით იყვნენ ფოლკლორისტები ვაჟა გოგოლაძე, ტრისტან და გური სიხარულიძეები, ხალხურ საკრავთა ოსტატები: ალეკო ხიზანიშვილი და ხვიჩა ხეთისიაშვილი. ტრიომ ქართველ მეგობრებთან ერთად შეასრულა „დიდება“, „აღდგომასა შენსა“, „ნეტავი გოგო“, „შირაქის ველზე“, „ბახტრიონი“, „განდაგანა“, „ჩვენ მშვიდობა“, „ასკანური მრავალჟამიერი“ და სხვა.

ტრიოს წევრებისათვის ქართული ხალხური სიმღერების შინაარსი კი ცნობილია, მაგრამ ცალკეული სიტყვები გაუგებარია. ამიტომ მონდომებით ცდილობენ თვით ქართული ენის დაუფლებას. თბილისელმა მსმენელმა გულთბილად მიიღო მათი ხელოვნება.

**მზეხა მახარაძე.**

საქართველოს რესპუბლიკა

სახიობა

№ 261. ხუთშაბათი, 28 სექტემბერი, 2000 წელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## წლები, მზის წლები

# ყველანი ბავშვობიდან მოვდივართ

**რევაზ ლაღიძე, ეს სახელი თითოეული ჩვენგანისთვის ძალზე ახლობელია. არ მეგულება საქართველოში ადამიანი, რომ არ ეთაყვანებოდეს მის მუსიკას, შემოქმედებას, რომელიც თავისი მელოდიურობით ადვილად გამოირჩევა ყველა სხვა კომპოზიტორთა ნაწარმოებებიდან, მისი მუსიკა ქართული გენითა და სულით არის გაჟღენთილი.**

ბატონი რეზო დაბადებით ქალაქელი იყო. 1921 წლიდან ცხოვრობდა და იზრდებოდა დიდუბეში, „დეზერტირების" ბაზართან. ბატონი რეზოს შესახებ საინტერესო ამბები მიამბო მისმა ბიძაშვილმა და თანშეზრდილმა, თბილისის მუსიკალური კომედიის თეატრის ვეტერანმა მსახიობმა, რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა, ღირსების ორდენის კავალერმა, დიდმა ბებიამ, ქალბატონმა ნინო ლაღიძემ.

რა თქმა უნდა, ფართო საზოგადოებრიობისათვის კარგად არის ცნობილი ბატონი რეზოს მეგობრობა გამოჩენილ ადამიანებთან, მაგრამ ბევრისთვის უცნობია მისი ბავშვობის და ყრმობის წლებში განვლილი, თავსგადახდენილი კურიოზული ამბები. დავიწყოთ მისი ბავშვობიდან.

რეზოს მშობლები წარმოშობით ბაღდათის რაიონის სოფელ პირველი ობჩიდან იყვნენ. ისინი თბილისში საცხოვრებლად 1920 წელს გადმოსულან. მამა, ილია ლაღიძე, წლების განმავლობაში, ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოში მთავარ ბუღალტრად მუშაობდა, – მიამბობს ქალბატონი ნინო. – დედა, ლუბა ჯაფარიძე იყო დიასახლისი, დიდი მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული ქალბატონი, რომელიც კარგად მღეროდა და შესანიშნავად უკრავდა გიტარაზე. ლაღიძეებიც მოქეიფე, მოლხენი, მომღერალი გვარისშვილები იყვნენ. ასე რომ, რეზოს გენეტიკურად მუსიკალური ნიჭი მოსდგამდა.

1921 წლის ზაფხულის ერთ-ერთ თაკარა ცხელ დღეს, კერძოდ, 10 ივლისს, ბაღდათში თბილისიდან დასასვენებლად ჩასულ ილია ლაღიძის მეუღლეს, ქალბატონ ლუბას ვაჟი შეეძინა, რომელსაც ნათლიებმა რეზო დაარქვეს. მშობიარობა მიიღო ცნობილმა ქართველმა ექიმმა, პროფესორმა ნიკოლოზ კახიანმა, რომელიც იმ ხანად კონსულტაციებს უმართავდა ადგილობრივ სამედიცინო პერსონალს. რეზო ჭიპლარშემოხვეული დაიბადა. მისი ბებია ძალზე განიცდიდა, ბავშვი ხომ არ დაზიანდა და სამშობიარო ტრავმა არ დარჩესო. პროფესორ ნიკოლოზ კახიანს დაუმშვიდებია შეშინებული ბებია და მისთვის დაწყნარებით უთქვამს:– „ნუ გეშინიათ, ქალბატონო, ეს ახალდაბადებული იმერელი ქართველების საამაყო ბიჭი იქნებაო". ასე აგიხდეთ ყველაფერი.

ბაღდათში დაბადებული რეზო შემოდგომაზე თბილისში ჩამოიყვანეს. მან დაამთავრა მე-2 მუსიკალური სასწავლებელი ვიოლინოს განხრით და, როგორც ნიჭიერი მოსწავლე, ჩაირიცხა თბილისის კონსერვატორიაში, ანდრია ბალანჩივაძის კლასში. მისი ნიჭისა და ტალანტის აღიარების შესახებ ერთ გახმაურებულ ეპიზოდს მოვიყვან:

მოსკოვში მიმდინარეობდა საბჭოთა კავშირის კომპოზიტორთა ყრილობა. მომხსენებელმა, რატომღაც, კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარა ახალგაზრდა ქართველი კომპოზიტორი რეზო ლაღიძე. ასეთი ნიჭის პატრონი, დროს ფუჭად ფლანგავს ქეიფში, ნადირობასა და თევზაობაში, დრო აღარ რჩება სერიოზული მუსიკალური ნაწარმოებების შექმნისათვისო. გამომსვლელს მხარი აუბეს სხვებმაც და ბოლმა და ჯავრი იყარეს რეზოზე. ამას დიდი გულისყურით უსმენდა თანამედროვეობის უდიდესი საბჭოთა კომპოზიტორი დიმიტრი შოსტაკოვიჩი, რომელმაც სიტყვა ითხოვა და ასე შეაფასა ლაღიძის შემოქმედება.

„ვოცნებობ, დამაწერინა ლაღიძის მაგვარი „საჭიდაო" და მერე დარჩენილ სიცოცხლეს ქეიფსა და ნადირობაში გავატარებდი". ალბათ, კომენტარი ზედმეტია.

გავყვეთ რეზოს ბავშვობის უცნობ ეპიზოდებს. რეზო საზაფხულო არდადეგების დაწყებიდან მეორე დღესვე დასასვენებლად სოფელ პირველ ობჩაში ჩადიოდა. მას სიგიჟემდე უყვარდა სოფელი, მის ტყესა და ველებში ნავარდი. ქალბატონი ნინო იგონებს, რეზო ძალიან ცელქი და მოუსვენარი ბავშვი იყო, ამასთან, კეთილი და ადამიანების მოყვარული, გონებაგახსნილი და დიდი იუმორით დაჯილდოებული. რეზოს სოფელში ჩამოსვლით ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. სოფლის მონოტონური, ყოველდღიური ცხოვრების წესი დიამეტრულად იცვლებოდა. რეზოს ახალი სიცოცხლე და ხალისი მოჰქონდა არა მარტო ჩვენთვის, არამედ უფროსი თაობის წარმომადგენლებისთვისაც. მის ფანტაზიას საზღვარი არ ჰქონდა. დგამდა სპექტაკლებს, იგონებდა ახალ-ახალ თამაშებს, მოკლედ, მისი ჩამოსვლით მთელი სოფელი ხარობდა.

სოფელში უამრავი ბიძაშვილ-მამიდაშვილი ვიყავით. ყველანი ერთი სიყვარულით ვცხოვრობდით, მაგრამ, რატომღაც, მე, რეზო და ზალიკო (ჩვენი ბიძაშვილი) დღედალამ ერთად ვიყავით. განსაკუთრებით გვიყვარდა ერთმანეთი. ბიჭები ძალიან მათამამებდნენ. სათევზაოდ და „ლაგატკით", სანადიროდ წასულებს აჩრდილივით თან დავყვებოდი, ერთი წუთითაც არ ვშორდებოდი. რეზო დაჭერილ თევზებს გულუხვად გვირიგებდა, „ლაგატკით" დახოცილ შაშვებსაც და ბეღურებსაც თანაბრად გვინაწილებდა ყველას.

12-13 წლის ბავშვები რეზოს რეჟისორობით ვდგამდით სპექტაკლებს, რომელსაც მთელი სოფელი ესწრებოდა. ვხატავდით და ვყიდდით სპექტაკლებზე დასასწრებ ბილეთებს, რომლის შემოსავალი, რეზოს ინიციატივით, ხმარდებოდა სოფლის ბიბლიოთეკას, ამ თანხით ვიძენდით წიგნებს, ჟურნალებს და ბიბლიოთეკაში ვაბარებდით. სკოლის მოსწავლეებისათვის (ხელმოკლე ოჯახებიდან) ვყიდულობდით სასწავლო წიგნებს.

ერთხელ რეზომ გადაწყვიტა, დაედგა შარლ პეროს ზღაპარი „წითელქუდა". მე ძალიან მინდოდა მეთამაშა წითელქუდა, მაგრამ რეზო გაჯიუტდა (არ მახსოვს, ალბათ, რაღაც ვაწყენინე) და არ მომცა ეს როლი. გაბრაზებული ტირილით გავიქეცი დედაჩემთან და მოვუყევი ყველაფერი. დედა სიცილით შემომყვა „მთავარ რეჟისორთან" საპროტესტოდ. თეატრი ზალიკოს ეზოში, ბოსელთან, ხის ტოტებისაგან ავაგეთ, იქვე მოვაწყეთ „ტრიბუნები" და სცენა. დედაჩემმა სიცილით სთხოვა „მთავარ" რეჟისორს: „რეზო, შვილო, რატომ ატირებ ამ ბავშვს, შენი და არ არის? ნინიკოს რა როლიც უნდა, ის ათამაშე". რეზოს მოერიდა მაკრინე ბიცოლასი და... წითელქუდა ვითამაშე. როგორც სოფელ ობჩის მაშინდელი „პრესა" წერდა, სპექტაკლმა საკმაოდ წარმატებით ჩაიარა. განსაკუთრებით აქებდნენ წითელქუდას როლის შემსრულებელს. რეზო დარწმუნდა ჩემს „ნიჭიერებაში" და მას შემდეგ ყველა დადგმაში მთავარ როლს ვთამაშობდი. ალბათ, სწორედ „ობჩაში" ნათამაშევი როლებიდან ჩაეყარა საფუძველი ჩემს შემდგომ მოღვაწეობას თეატრში.

შემდგომში, როდესაც თბილისის მუსიკალური კომედიის თეატრის მსახიობი გავხდი, რეზო ყურადღებას არ მაკლებდა და ხშირად მოდიოდა ჩვენთან, თეატრში. არ გამოტოვებდა არც ერთ პრემიერას, რომელშიც ვმონაწილეობდი. მაშინ მივხვდი, რომ რეზომ როგორც იქნა „მალიარა" მსახიობად. ერთხელ სპექტაკლში „რაც გინახავს, ველარ ნახავ" ვთამაშობდი ერთ-ერთ მთავარ როლს, ტასიკოს. სპექტაკლის დამთავრების შემდეგ, საგრიმიოროში გახარებული რეზო შემოვიდა, მომილოცა კარგი თამაში და გამარჯვება, შეაქო ჩემი ვოკალი, „მარია კალასი იყავი სცენაზეო" და ეშმაკური ღიმილით მითხრა: „გოგო, დაიმახსოვრე ჩემი დარიგება, ამ თეატრის რეჟისორები ახალ დადგმებში კარგ როლებს თუ არ მოგცემენ, ობჩიდან, დედაშენი, მაკრინე ბიცოლა ჩამოიყვანე და შავ დღეს დააყრის სუყველას". მაინც გადამიხადა რეზომ სამაგიერო ობჩაში, როლების განაწილებაზე დასმენისათვის. ყველას გულიანად გაგვეცინა და გადავედით ბავშვობის მოგონებებში. რეზო ბუნებით რომანტიკოსი იყო, მას ძალიან უყვარდა სოფლის მთვარიანი ღამეები, ისეთი ნათელი ღამეები იცოდა ჩვენთან, რომ მის შუქზე წიგნის წაკითხვაც შეიძლებოდა. სად იყო მაშინ ობჩაში „ილიჩის" ნათურა, მთვარის შუქზე, უფროსებთან ერთად, დავსხდებოდით და უამრავ საინტერესო ამბებს ვუსმენდით. აქა-იქ ისმოდა მოქნეული, ხალასი იუმორი, სასაცილო ამბები იმერული დიალექტით გაზავებული. იყო გემრიელი ქართული სიმღერები ბანტიანი გიტარის თანხლებით. სულგანაბული რეზო დიდი გულისყურით ისმენდა და იმახსოვრებდა ყოველ ნიუანსს, რომელიც, შემდგომ ლამაზად აისახა მის ქმნილებებში.

სოფელ პირველ ობჩაში ლაღიძეები ბევრნი ვიყავით, ერთი ფუძიდან განაყოფები, ამის გამო, ბიცოლები და ბიძები მრავლად გვყავდა. რა თქმა უნდა, ყველა გვიყვარდა და პატივს ვცემდით, მაგრამ მე, რეზოს და ზალიკოს გამორჩეულად ლეონინა ბიცოლა გვიყვარდა, კეთილი, სათნო, გულუბრყვილო, ბავშვების მოყვარული ქალი. რაც არ უნდა დაგვეშავებინა, ხმას არ აუწევდა, პირიქით, მოგვეფერებოდა და „შენი ჭირი წაუღიაო", იტყოდა გატეხილ ნივთზე.

ვერიჩკა ბიცოლა, ზალიკოს დედა, შესანიშნავი ქალი იყო, ბავშვების მოყვარული და სტუმრის პატივისმცემელი, ამასთანავე, მკაცრიც. თვალისჩინივით უფრთხილდებოდა ყველა ნივთს და საგანს.

ერთხელ ზალიკოს ეზოში ჩვენი სამეული „რეპეტიციას" გავდიოდით. ამ დროს ზალიკოს დედასთან, ვერიჩკასთან მოვიდა ლეონინა ბიცოლა და ღვინისათვის ტიკი სთხოვა. „ვერიჩკა, ხვალე სოფელ სვირში მივდიეარ ბაზრობაზე, ღვინო მინდა წავიღო გასაყიდად და „კუპრიელი" (იმერულად, ე. ი. „ტიკი") მათხოვეო". ვერიჩკა ბიცოლამ იცოდა ლეონინას „ხელმარჯვეობის" ამბავი და პირდაპირ დიპლომატიური შესავლის გარეშე უარი სტკიცა. „არა, ლეონინა, ვერ გათხოვებ, გენაცვალე, „კუპრიელს", შენი ამბავი რომ ვიცი, გამიხეთქავ გზაში და გამიფუჭებო", უარით განაწყენებული ლეონინა შეწუხდა, მაგრამ არ შეიმჩნია, ის იყო სახლში უნდა დაბრუნებულიყო, უეცრად, რეზომ ხმამაღლა შეუძახა ვერიჩკა ბიცოლას: – რა არის ბიცოლა, რა სადისტივით იქცევი, რა მოგივიდა, ათხოვე ეს ოხერი „კუპრიელი" ლეონინას, ხომ არ შეგიჭამს, გაყიდის იმ ღვინოს და უვნებლად დააბრუნებს. ვერიჩკა გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდა, რეზო ძალიან უყვარდა, ამასთან, მისი დიდი ხათრიც ჰქონდა. ამ დროს, ზალიკომაც შეუჩიჩხინა დედამისს, სადისტი ხარო – მიაძახა. რა ექნა ვერიჩკას, ადგა და გაატანა კუპრიელი ლეონინას.

მესამე დღეს გამოჩნდა კუპრიელით ხელში თავჩაქინდრული, დარცხვენილი, შეწუხებული ლეონინა, ძლივს მოლასლასებდა. მის დანახვაზე ვერიჩკამ გუმანით იგრძნო, რომ მის ოჯახს „დიდი უბედურება დაატყდა თავს" და აკანკალებული ხმით, მოთქმით მიატირა: „რა იყო, ლეონინა, რა მოხდა, დამღუპე... ხოოო, ქალო". „ხოო... ვერიჩკა, ხოო..." ტირილით უპასუხა ლეონინამ, გზაში მართლა გამისკდა „კუპრიელი" და მთელი ღვინო დამექცაო" და კივილი მორთო. ამის შემყურე, რეზო, ზალიკო და მე, სიცილით ვიგუდებოდით. რძლები კი, დიდი არტისტიზმით დასტიროდნენ ბალახზე დაგდებულ, მუცელგამოფატრულ „კუპრიელს".

უეცრად ვერიჩკამ შეწყვიტა კივილი, გაბრაზებული, ანთებული თვალებით გადმოხედა რეზოს და ზალიკოს და ნიშნის მოგებით მიატირა ბიჭებს: „რავა, ბოშო.... თუ არ ათხოვებ ლეონინას, რამეს, ეს ლაწირაკები, „დესანტი" და „სკლუპოი" ხარო, მოგაძახებენ, ათხოვებ, და, გახეთქილს და გაფუჭებულს მოგიტანს. მე, ახლაც, „დესანტი" ვარ?" იკივლა ვერიჩკამ. „დესანტისა" და „სკლუპოის" გაგონებაზე ბიჭები მიწაზე გორაობდნენ და სიცილით იგუდებოდნენ. ვერიჩკას „სადისტი", „დესანტში" აერია. მიწაზე გაგორებული რეზო სიცილით ეკითხებოდა ვერიჩკას: „ბიცოლა, ვერ გაიგე კარგად, ვინა ვარო?!" „დესანტი", „დესანტი", – თქვე „სასიკვდილეებო" – კიოდა ვერიჩკა, ბიჭები კი სიცილით იხოცებოდნენ, ამ შემთხვევას რეზო მთელი ცხოვრება იგონებდა და ისევე გულიანად იცინოდა, როგორც მაშინ.



კომპოზიტორი რევაზ ლაღიძე.

გაფრინდა ბავშვობის უზრუნველი წლები, წამოვიზარდეთ. ზალიკო თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი გახდა. ბინად, რა თქმა უნდა, რეზოსთან ცხოვრობდა. იდგა 1942 წელი, სამამულო ომი მძვინვარებდა, გაჭირვება, შიმშილი მოდებოდა მთელ ქვეყანას. ერთ მშვენიერ დღეს, რეზოს და ზალიკოს, სოფლიდან ღვინით დატვირთული ვერიჩკა ესტუმრა. ბიჭების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. – აბა, გვიქეიფიააა... – გახარებულმა „დავლური" ჩამოუარეს, მაგრამ სიხარული ხანმოკლე აღმოჩნდა. – ერთ ბოთლსაც ვერ დალევთ, ღვინო უნდა გავყიდოთ, – „დემონსტრაციულად" განაცხადა ვერიჩკამ.

მეორე დღეს, ღვინოს გადაფოფრებული ვერიჩკა „დეზერტირების" ბაზარში ღვინოს ჰყიდდა. ბაზრიდან დაბრუნებული, მთელი დღე ფეხზე მდგომი, დაღლილი ვერიჩკა, გაუხდელად მიწვებოდა ტახტზე და მკვდარივით იძინებდა. ნავაჭრ ფულს სადღაც მალავდა, ბიჭებს რომ არ აეღოთ, არადა, ახალგაზრდა, ჯან-ღონით სავსე ბიჭებს ჯიბის ფული ჰაერივით სჭირდებოდათ, უყვარდათ თეატრი და კინო, შესასვლელი ბილეთების შესაძენად კი კაპიკი არ ჰქონდათ. ერთ დღეს, ზალიკოს „ბრწყინვალე" აზრი მოუვიდა, ბაზრიდან დაბრუნებული დედამისისათვის ცოტაოდენი ფული "მოეპარათ" თეატრის ბილეთების შესაძენად.

ბაზრიდან დაბრუნებული, ტახტზე მიწოლილი მძინარე ვერიჩკა ბიჭებმა თავიდან-ფეხებამდე გაჩხრიკეს, მაგრამ ფულის ასავალ-დასავალს ვერ მიაგნეს. ბოლოს „ჩულქებიც" მოუჩხრიკეს და ფულსაც მიაგნეს. „ჩულქების" გახდა ზალიკომ თავის თავზე აიღო და ის იყო, უკვე ხელით უნდა შეხებოდა სანუკვარ ფულს, რომ ვერიჩკამ გაიღვიძა. ვაი, შენს ბიჭებს, იმათ დღე აყარა. რა ექნათ, გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნენ. სწრაფად გადაწყვიტეს ქურდობა ბანდიტიზმით შეეცვალათ. რეზომ ბიცოლამისს აფართხალებულ ფეხებში წაავლო ხელი და გააკავა, ზალიკო კი დედამისის „ჩულქებს" ეცა და ფულს დაუწყო ძებნა. ვერიჩკას დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, „ჩულქები" შემოახიეს და თეატრის ბილეთებისათვის საჭირო თანხა მოიტაცეს, დანარჩენი ფული მაგიდაზე დაყარეს და ორივემ მარჯანიშვილის თეატრისაკენ მოკურცხლეს. ოთახში ვერიჩკას წივილკივილზე რეზოს მშობლები შემოცვივდნენ. როდესაც სიტუაციაში გაერკვნენ, ისტერიული სიცილი ატეხეს, გაკვირვებული და დაზარალებული ვერიჩკა გაოცებული შეჰყურებდა თავის მაზლს და რძალს. რა აცინებთ ამ უბედურებს, როდესაც სახლში ორი ყაჩაღი ჰყავთო.

გვიან ღამით, თეატრიდან დაბრუნებულ ბიჭებს გაღიმებული ვერიჩკა დახვდათ. მაგიდაზე დღის ნავაჭრი ფული ედო. – მოდით, შვილებო, როცა დაგჭირდებათ ფული, აგერაა, მაგიდაზე და ეიღეთ, რამდენიც გინდათ, ოღონდ „ჩულქები" აღარ შემომახიოთ.

ეს იყო რეზოს მიერ ახალგაზრდობაში ჩადენილი პირველი და უკანასკნელი დანაშაული – ქურდობა-ბანდიტიზმით. ამ ეპიზოდს რეზო ხშირად იგონებდა და გულიანად იცინოდა.

რეზოს მთელი საქართველო ფეხით ჰქონდა შემოვლილი, სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული ბუნების დიდი ტრფიალი იყო. ერთხელ, თეატრში, პრემიერაზე ჩემს სანახავად მოსული საგრიმიოროში შემოვიდა. ვისაუბრეთ აქეთურ-იქეთურზე. უეცრად შეწყვიტა საუბარი, ჩაფიქრდა და მცირე პაუზის შემდეგ მითხრა: – გოგო, დაკვირვებიხარ, ჩვენთან, იმერეთში რომ მოდიხარ გზაზე, – ურმით მომავალი ზემო იმერელი გლეხი რომ შეგხვდება, ქუდს მოგიხდის და გეტყვის – კაი გამარჯობა, ჩემო ბატონო, კაი გამარჯობა... როგორ ბრძანდებით, მოგიკითხავს, არადა, სულ არ გიცნობს და არც იცის, ვინ ხარ, მაგრამ მაინც მოგიკითხავს, ისე, თითქოს მთელი მისი ცხოვრება შენზე ფიქრში აქვს გატარებული. აი, კულტურა, რომელიც ქართველ კაცს ოდითგანვე თან დაჰყვება. ამისათვის აღარ არის საჭირო ორი უმაღლესის დამთავრება, ეს სისხლში უნდა ჰქონდეს კაცს.

ნადირობის ტრფიალს, ბუნებაში ყოფნის დროს ებადებოდა ჯადოსნური ჰანგები. ჩვენი შეხვედრების დროს ყოველთვის მიზიარებდა თავის გულის ნადებს: – იცი, ნინო, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს მთებში რა ტემპერატურის წყაროებია, სულ ზეპირად ვიცი, – სიამაყით მეტყოდა. სწორედ აქ, მთაში, მდინარეებსა და ტბებში, მინდვრებსა და ტყეებში იბადებოდა ქართულ ფესვებზე აღმოცენებული ყველა მისი სიმღერა. მიკერძოებაში არ ჩამითვალოთ, მაგრამ, რეზოს სადარი ადამიანი, ალბათ, საუკუნეში ერთი იბადება, ეს ჩემი აზრია და არავის არ ვახვევ თავს, – ბრძანა ქალბატონმა ნინომ და თვალზე მომდგარი ცრემლი მოიწმინდა.

დიდი მადლობა გადავუხადე ქალბატონ ნინოს ლამაზი მოგონებებისათვის, მე კი, შეძლებისდაგვარად ვეცადე, უკლებლივ გადმომეცა მისი ნაამბობი რეზოს ბავშვობის წლებზე.

**ჯემალ კვანტალიანი.**

ავტორის ნახატი.

საქართველოს რესპუბლიკა
№ 261. ხუთშაბათი, 28 სექტემბერი, 2000

## სიახლე

# მრავალსახეობა ხელოვანისა

**(მეხუთე გვერდიდან)**

მეუღლე საყოველთაოდ ცნობილი ქართველი თეატრალური და კინორეჟისორი გიგა ლორთქიფანიძე, ქალიშვილები – მსახიობები, სიძე მსახიობი. მათ ოჯახში ცხოვრობენ და სუნთქავენ თეატრით. საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ თეატრი უყვარს ყველას, მაგრამ ყალბი, თვალშისაცემი, მყვირალა თეატრალობა არც ერთ მათგანს არ ახასიათებს...

ქეთევან კიკნაძე ფართო დიაპაზონის მსახიობია. საკმარისია გადაფურცლოთ წიგნი და მის მიერ შესრულებული როლების ფოტოები გადასინჯოთ, რომ დარწმუნდეთ, როგორ კარდინალურად განსხვავებულია მისი თმააბურძგნული, თვალებდაჭყეტილი მოსწავლე ბიჭი ნ. დუმბაძის და გ. ლორთქიფანიძის პიესაში „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ და მაღალზნეობრივი და შეუვალი, თავის რწმენაში გატანჯული ქეთევან დედოფალი. ქეთევან კიკნაძე ერთნაირი ნიჭითა და მონდომებით თამაშობს თითქმის გროტესკულ როლებს.

მსახიობს ოსტატობასთან, გამოცდილებასთან ერთად დიდი აქტიორული მიმზიდველობა, შინაგანი ალღო აქვს, რაც საშუალებას აძლევს ყოველ მხატვრულ სახეს თეატრში თუ კინოში, მოუნახოს თავისი განუმეორებელი ფერები, გამოძებნოს გასაღები მისი ფსიქოლოგიური სამყაროს ამოსახსნელად.

იმ წერილებში, რომლებიც წიგნშია შეტანილი, ყველგან ხაზგასმულია შემოქმედის უშუალობა, „გახსნილობა“, ქალური მიმზიდველობა. ქართული თეატრის ისტორიაში შესულია ქ. კიკნაძის ხატია, როქსანა, კნეინა ჩიტუნია, ბიძა და მთავარი როლები გ. ლორთქიფანიძის ეპიკურ ფილმებში: „დათა თუთაშხია“ (ბეჩუნი) და „წიგნი ფიცისა“ (ქეთევან წამებული).

შეიძლება თამამად ითქვას, რომ ქ. კიკნაძემ შექმნა მოკრძალებული, გულგახსნილი, მაღალი ზნეობის ქართველ ქალთა სახეები, რომლებიც ქართველმა მაყურებელმა არა მარტო მიიღო, არამედ შეიყვარა, გაითავისა. ყოველი მის მიერ შექმნილი სახე იქნება ეს კარიკატურული, უხეში ამალია ა. აფინოგენოვის „შიში“, კნეინა ჩიტუნია შ. დადიანის „გუშინდელნში“, კოკონა კ. ბუაჩიძის „მოვიგონოთ ჩვენი ახალგაზრდობა“, გემოვნების, ზომიერებისა და იუმორის თანდაყოლილი თვისების გამოხატულებაა. რომანტიზმი, ფსიქოლოგიური დამაჯერებლობა თან სდევს მის მიერ შექმნილ დრამატულ სახეებს. მსახიობი ერთგვარი თანაავტორია დრამატურგისა და რეჟისორისა. რეჟისორები კი, მართლაც, შესანიშნავი ჰყავდა – გ. ლორთქიფანიძიდან დაწყებული, მ. თუმანიშვილით, ა. ვასაძით, თ. ჩხეიძით, ვ. ყუშიტაშვილით, ლ. იოსელიანით, ი. კაკულიათი, გ. თოდაძით დამთავრებული. ქეთევან კიკნაძე, მართალია, დიდი რეჟისორის გიგა ლორთქიფანიძის ცხოვრების თანამგზავრია, მრავალი წელია მის გვერდითაა, მაგრამ არც მის წარმატებაში, არც მარცხში, თუ მას ეს ჰქონდა, მისგან არ იყო დამოკიდებული, მან თავისი სიტყვა, საკუთარი სიტყვა თქვა ხელოვნებაში. ეს ნათლად ჩანს იმ ნაწყვეტებიდანაც, რომლებიც წიგნის ავტორმა ამოკრიფა ქართველ კრიტიკოსთა წერილებიდან და რეცენზიებიდან, იმ მღელვარე სტრიქონებიდან, რომლებიც მის შესახებ დაწერეს და გამოაქვეყნეს თეატრის აღიარებულმა სპეციალისტებმა.

ქეთევან კიკნაძე



ქეთევან კიკნაძე თავისებური მრავალფეროვანი შემოქმედებითი ფენომენია, რომელიც, რასაკვირველია, გაამდიდრა გიგა ლორთქიფანიძესთან თანაცხოვრებამ, მაგრამ ნიჭიერმა მსახიობმაც, მომხიბვლელმა ქალმაც, სულიერად გაამდიდრა რეჟისორი, რომელთანაც ურთიერთობამ მოგვცა ორი ხელოვანის სანიმუშო ადამიანური და შემოქმედებითი ტანდემი. ყოველივე ამაში გვარწმუნებს შრომა, რომელმაც ჩვენი წიგნის თარო გაამდიდრა.

**ნადია ფალუტაშვილი.**

## თაობა

# თაოსნები იმედოვნებენ, რომ კონკურსი ტრადიციული გახდება

**ახალგაზრდა შემოქმედთა გაერთიანებისა და შემოქმედთა კავკასიური ცენტრის თაოსნობით მოეწყო ახალგაზრდა მუსიკოს-შემსრულებელთა საერთაშორისო ღია კონკურსი, რომელშიც მონაწილეობდნენ 16 წლამდე ასაკის ყმაწვილები.**

კონკურსი სამ ტურად წარიმართა და მასში საქართველოს გარდა, მონაწილეობდნენ ესტონეთისა და სომხეთის წარმომადგენლები. ჟიურის თავმჯდომარეობდა ქართველი მუსიკოსი შალვა შილაკაძე. მოსმენა მიმდინარეობდა ა. ვირსალაძის სახელობის ხელოვნების სკოლაში. ტურების გავლის შემდეგ გამოვლინდნენ გამარჯვებულები სამ ასაკობრივ კატეგორიაში. პირველ კატეგორიაში, რომელშიც ყველაზე უმცროსები შეეპაექრნენ ერთმანეთს, ჟიურის სიმპათია დაიმსახურა ესტონელმა მევიოლინემ იოჰანეს პილდამ.

მეორე კატეგორიაში პირველი ადგილი მიეკუთვნა ივანე ქობულაშვილს (ვიოლინო), მეორე ადგილიც ქართველ მევიოლინეს მარიამ მაღრაძეს ხვდა. მესამე კატეგორიაში ჟიურიმ ასე გაანაწილა საპრიზო ადგილები: პირველი პრიზი – ნარეკ სარგსიანს (ვიოლინო, სომხეთი), მეორე – ანა გოგისვანიძეს (ვიოლინო), მესამე ადგილები გაიყვეს ანა და არა არუთინიანებმა (სომხეთი), სპეციალური პრიზები გადაეცათ პიანისტებს თათია შარანგიას და გიორგი ჭიპაშვილს.



გამარჯვებულებმა რუსთაველის თეატრის მცირე დარბაზში გამართეს გალა-კონცერტი.

**იზა ნადირაძე.**

## ერთგულება

# ღიმილიანი ეპიზოდები

**რუსთაველის სახელმწიფო დრამატული თეატრის ცნობილი მსახიობი, ქალბატონი ეთერ სიხარულიძე იგონებს:**

– ეს ამბავი დაახლოებით ოცდახუთი წლის წინათ მოხდა, მაგრამ გუშინდელივით თვალწინ მიდგას.

ოტია იოსელიანის „ექვსი შინაბერა და ერთი მამაკაცი“ ჩვენი თეატრის იმჟამად ერთ-ერთ პოპულარულ (გამოგიტყდებით, საკმაოდ შემოსავლიან) სპექტაკლად იყო მიჩნეული.

ხუმრობა ხომ არ არის, სამასჯერ ითამაშო სცენაზე ერთი და იგივე როლი (მე მარგოს ვთამაშობდი).

ერთ დღესაც, სპექტაკლისათვის ვემზადებოდით. დილიდანვე გუნება გაგვიფუჭა ამინდმა, ისეთი ქარიშხალი ამოვარდა, გარეთ გასვლა აღარ მინდოდა.

ლეილა შოთაძეს, გურანდა გაბუნიასა და თქვენს მონა-მორჩილს გადაწყვეტილი გვქონდა შინიდან არ გამოვსულიყავით, მაგრამ ხელოვნება უმსხვერპლოდ სად გაგონილა, ჰოდა (ადმინისტრაციის დაჟინებული თხოვნით), მოგვიხდა რუსთავში გამგზავრება.

გზაში გურანდა შემოგვჩივის:

– მაინც ვერ გამიგია, ასეთ დასაქცევ ამინდში, რომელი ჭკუათხელი გაბედავს სახლიდან გამოსვლას.

ლეილა შოთაძე ამბობს:

– თქვენი არ ვიცი და, მე დღეს ნამდვილად ვერ გამოვალ სცენაზე, ჩათვალეთ, რომ ჩემი გმირი მოკვდა.

როგორც იქნა, მივაღწიეთ თეატრამდე, მაგრამ ახლა კარი აღარ იღება.

გურანდამ გადმოგვხედა და გვითხრა:

– აი, ხომ გეუბნებოდით, ვიცოდი, ასეც რომ იქნებოდა. ბევრი წვალების შემდეგ გაიღო კარი და, თქვენ წარმოიდგინეთ, მთელი ფოიე ხალხით სავსე არ დაგვხვდა?

მამაკაცის როლის შემსრულებელმა გივი ბერიკაშვილმა გადმოგვხედა და გვითხრა:

– ნეტავ, რამ მოგიყვანათ?!. უჩემოდ ვეღარ გაძელით?

ლეილა შოთაძე ფოიეში სკამზე მოკალათდა და ამბობს:

– დღეს უჩემოდ ითამაშეთ, ვითომ აღარა ვარ.

ამის გაგონებაზე ერთ-ერთი მაყურებელი მოგვიახლოვდა და გვითხრა:

– ხომ ხედავთ, უთქვენოდ ვერა ვძლებთ. ძალიან გთხოვთ, დღეს სპექტაკლს ნუ გადადებთო.

და, მართლაც, სპექტაკლი ვითამაშეთ.

მსგავს სიტუაციაში აღმოვჩნდით კახეთში, ლაგოდეხის რაიონშიც.

ზემოხსენებული სპექტაკლი რაჭველების უბანში უნდა გვეჩვენებინა.

დადგა წარმოდგენის დაწყების დრო, სინათლე არა და არ მოდის (სინათლის პრობლემა იყო იმ დროს ამ რაიონში), მაყურებელი კი ფეხს არ იცვლის ადგილიდან.

აღარ ვიცოდით, რა გვექნა, უკუნეთში ხომ ვერ ვითამაშებდით?

ბოლოს გადაწყდა, მაყურებელთა თხოვნით, მიზანსცენების გარეშე გვეთამაშა მთელი სპექტაკლი. სკამებიდან არ ავმდგარვართ. სპექტაკლი დამთავრდა და ისეთი სუფრა გაშალეს, სანამ ცოცხლები ვართ, არ დაგვავიწყდება.

ჩაიწერა
**მამუკა ფილიშვილმა.**

## პრობლემა

# შალიკაშვილი ალაპარაკდა...

**დღეს ბევრ თეატრს უჭირს, უჭირს პანტომიმის სახელმწიფო თეატრსაც. მას შემდეგ, რაც მის ვიწრო ბინას ფართი შეემატა, აქ სამშენებლო სამუშაოები მხოლოდ დაიწყო და უსახსრობის გამო „გაიყინა“. თეატრი დღეს მიტოვებული სამშენებლო მოედანია. ასეთ პირობებში ცხადია, სპექტაკლების გამართვა შეუძლებელია. გავრცელდა ხმა მისი დამაარსებლისა და ხელმძღვანელის ამირან შალიკაშვილის თეატრიდან შესაძლო წასვლის შესახებ. სწორედ ამ პრობლემების თაობაზე ესაუბრება კორესპონდენტი მას.**



**– სავალალო დღევანდელობაა... ადრე იქმნებოდა მაინც სპექტაკლები, ე. ი. იყო რაღაც პოზიტიური. დღეს კი...**

– დღეს? – დღეს მე ერთხელ კიდევ ვიწყებ ჩემს გასვენებას საკუთარი ხელით. კარგი პარალელი გაავლეთ. კომუნისტების დროს შექმნილი და დემოკრატების დროს დანგრეული ჩემი ოცნების თეატრი. გადამიარეთ გულზეო – თქვა აღმაშენებელმა... უკვე გადაიარეს. უკვე გაჭყლეტილი და გადაელილი ვარ მეც. მე საქართველოში შევქმენი ისეთი თეატრი, რომელიც ჩემს ერს არ ჰქონდა, ეხლა კი განადგურება გველის, კი ბატონო, მე მზად ვარ, სიკვდილს რა უნდა.

**– ჯვარი გწერიათ, მაგრამ რა ბედი ელით თქვენს მოსწავლეებს, ვინ იქნება თქვენი შემცვლელი, ვინ აიღებს თავის თავზე ამას ყველაფერს, თქვენი შესაძლო წასვლის შემთხვევაში?**

– სწავლის პროცესი გრძელდება, მაგრამ ვის დავტოვებ, ან ვინ იკისრებს თაოსნობას, ეს ძალიან რთული გადასაწყვეტია. რაც შეეხება ბათუმის ჯგუფს, იქ შანშიაშვილი იქნება. ისე, თუ მე დავტოვებ თეატრს, ყველა იქ გამომყვება, ასეთია ბედი რეჟისორის, მსახიობი შენი მასალაა.

შვილები მეუბნებიან, წადი, მამა, წადი, ვეღარ ვუყურებთ შენს ტანჯვასო. რაზე ვიტანჯავ თავს, მეც არ ვიცი... კაცი, რომელიც თეატრს აშენებს საქართველოში – მე ვარ, ზოგიერთები კი სხვა რამეებს აშენებენ. აგერ, შეხედეთ, მაკდონალდსი როგორ გააკეთეს, გადასარევად, ბრწყინვალედ, ღმერთმა ხელი მოუმართოთ. ბრწყინვალე იატაკი რომ დავინახე, პანტომიმის კეთება დავიწყე, იმიტომ, რომ იატაკი ჩემთვის ყველაფერია, ჩემი პროფესიაა. თავი ვეღარ შევიკავე. კვდებოდნენ სიცილით. .. ეჰ, არ მოვა ის ბიზნესმენი ჩვენთან, არ მოვა...

**– მოვა, ბატონო ამირან, მოვა და წილსაც მოგთხოვთ...**

– საქმეც ეგ გახლავთ... უკვე მომთხოვა ერთმა. მე ვუთხარი, ურემი ჩამივარდა ლაფში, მომეხმარეთ, ამომაყვანინეთ-მეთქი. მაგრამ, სანაცვლოდ, ტერიტორიის ერთ მეტრსაც ვერ დაგითმობთო. პირიქით, რაც დავკარგე, ისიც დავუბრუნე თეატრს სასამართლოებით და მთელი დავიდარაბით.

**– ასე რომ, სპონსორი კი არა, მეცენატი გჭირდებათ. გეგულებათ ჩვენს დროში ვინმე?**

– მეცენატები ახლა აღარ არიან. მაშინდელი ფსიქოლოგია სხვა იყო. მაშინდელმა ბიზნესმენმა, სარაჯიშვილი იქნებოდა, ლაღიძე თუ ზუბალაშვილი, იცოდა, რომ შემოსავლის რაღაც პროცენტი უნდა ჩადოს კეთილ საქმეში და იქიდან არაფერი მოითხოვოს. დღევანდელი ბიზნესმენი ვერ გაძლა რესტორნისა და კაზინოს მშენებლობით.

**– ნუთუ არავინ იწვევს თქვენში ნდობას ამ სფეროს წარმომადგენლებიდან?**

– პირადად არ ვიცნობ, მაგრამ გეფიცებით, არაფერს ვიგონებ. ერთადერთი, ვისაც მე ვაფასებ – თოფაძეა. იცით რა არის? ადამიანს ეტყობა სახეზე, ლაპარაკზე, ვინ არის. მჯერა, რომ თუ მიხვალ მასთან, მხარში ამოგიდგება. ნამდვილი პატრიოტია! მხოლოდ ასეთები შეიძლება იყვნენ ბუნებით მეცენატეები.

**– მიგიმართავთ დახმარებისათვის ბატონი გოგისთვის?**

– იცით, იმდენი რამე აქვს აკიდებული, იმდენი, რომ, ალბათ, ველარც ერევა. მე კი ძალიან მერიდება და ვერ მიდივარ. ისე, დარწმუნებული ვარ, რომ იცოდეს, თავისი ნებით მიხედავდა ყველაფერს. მისვლით კი, ჩემს მეგობართან, ნიკო ლეკიშვილთან მივედი, მე ის ძალიან მეხმარებოდა თავის დროზე. ამჯერად კი სამი საათის ლოდინის შემდეგ უარით გამომისტუმრა. მითხრა, ამირან, ვერაფრით დაგეხმარებიო...

**– ბატონო ამირან, თქვენს თეატრს პრეზიდენტმა უნიკალური უწოდა. და ქალაქის მერს რეზოლუციაში პირდაპირ მიუთითა, „მესმის თქვენი სიძნელეების, მაგრამ ამ უნიკალური კოლექტივის გადასარჩენად როგორმე უნდა გაიჭირვოთო“. ასე რომ, უკეთეს მფარველს ვერც ინატრებდით...**

– ყველა კრიტიკულ მდგომარეობაში პრეზიდენტი დამეხმარა. შენობის გადმომტკიცება, დაარსება მისი წყალობით იყო. თამაზ წივწივაძემ ერთხელ ასეთი წერილი დაბეჭდა: ბ-ნო პრეზიდენტო! ამჯერად თქვენი იმედით არის შალიკაშვილი და თქვენ უნდა უშველოთო. და ახლაც ასეა. შპს უნდა შექმნილიყო, წარმოგიდგენიათ, მე ხომ რესტორანი არა ვარ, მე ხომ ჯიხური არა ვარ, შეიძლება, რომ თეატრი იყოს შპს?

ახლახან კულტურის მინისტრმა მითხრა – აუცილებლად დაველაპარაკები ქალაქის მერს და მივიღებთ გარკვეულ გადაწყვეტილებასო. იმედიანად დავიძინე – სახელმწიფო აიღებს-მეთქი თავის თავზე პანტომიმის თეატრის მოვლას.

**– დავუბრუნდეთ თეატრის შემოქმედებით მხარეს. ჟან ლუი ბარო ამბობდა: ფრანგებმა შევძელით აღგვედგინა ლირიული პანტომიმა, ქუჩის პანტომიმა, კომიკური პანტომიმა, სახასიათო პანტომიმის წარმოდგენა, რომელიც ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში დაიკარგა. თქვენს სპექტაკლებში მართლაც დიდი დოზითაა დრამატიზმი და ტრაგიზმი. თანაც მისტერიამდე ამაღლებული ტრაგიზმი...**

– ჩვენ გვაქვს საფუძვლიანი და აბსოლუტურად განსხვავებული თეატრი. ჩვენ მივისწრაფვით მიმო-დრამისაკენ. ამიტომაც ქართული პანტომიმის სკოლა აღიარეს ევროპაში. იმ ენციკლოპედიაში კი, ამერიკაში რომ გამოიცა, ნათქვამია, რომ შალიკაშვილმა აღადგინა, შექმნა და დაამკვიდრა ტრაგიკული პანტომიმა.

**– თუ დასამალი არ არის, საითკენ გაქვთ სავარაუდო გეზი? და კიდევ, რა აზრისაა დასი თეატრის შესაძლო დაშლის შესახებ?**

– მე მივიღე მიწვევა ამერიკაში დისნეილენდიდან, ჩემი წასვლა, რა თქმა უნდა, დაშლის პროცესს გააძლიერებს, მაგრამ ისე არ მივდივარ, რომ ეს საქმე გაფუჭდეს. წავალ, დავდგამ და დავბრუნდები.

**– ესე იგი ხმები სამუდამოდ წასვლაზე გაზვიადებულია?**

– ცოტა გაზვიადებულია. მე არც ასე ადვილად მითქვამს, რომ გავრბივარ და არც ასე ადვილად დავრჩები...

**– თქვენი საბოლოო გადაწყვეტილება...**

– პანტომიმის თეატრი რუსთაველის პროსპექტის №37-ში დროზე უნდა აღდგეს!

**ნელი ზანგურაშვილი.**

სარედაქციო კოლეგია:
ზურაბ გოგიაშვილი, ნანა ღვინეფაძე (რედაქტორი), რუსუდან მუხიგულაშვილი, გიორგი ლალიაშვილი, ზურაბ ოიკაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სინჰუა იუწყება

სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების მუდმივი კომიტეტის თავმჯდომარე ლი პენი შეხვდა პეკინში ვიზიტად მყოფ ვიეტნამის პრემიერ-მინისტრს ფამ ვან ქხაილს. შეხვედრაზე აღინიშნა, რომ ორი ქვეყნის პარტიებისა და ხელმძღვანელების ურთიერთობას ახასიათებს ნდობისა და ურთიერთგაგების სულისკვეთება, მიღწეულია ფართო კონსენსუსი, წარმატებით გადაწყდა სახმელეთო საზღვრის საკითხი. ფან ვან ქხაიმ გამოთქვა იმედი, რომ ასევე გადაწყდება ჩრდილოეთი საზღვაო საზღვრის ბაკბოს ყურის პრობლემაც.

* * *

იანვარ-აგვისტოს მანძილზე შანჰაიში აღინიშნა უაღრესად სწრაფი ზრდა ინფორმატიკის დარგში. წარმოების ღირებულებამ შეადგინა 46 მილიარდი იუანი და გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 30 პროცენტით გაიზარდა, მოგებამ მიაღწია 5 მილიარდ იუანს, ანუ მატება 50 პროცენტს შეადგენს.

* * *

ცხრა კაცი დაიღუპა ქალაქ ჯუანჰეში მომხდარი ავტოსაგზაო კატასტროფის შედეგად. ავტომობილი, რომელშიც 20 კაცი იჯდა, შეასკდა სატვირთო მანქანას.



# კრემლი ახალ სასახლეს იშენებს

როგორც „ტაიმსი“ წერს, პუტინმა „დიდი ინტერესი გამოიჩინა, რადგან სურს შეიქმნას ახალი იმიჯი, რომელიც გააქარწყლებდა მის უმკომურ წარსულს“. კონსტანტინეს სასახლის რეკონსტრუქცია, რომელიც პეტრე პირველის მიერ დაარსებული ახალი დედაქალაქის ერთ-ერთი პირველი ნაგებობაა, მხარდაჭერას პოვებს რუსობას მორის, რომელიც ოცნებობს ძლიერ, მბრძანებელ ლიდერზე. მაგრამ მოსახლეობის მეორე ნაწილში ასეთმა მფლანგველობამ, არ შეიძლება, არ გამოიწვიოს უარყოფითი რეაქცია, ვინაიდან რუსეთი ღრმად ჩაეფლო ეკონომიკური პრობლემების ჭაობში და ვერა და ვერ დააყენა სამეელი მრავალი წლის ომს ჩეჩნეთში, ხოლო აღლანეთის საზღვარზე საომარი მოქმედება ცვალებადი უპირატესობით მიმდინარეობს. „კურსკის“ დაღუპულ მეზღვაურთა და ტერორისტული აქტების მსხვერპლთა ოჯახები ასევე თავისებურად გაიგებენ პრეზიდენტის წადილს, იქონიოს ახალი სასახლე, მიიჩნევს „ტაიმსი“.

„ტაიმსი“ წერს, რომ კონსტანტინეს სასახლის რესტავრაცია მორიგი ცდაა ვლადიმერ პუტინისა, წარსდგეს ხალხის წინაშე რუსეთის იმპერიის ხელმწიფის როლში. ეს სასახლე 1720 წელს ააშენეს ბაროკოს სტილით იტალიელმა არქიტექტორებმა ნიკოლო მიჩეტიმ და ბართლომე რასტრელიმ, რის შემდეგაც პაველ პირველმა თავის უმცროს მემკვიდრეს დიდ მთავარს კონსტანტინეს აჩუქა საზაფხულო რეზიდენციად.

ოფიციალურად, კრემლი არანაირად არ გამოხმაურებია ამ ინფორმაციას. მაგრამ, როგორც „კომერსანტი“ წერს, კრემლის ადმინისტრაციის მეთაურის მოადგილემ ვლადიმერ კოჟინმა დაადასტურა, რომ პუტინმა უკვე მოიწონა სასახლის რეკონსტრუქციის პროექტი, კოჟინმა დაასახელა ციფრიც – 25 მილიონი დოლარი. სწორედ ამდენი დაჯდება კონსტანტინეს რეზიდენციის რეკონსტრუქცია.

რუსეთის ისტორიულ და კულტურულ ძეგლთა დაცვის კომიტეტმი განაცხადეს, რომ პეტერგოფის მახლობლად მდებარე კონსტანტინეს სასახლე შეარჩიეს როგორც ყველაზე შესაფერისი ადგილი პუტინის ბალტიისპირა რეზიდენციისათვის. სასახლეთა კომპლექსის დირექტორის ზნამენოვის თქმით, მას არაერთგზის უთხოვია ბორის ელცინისათვის, დახმარებოდა სასახლის რესტავრაციაში, მაგრამ ელცინმა ამ წინადადებას არავითარი ყურადღება არ მიაქცია. პუტინი კი პირიქით მოიქცა.

სასახლის რეკონსტრუქციის გადაწყვეტილება აგვისტოს შუა რიცხვებში მიიღეს, მაგრამ „კურსკის“ დაღუპვის გამო არ გაახმაურეს. პეტერგოფის არქიტექტურული კომპლექსის მაღალი თანამდებობის თანამშრომელმა **„გაზეტა. რუ“**-ს აცნობა, რომ სამუშაოთა დაფინანსების საკითხი უკვე გადაწყვეტილია. ფულს მიიღებენ ბიუჯეტის დამტკიცების შემდეგ, მაგრამ კოჟინის მიერ დასახელებული ციფრი „ერთობ მოკრძალებულია – სასახლის აღსადგენად 25 მილიონი დოლარი აშკარად არ არის საკმარისი“. ამჟამად მუშავდება რეკონსტრუქციის გეგმა: წყდება, სასახლის რა ნაწილი გახდება პუტინის რეზიდენცია და რომელი დარჩება მუზეუმად.

საგულისხმოა, რომ ამ საკითხს წყვეტს პრეზიდენტის ადმინისტრაცია მოსკოვში, და არა არქიტექტორები და ისტორიკოსები პეტერგოფში, წერს დასასრულ იულია არტიუკოვა.

# შირაკი ბრალდებებს უარყოფს



საფრანგეთის პრეზიდენტმა ჟაკ შირაკმა უარყო პრესის ბრალდებები, თითქოს პარიზის მერად ყოფნისას მან იცოდა თავისი პარტიის ფარული დაფინანსების ამბავი. ფრანგული ტელევიზიისადმი ინტერვიუში სახელმწიფოს მეთაურმა „აბდაუბდაზე დაფუძნებული ხიცრუე“ უწოდა ბრალდებებს, რომელიც გაზეთმა „მონდმა“ წაუყენა.

გაზეთის მტკიცებებს ადასტურებს პარტიის აწ განსვენებული ფუნქციონერის ვიდეოფირზე ჩაწერილი ჩვენებანი, რომლის მიმართაც თავის დროზე წარმოებდა გამოძიება თაღლითობის ბრალდებით.

„მონდმა“ გამოაქვეყნა ვიდეოაღიარება, რომლითაც 1996 წელს გამოვიდა ჟან კლოდ მერი, შირაკის რესპუბლიკის მხარდამჭერი გაერთიანების პარტიის ყოფილი წარმომადგენელი, რომელიც შარმან გარდაიცვალა კიბოთი. ფირზე მერი, რომელიც საკუთრების ოპერაციებს ეწეოდა და 1994 წელს გამოძიების ქვეშ აღმოჩნდა, ამტკიცებს, რომ სამშენებლო კომპანიები პარტიას ფარულად ურიცხავდნენ მილიონობით ფრანკს, რათა მოეპოვებინათ სამშენებლო დეპარტამენტის კონტრაქტები. მისი თქმით, შირაკმა, რომელიც პარიზის მერი იყო 1977-1995 წლებში, ყველაფერი იცოდა. მაგრამ ფრანგული ტელევიზიისადმი ინტერვიუში პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ბრალდების წყარო არ არის სანდო.

– ჩანაწერი ოთხ წელიწადზე მეტი ხნის წინ გაკეთდა. და თვით გაზეთი, რომელიც გაშიფრულ ჩვენებებს აქვეყნებს, წერს, რომ იგი არ ექვემდებარება კონტროლს, და არა აქვს იურიდიული ღირებულება.

სხვა მემარჯვენე ცენტრისტული პოლიტიკოსები აყენებენ კითხვას, რატომ გაისმა ბრალდებები „მონდის“ ფურცლებიდან სწორედ ახლა. რესპუბლიკის მხარდამჭერი გაერთიანების წარმომადგენელი პატრიკ დევეჯანი გამოთქვამს ვარაუდს, რომ ფირზე ჩაწერილი ინფორმაციის გაჟონვა დაკავშირებული უნდა იყოს საზოგადოებრივი აზრის ამასწინანდელ გამოკითხვასთან. იგი მოწმობს პრემიერ-მინისტრ ლიონელ ჟოსპენის არასახარბიელო მდგომარეობას, რომელიც შირაკის კონკურენტობას აპირებს 2002 წლის პრეზიდენტის არჩევნებში.

# ახალი ვირუსი შიდსზე უარესია

ღნც ვირუსი ფრთოსნებს გადააქვთ და ამიტომ იგი ადამიანის ორგანიზმისათვის ძალზე სამიში დაავადებაა. ავადმყოფობა თავისი კლინიკური სურათით უახლოვდება ენცეფალიტს, გაცილებით უფრო სწრაფად მიმდინარეობს, ვიდრე შიდსი, და ძნელად ექვემდებარება მკურნალობას.



ცივილიზებულ სამყაროში ღნც – დასავლეთ ნილოსის ციებ-ცხელება, ისევე, როგორც შიდსი, – ამერიკიდან შემოვიდა. ბოლო თვეების მანძილზე ექიმებმა თავზარდაცემულებმა აღნიშნეს ამ დაავადების ზრდა ნიუ-იორკში, ძირითადად, ღატაკთა უბნებში, სადაც მრავლად არის სანაგვეები და ბინძური წყალი, და სადაც ბუდობენ ვირუსის ძირითადი გადამტანნი – მოსკიტები, რომლებიც, თავის მხრივ, ფრინველებსა და ადამიანებს ასნებოვნებენ. ნიუ-იორკის ხელისუფლებამ ერთგვარი საგანგებო მდგომარეობაც კი გამოაცხადეს: მოუწოდეს მცხოვრებთ, ხშირ-ხშირად ცვალონ წყალი აუზებში, გაანადგურონ ძველი ავტოსაბურავები (სადაც ტაგროვილი წყალი მყაყდება) და სხვა.

და აი, ახლა ღნც ევროპას მოადგა. უკვე დაფიქსირდა დაავადების პირველი შემთხვევები საფრანგეთსა და ბრიტანეთში, ამ ცოტა ხნის წინათ დაიღუპა 12 ისრაელი მოქალაქე, რამდენიმე კაცი დაავადდა მეზობელ იორდანიაში. თვით ამერიკაში ვირუსი ნიუ-იორკიდან უკვე თანდათან ვრცელდება ქვეყანაში: იგი „ნახეს“ ნიუ-ჯერსიში, დელავერში; ფრინველებისა და მოსკიტების, აგრეთვე, ავიალაინერების მეშვეობით იგი შორს გაიჭრა. წამლები, რომლებიც 100-პროცენტიან განკურნებას უზრუნველყოფენ, არ არსებობს.

ითვლება, რომ ჯანმრთელი ადამიანებისათვის ვირუსი არ არის საშიში (მაგალითად, ეგვიპტელთა 80 პროცენტს უკვე შეყრილი აქვს ღნც ვირუსი, მაგრამ ყველანი როდი ავადდებიან). მის მთავარ სამიზნეს წარმოადგენენ დასუსტებული ორგანიზმები, რომლებშიც ვირუსი აზიანებს ზურგის და თავის ტვინს, თუმცა, ცნობილია, რომ ადრე თუ გვიან ნებისმიერი ვირუსი განიცდის ისეთ მუტაციას, რომ გადის ახალ სამიზნეებზე და მოხუცებისა და სნეულების გარდა, ერევა საღსალამათ ხალხსაც.

აღმოსავლეთ ევროპაში ღნც-ს პირველი აფეთქება ამ სამი წლის წინათ აღირიცხა რუმინეთში – მარტო ბუქარესტში 500-მდე კაცი დაავადდა, აგრეთვე, რუსეთის სამხრეთსა და ბელორუსიაში. ხელისუფლებმა მაშინ ამას დიდი მნიშვნელობა არ მიანიჭეს. თუმცა, იმ დროს მსოფლიოში არავინ აქცევდა ყურადღებას რაღაც ეგზოტიკურ ციებ-ცხელებას. ნაწილობრივ, ჩვეულების გამო: ვთქვათ, აზიაში (ცივილიზებულ იაპონიაშიც კი) „ფრინველთა“ ვირუსები ყოველწლიურად ასნებოვნებენ 50 ათასამდე კაცს, რომელთაგან 15 ათასი იღუპება – და დიდი არაფერი. ღნც ამ დაავადებათაგან მხოლოდ იმით განსხვავდება, რომ გაცილებით უფრო სწრაფად განიცდის მუტაციას, ეგუება ნაირ-ნაირ ეკოლოგიურ და კლიმატურ პირობებს, მათ შორის, ცივ ჰავას, რომელიც ახლოსაც ვერ მივა იმასთან, რაც ნილოსის დასავლეთით ხდება.

თუ დაავადება კვლავაც ასეთივე სიჩქარით გავრცელდა, მაშინ უახლოეს ორ-სამ წელიწადში ღნც სიკვდილიანობის მხრივ შიდსს უკან მოიტოვებს.

**უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით გვერდს უძღვებიან**
**არჩილ მანჯგალაძე. კახა ქორიძე.**

სიდნეი - 2000

# საქართველოს „ბრინჯაოს ხანა“

**სეოკის პრესსამსახურის უფროსი კახა ბერიძე კომპანია მაგთი GSM-ის დახმარებით გვატყობინებს.**

27 სექტემბერი.

ესეც ასე – სიდნეიში საქართველოს სპორტულმა დელეგაციამ მეოთხე რეალური ბრინჯაოს მედალი (ერთიც ხომ დამახსოვრებული გვაქვს) მიითვალა. ეს ჯილდო ჩვენს ქვეყანას გუშინ ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ბათუმელმა **მუხრან ვახტანგაძემ** (85 კგ) მოუპოვა.

როგორც უკვე გაუწყეთ, 27 წლის ბათუმელმა ფალავანმა გუშინწინ ჯგუფურ ტურნირში ესტონელ ტოობას პროოფელს და ყირგიზ რაატბეკ სანატბაევს სძლია. გუშინ მეოთხეფინალური ორთაბრძოლა ატლანტის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორს ვალერი ცილენტს (ბელარუსი) მოუგო – 6:5. ნახევარფინალში მისი მეტოქე იყო თურქი ჰამზა იერლიკაია. ქართველი მოჭიდავე დამარცხდა 0:3, სამაგიეროდ, მან მესამე ადგილისთვის პაექრობაში წარმატების იოტისოდენი შანსიც კი არ დაუტოვა ნორვეგიელ ფრიტც ონესს, გაიმარჯვა 4:0 და კვარცხლბეკის მესამე საფეხურზე ავიდა. ოქროს მედალი ამ წონაში მუხრანის მძლეველმა თურქმა იერლიკაიამ მოიპოვა. მართალია, მისი ფინალური შეხვედრა უნგრელ შანდორ იშტვან ბარდოშთან ფრედ (3:3) დამთავრდა, მაგრამ ჩემპიონობის ბედი გაფრთხილებათა რაოდენობამ გადაწყვიტა.

**საპატიო კვარცხლბეკი**

**ბერძნულ-რომაული ჭიდაობა.**

**58 კგ.** 1. არმენ ნაზარიანი (ბულგარეთი), 2. კიმ ინ-სუბი (კორეა), 3. ცეტიან შენგი (ჩინეთი).

**69 კგ.** 1. ფელიბერტი ასკუი (კუბა), 2. კაცუმიკო ნაგატა (იაპონია), 3. ვალერი ნიკიტინი (ესტონეთი).

**85 კგ.** 1. ჰამზა იერლიკაია (თურქეთი), 2. შანდორ იშტვან ბარდოში (უნგრეთი), 3. მუხრან ვახტანგაძე (საქართველო).

**130 კგ.** 1. რულონ გარდნერი (აშშ), 2. ალექსანდრ კარელინი (რუსეთი), 3. დმიტრი დებელკა (ბელორუსი).

**მძლეოსნობა. ქალები ბადროს ტყორცნა.** 1. ელინა ზვერევა (ბელარუსი), 2. ანასტასია კელესიდოუ (საბერძნეთი), 3. ირინა იატჩენკო (ბელარუსი).

**100 მ.: ბარიერებით.** 1. ოლგა შიშიგინა (ყაზახეთი), 2. გლორი ალოზინე (ნიგერია), 3. მელისა მორისონი (აშშ).

**400 მ. ბარიერებით.** 1. ირინა პრივალოვა (რუსეთი), 2. დეონ ჰემინგსი (იამაიკა), 3. ნუჟა ბიდუანი (მაროკო).

**კაცები. 800 მ.** 1. ნილს შუმანი (გერმანია), 2. უილსონ კიპკეტერი (დანია), 3. აისა ჯაბირ საიდ-გუერნი (ალჟირი).

**400 მ. ბარიერებით.** 1. ენჯელო ტეილორი (აშშ), 2. ჰადი სუან სომაილი (საუდის არაბეთი), 3. ლეველინ ჰერბერტი (სამხრეთ აფრიკა).

**ტაეკვანდო. ქალები. 49 კგ.** 1 ლორენ ბერნსი (ავსტრალია), 2. ურბია მელენდეს როდრიგესი (კუბა), 3. შუ-იუ ჩი (ტაივანი).

**კაცები. 58 კგ.** 1. მიხაილ მურუტსოსი (საბერძნეთი), 2. გაბრიელ ესპარსა (ესპანეთი), 3. ჩისიუნგ ხანგი (ტაივანი).

**ჩოგბურთი. ქალები.** 1. ვინუს უილიამსი (აშშ), 2. ელენა დემენტიევა (რუსეთი), 3. მონიკა სელეში (აშშ).

**კაცები. წყვილები.** 1. სებასტიან ლარე-დენიელ ნესტორი (კანადა), 2. ტოდ ვუდბრიჯი-მარკ ვუდფორდი (ავსტრალია), 3. ალექს კორეტხა-ალბერტო კოსტა (ესპანეთი).

**ცხენოსნობა. გუნდური შეჯიბრება, ცხენის გაწვრთნა.** 1. გერმანია, 2. პოლანდია, 3. აშშ.

**ბეისბოლი.** 1. აშშ, 2. კუბა, 3. კორეა.

**ველოსპორტი. საგზატკეცილო რბოლა.** კაცები. 1. იან ულრიხი (გერმანია), 2. ალექსანდრ ვინოკუროვი (ყაზახეთი), 3. ანდრეას კლედენი (გერმანია).

დღეს სიდნეიში მედლების მორიგი კომპლექტები გათამაშდება. მართალია, ქართველებს მათგან არაფერი გვერგება, მაგრამ ორთაბრძოლებში ჩვენი ათლეტები აუცილებლად ჩაებმებიან. 91 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოასპარეზე ფოთელი მოკრივე ვლადიმერ ჭანტურია რუსეთის სპორტული ღირსების დამცველ სულთანახმედ იბრაგიმოვს შეხვდება ნახევარფინალში. წარმატების შემთხვევაში იგი ოლიმპიური „ოქროსთვის“ იბრძოლებს, არადა, „ბრინჯაო“ ხომ უკვე ჯიბეში უდევს.

პირველ პაექრობებს გამართავენ თავისუფალი სტილით მოჭიდავეები: ოთარ თუშიშვილი (63 კგ), გურამ მჭედლიძე (76 კგ) და ელდარ კურტანიძე (97 კგ). წინასწარ შეჯიბრებაში ცდის ოსტატობას მრავალჭიდის პროგრამით მხატვრული ტანმოვარჯიშე ინგა თაიდიშვილი.

**ოლიმპიადის არაოფიციალური გუნდური ჩათვლა**

| ქვეყანა | ოქრო | ვერცხლი | ბრინჯაო | სულ |
|---|---|---|---|---|
| 1. აშშ | 29 | 15 | 25 | 69 |
| 2. ჩინეთი | 22 | 14 | 15 | 51 |
| 3. რუსეთი | 18 | 16 | 21 | 55 |
| 4. ავსტრალია | 13 | 21 | 12 | 46 |
| 5. საფრანგეთი | 12 | 13 | 8 | 33 |
| 6. იტალია | 11 | 6 | 11 | 28 |
| 7. რუმინეთი | 10 | 4 | 4 | 18 |
| 8. გერმანია | 8 | 11 | 17 | 36 |
| 9. ჰოლანდია | 8 | 6 | 3 | 17 |
| 10. ინგლისი | 6 | 8 | 5 | 19 |
| - - - - - - - - | | | | |
| 59. საქართველო | 0 | 0 | 4 | 4 |

ფეხბურთი

# ესეც თვით საჩუქარი

საკუთარი დაბადების დღე ბრიუსელის „ანდერლეხტის“ კარში მატჩის მიწურულს გატანილი ორი ლამაზი გოლით აღნიშნა კიევის „დინამოს“ დამრტყმელმა თავდამსხმელმა **გიორგი დემეტრაძემ.** ჩემპიონთა ლიგის **„ვ“ ჯგუფის** III ტურის ეს შეხვედრა უკრაინელებმა შინ 4:0 მოიგეს და საგრძნობლად გამოისწორეს სატურნირო მდგომარეობა. აღსანიშნავია, რომ მესვენებამდე უპირატესობას ბელგიელები ფლობდნენ), თუმცა, გოლები მეორე ტაიმში სწორედ მათ კარში გავიდა. ანგარიში გუსინმა გახსნა, „დემეს“ წინახაზელმა პარტნიორმა შაცკიხმა კი გააორმაგა. კიდევ ერთი ჩვენებური **კახი კალაძე** ლობანოვსკიმ 63-ე წუთზე შეცვალა.

მთავარი მწვრთნელის ალექს ფერგიუსონის გაუმართლებელი ექსპერიმენტი ძვირად დაუჯდა „მანჩესტერ იუნაიტედს“, რომელიც ჰოლანდიაში „ეინდჰოვენთან“ მართალია. უკვე მე-3 წუთზე პენალტით დაწინაურდა (სქოულზი), მაგრამ საბოლოოდ მაინც დამარცხდა 1:3. მასპინძელთაგან თავი ბოუმამ, ბომელმა და კეჟმანმა ისახელეს! ზემოთნახსენებ ექსპერიმენტში ის ფაქტი ვიგულისხმეთ, რომ ბრიტანელთა ლიდერები – ბექჰემი და გიგზი გუნდის თავკაცმა მინდორზე ბოლო წუთებზე შეუშვა, როცა ყველაფერი გადაწყვეტილი იყო.

**„ეინდჰოვენი“ – 6, „მანჩესტერი“, „დინამო“ – 4-4, „ანდერლეხტი“ – 3 ქულა.**

**18 ოქტომბერს ითამაშებენ „ანდერლეხტი“ – „დინამო“ და „მანჩესტერი“ – „ეინდჰოვენი“.**

ტურის ცენტრალურ მატჩს – „ბარსელონა“ – „მილანი“ კატალონიის დედაქალაქმა უმასპინძლა (**„თ“ ჯგუფი**). სტუმრებმა ყველა რგოლში დაჩაგრეს მეტოქე და კლასიკურ სტილში გაიმარჯვეს – 2:0. ორივე გოლი დუტრუელს თავით გაუტანეს (კოკო, ბირჰოფი). ხანგრძლივი პაუზის შემდეგ მწყობრში დაბრუნებული ტრავმამომუშებული ლუის ენრიკე „ბარსას“ რიგებში მეორე ნახევარში გამოჩნდა, მაგრამ პარტნიორებს ვერ უშველა.

„ლიდსისა“ და „ბეშიქთაშის“ დუელი პრემიერლიგელთა ვარჯიშს უფრო წააგავდა. ძნელი სათქმელია, ასე რამ დააბეჩავა ერთ კვირაში ბარსელონელთა გამანადგურებელი კერკეტი თურქული კლუბი, მაგრამ ტაბლოს ვერსად წავუვალთ, რომელზეც 6:0 გამოისახა. იქნებ ტრიბუნების სარევანშო განწყობილებას მოერიდნენ სტამბოლელები და ნახევარი ძალით ირჯებოდნენ? – გემახსოვრებათ, რომ შარშან სწორედ ამ ქალაქის მეორე გუნდის „გალათასარაის“ ფანატებმა მოკლეს ინგლისელთა ორი ქომაგი.

გოლები გაიტანეს ბოიერმა (2), ვიდუკამ, მატეომ, ბაკემ და ჰაკერბიმ.

**„ლიდსი“, „მილანი“ – 6-6, „ბეშიქთაში“, „ბარსელონა“ – 3-3 ქულა.**

**18 ოქტომბერს ითამაშებენ „მილანი“ – „ბარსელონა“ და „ბეშიქთაში“ – „ლიდსი“.**

**„ე“ ჯგუფის** ფავორიტი ტურინის „იუვენტუსი“ შინ ძლივს გადაურჩა დამარცხებას „დეპორტივოსთან“ – 0:0. მეტიც – დასკვნითი ნახევარი საათი მასპინძლებმა მინდვრიდან გაძევებული ზიდანის გარეშე იბურთავეს და არაერთხელ გაულიმათ ბედმა. მანამდე კი ინძაგიმ „გაფლანგა“ ესპანელთა კართან შექმნილი ხელსაყრელი მომენტები.

ვერაფრით დააღწია თავი გაჭიანურებულ კრიზისს „ჰამბურგმა“. ბუნდესლიგის წარმომადგენლები ამჯერად შინ დამარცხდნენ „პანათინაიკოსთან“ – 0:1 (ნასიოპულოსი) და ალბათ, გათამაშების შემდგომ ეტაპზე გასვლის მინიმალური შანსი დარჩათ.

**„იუვენტუსი“, „დეპორტივო“ – 5-5, „პანათინაიკოსი“ – 4, „ჰამბურგი“ – 1 ქულა.**

**18 ოქტომბერს ითამაშებენ „დეპორტივო“ – „იუვენტუსი“ და „პანათინაიკოსი“ – „ჰამბურგი“.**

ორმხრივ იერიშებში წარიმართა **„ზ“ ჯგუფის** ყოჩების „პარი სენ-ჟერმენისა“ და „ბაიერნის“ ბრძოლა. ანელკასა და იანკერის უიღბლობა, ლოგიკურად, უშედეგო შედეგით უნდა დასრულებულიყო, მაგრამ მინდორზე ახალგამოსულმა ლერუამ სოლო რეიდით „მონასტერი არია“ და ფრანგებს მოაგებინა – 1:0 (92-ე წუთზე!).

სკანდინავიური დერბი „რუსენბორგი“ – „ჰელსინგბორგი“ ნორვეგიელებმა ბლიცკრიგად აქციეს 6:1 და ლიდერთა შორის დამკვიდრდნენ.

გოლები გაიტანეს იონსენმა (3), სტრანდმა (2), იოჰანსონმა (საკუთარ კარში, „რუსენბორგი“) და პარიცამ („ჰელსინგბორგი“).

**„ბაიერნი“, „რუსენბორგი“, „პარი სენ-ჟერმენი“ – 6-6, „ჰელსინგბორგი“ – 0 ქულა.**

**18 ოქტომბერს ითამაშებენ „ბაიერნი“ – „პარი სენ-ჟერმენი“, „ჰელსინგბორგი“ – „რუსენბორგი“).**

**გია პლატონიშვილი.**

კალათბურთი

# მწარე ძირი

ევროპულ სარბიელზე თბილისის „მაქაბის“ დებიუტი უიღბლო აღმოჩნდა. ოპტიმალური სპორტული ფორმიდან შორს მყოფი გოგობერიშვილითა და თორთლაძით გაძლიერებული ჯამლეტ ხუხაშვილის გუნდი კორაჩის თასის გათამაშების პირველ საკვალიფიკაციო მატჩში შინ 79:101 დამარცხდა ბელარუსის „გროდნო-93“-თან და 4 ოქტომბერს საპასუხო შეხვედრას ტურისტის სტატუსით გამართავს. მასპინძელთა ორი კამერუნელი ახალწვეულიდან კარგი შთაბეჭდილება მხოლოდ ტუჯანის თამაშმა დატოვა, რაც საკმარისი არ აღმოჩნდა მრისხანე მეტოქისათვის ჯეროვანი წინააღმდეგობის გასაწევად, რომელთა შორის „ცაცია“ სნაიპერი პინტიკოვი და საფრონოვ-კვაშჩუკის გიგანტთა დუეტი გამოირჩეოდნენ.

მატჩი ფიბას ახალი წესებით მოეწყო – 4 ტაიმი 10-10 წუთით. შეტევისთვის გუნდებს 24 წამი ჰქონდათ განკუთვნილი, ხოლო თითოეულ ტაიმში მიღებული 4 პერსონალური შენიშვნის შემდეგ დამრღვევის კალათში საჯარიმო ტყორცნები ინიშნებოდა. ამავე წესებით მოეწყობა ეროვნული ჩემპიონატიც, რომელიც 9 გუნდის მონაწილეობით სტარტს 7 ოქტომბერს აიღებს.

**ამ შეხვედრის წინ სპორტის სასახლეში საქართველოს სპორტულ-კულტურული ორგანიზაცია „მაქაბის“ დაფუძნების 10 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო ცერემონიალი გაიმართა. სამწუხაროა, რომ მის ორგანიზატორებს სოხუმის დაცემის დღესთან დაკავშირებით აფხაზეთის ომში დაღუპულთათვის წუთიერი დუმილით პატივის მიგება დაავიწყდათ.**

**გია პლატონიშვილი.**

ხსოვნა



# ოთარ ნოზაძე

ძალიან ძნელია იმ ადამიანის წარსულ დროში მოხსენიება, სტუდენტობის წლებიდან რომ იცნობდი, მეგობრობდი, ერთ გაზეთში გვერდიგვერდ მუშაობდი...

ქართულ ინტელიგენტურ ოჯახში დაბადებული და მესაფერის გარემოში აღზრდილი ოთარი ბავშვობიდანვე „დაავადდა“ სპორტისა და ქართული საესტრადო ხელოვნების სიყვარულით. პირველი და „ძირითადი“ გატაცება კი თბილისის „დინამო“ იყო – დინამოელთა ფერსაც სიცოცხლის ბოლომდე ატარებდა: ლურჯი სამოსი ეცვა, ლურჯი ქამარი ერტყა, თეთრ ავტოკალამიც ლურჯი ეპყრა ხელთ.

სპორტის სიყვარული ძვალრბილში ჰქონდა გამჯდარი და, როდესაც წერდა სპორტულ პრესაში, ჯერაც უცნობ უამრავ ფაქტს „გადმოულაგებდა“ მკითხველს.

„ლელოს“ რედაქციაში სულ იმაზე ვდაობდით, როგორ შეგვემცირებინა მისი მასალები, რადგან მკითხველი ვერ გაუმკლავდებოდა იმ ფაქტების ზღვას, ოთარის სტატიები რომ იყო გაჯერებული.

ოთარ ნოზაძის უდიდეს განსწავლულობას ამ სფეროში დიდ წილად განაპირობებდა მის პირად ბიბლიოთეკაში დაუნჯებული ძველისძველი სპორტული პროგრამები, ბუკლეტები, აფიშები, ფოტომასალა, სხვადასხვა ენაზე დასტამბული წიგნები. ცალკე თაროები ინახავდა ასევე უნიკალურ ჩანაწერებს და აუდიოფირებს ჩვენი ესტრადის ისტორიიდან. მისი მეორე დიდი გატაცება გახლდათ – ქართული ესტრადა, ჩვენი სახელოვანი მომღერლები. იმ ბოლო დღესაც ძაგნიძისა და ჩხიკვაძის შემოქმედებაზე უნდა ესაუბრა საქართველოს რადიოსტუდიიდან, პირდაპირ ეთერში. ღელავდა, რადგან ძალიან უყვარდა. უყვარდა იმდენად ღრმად, გულისგულამდე, რომ გულმაც, ბოლოს და ბოლოს, ვერ გაუძლო...

ოთარისა არ იყოს, მეც გამაჩნია მოგონებათა ზღვა ჩვენი მეგობრობის, ერთად მუშაობის წლებისა, მაგრამ სტრიქონები და ფურცლები ვერ დაიტევს იმ განცდას, ნამდვილი ჟურნალისტის, სპორტის დიდი პოპულარიზატორის, სუფთა და უმწიკვლო ადამიანის, ღირსების ორდენის კავალერის ოთარ ნოზაძის ამ ქვეყნიდან ნაადრევად წასვლამ რომ დაგვიტოვა მის მეგობრებს და კოლეგებს.

**ანზორ ბასილაია.**

ცხოვრების ჯანსაღი წესი

# არა მხოლოდ ოლიმპიადა...

სიდნეის ოლიმპიური თამაშების დღეებში დედაქალაქში არაერთი სპორტული ღონისძიება შედგა, მათ შორის აღსანიშნავია მთაწმინდის რაიონის (სპორტკომიტეტის თავმჯდომარე ჯუდე ქამუშაძე) სპარტაკიადა. ასპარეზობაში, რომელიც სპორტის 5 სახეობას მოიცავდა, მონაწილეობდნენ ამ რაიონის სერვისული მომსახურების ცენტრების თანამშრომლები.

ცალკეულ სახეობათა მიხედვით გამოვლინდნენ გამარჯვებული გუნდები. საერთო გუნდური პირველობა კი № 1 სერვისული მომსახურების ცენტრმა (უფროსი ზურაბ მონია), მოიპოვა, მეორე ადგილი ხვდა № 4 ცენტრს (უფროსი რევაზ ჯიბლაძე), მესამე ადგილზე არიან „ფიქრის გორას“ (უფროსი მანანა ჭიჭინაძე) წარმომადგენლები.

გამარჯვებულები დააჯილდოვა მთაწმინდის რაიონის გამგეობის თავმჯდომარემ დავით ლეინიაშვილმა.

**ანდრო ბაძრაძე.**

**სპორტის რედაქცია.**

ყოველი მხრიდან

# დაღუპვას გადაურჩნენ

ღიახ, კინაღამ დაიღუპა მადრიდის „რეალის“ მთელი შემადგენლობა, რომელიც 25 სექტემბერს გერმანიაში მიფრინავდა ლევერკუზენის „ბაიერნთან“ ჩემპიონთა ლიგის მესამე ტურის მატჩის გასამართავად.

თუ არა მფრინავების ვაჟკაცობა და მოხერხებულობა, ალბათ, ვეღარასოდეს ვიხილავდით ესპანური ფეხბურთის გრანდებს.

„სამეფო კლუბის“ მიერ დაქირავებულმა ავიაკომპანია „იბერიას“ თვითმფრინავი „ბოინგი-757“, 11 ათასი მეტრ სიმაღლეზე მიფრინავდა, უცებ სალონში წნევა დაეცა – ერთ-ერთი კონდიციონერის დაზიანებამ დაარღვია ხომალდის ჰერმეტიზაცია. მფრინავები იძულებულნი გახდნენ 2 წუთის ფანმავლობაში თვითმფრინავი 5 ათას მეტრზე ჩამოეყვანათ. მგზავრები პანიკამ მოიცვა. განსაკუთრებით გაუჭირდა ივან ელგერას, რომელსაც ბავშვობიდან ეშინია თვითმფრინავით მგზავრობისა. თუმცა, ლონდონის „არსენალის“ ფორვარდის დენის ბერგკამპისაგან განსხვავებით, იგი ზოგჯერ მაინც დაფრინავს. გუნდთან ერთად იმყოფებოდა კლუბის საპატიო პრეზიდენტი ალფრედო დი სტეფანო. მდგომარეობა სულ უფრო იძაბებოდა, რათა ელგერა დაერწმუნებინათ, რომ სახიფათო თითქოს არაფერია, კაბინაში შეიყვანეს და ერთ-ერთი პილოტის სავარძელში ჩასვეს, სადაც დამფრთხალი ფეხბურთელი ფრენის ბოლომდე იჯდა. გუნდს კი ამშვიდებდა ეკიპაჟის მეთაური და „რეალის“ თაყვანისმცემელი ხოსე მარია ბაესა – მას მრავალჯერ უფრენია გუნდთან ერთად:

– იმიტომ დავეშვით ასე დაბლა, რომ კარგად გენახათ გადასარევი ლანდშაფტი, აგერ მარცხნივ პარიზია – მარსის ველი, მონმარტრი, სენა.

ბოლოს და ბოლოს ტრაგედიას გადაურჩნენ და დიუსელდორფში სამი წუთის დაგვიანებით დაეშვნენ. თუმც, მადრიდელებს დანა პირს არ უხსნიდათ, ისე იყვნენ შეშინებულნი. ეგერამ კი მხოლოდ ერთი წინადადება წარმოთქვა: – ეს უკვე მეტისმეტია! უკან ავტობუსით წავალ!

როგორც გერმანიიდან იტყობინებიან, ამ სახიფათო თავგადასავლის შემდეგ გუნდი მაინც მთელი სერიოზულობით ემზადებოდა „ბაიერნთან“ შესახვედრად. მათთან იყო რაულიც, რომელმაც ავადმყოფობის გამო, წინა მატჩი გამოტოვა. სამწუხაროდ, ვერ გატყობინებთ ესპანეთისა და გერმანიის კლუბების გუშინდელ შეხვედრის შედეგებს, რადგან, როცა გაზეთი დასაბეჭდად მზად იყო, „რეალის“ და „ბაიერნის“ მატჩი გრძელდებოდა.

გახსენებთ, რომ 1 ოქტომბერს მთავრდება ვადა, რომლის დროსაც მესამე დონის დომენის მფლობელს (name. com. ge) ეძლეოდა უპირატესობა იმავე დასახელების მქონე მეორე დონის დომენზე (name. ge). 1 ოქტომბერიდან ნებისმიერი მსურველისათვის ხელმისაწვდომი იქნება არსებული მესამე დონის დომენის მსგავსი დასახელების მქონე მეორე დონის დომენი.

თუ მესამე დონის დომენის მფლობელებს აქვთ სურვილი იქონიონ იმავე დასახელების მქონე მეორე რიგის დომენი, ვთხოვთ ამის თაობაზე მოგვმართონ 1 ოქტომბრამდე.

აგრეთვე, გაცნობებთ, რომ ვინაიდან 29 მაისიდან ძალაში შევიდა GE დომენის რეგისტრაციის ახალი წესები, საჭიროა ამ თარიღამდე რეგისტრირებული დომენების ხელახალი რეგისტრაცია მათი მოქმედების გაგრძელების მიზნით, რაც უნდა განხორციელდეს ამ წლის ბოლომდე.

დომენის რეგისტრაციის შესახებ ინფორმაცია მოცემულია შემდეგ მისამართზე: www. nic. net. ge ან დარეკეთ 990037.

„ინტერნეტის განვითარების ჯგუფი – საქართველო“ და ge დომენის ადმინისტრატორი.

ალბომი

# ყველას რამე აქვს სახსოვარი



სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტები სახელმწიფო გამოცდების წინ.
მარცხნიდან მარჯვნივ: გ. კუჭავა, ა. ხორავა, ს. ქიქავა, შ. სიხარულიძე, ქ. რიგვავა, ვ. ჯიქია, ლ. ქარჩავა, ვ. პაპასკირი, გ. უბილავა, ევ. მოსიძე.

სოხუმი. 1952 წელი.

სურათი მოგვაწოდა ევგენი მოსიძემ.

შეგახსენებთ, რომ სურათების გამოქვეყნება უფასოა. ტელ: 99-66-10.

*მკითხველებს, ვისი მოწოდებული ფოტოებიც დაიბეჭდა ჩვენს გაზეთში, ვთხოვთ, მოაკითხონ დედნებს.*

---

საქართველოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტის ტყით სარგებლობის სატენდერო კომისია მ. წლის 30 ოქტომბერს აცხადებს ღია ტენდერს — სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე ხე-ტყის მერქნული რესურსების მოსაჭრელად სატენდერო სხდომაზე გამოტანილ და აუთვისებლად დარჩენილ მოცულობებზე, ასევე განიხილება მთავარი სარგებლობის ჭრებით ასათვისებელი ხე-ტყის რესურსების მსურველებზე გაცემის საკითხი.

მსურველებს, დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად, გთხოვთ მიმართოთ ტყეთმოწყობის და ტყითსარგებლობის სამმართველოს — ქ. თბილისი მინდელის ქ. №9 საკონტაქტო ტელეფონი 32-75-47.

---

მეცნიერება

# არქეოლოგიური მეგლებით იკითხება საუკუნეების ისტორია

**თბილისში მუშაობა დაიწყო მეორე საერთაშორისო სიმპოზიუმმა: „კავკასიის იბერია და მისი მეზობლები აქემენიდურსა და პოსტაქემენიდურ ხანაში“**

...ქართველმა არქეოლოგებმა ფრთხილად გადააცილეს მიწა თუ ფერფლი არაერთ არქეოლოგიურ ძეგლს და მსოფლიოს წააკითხეს საქართველოს წარსულის არაერთი საინტერესო ფურცელი. 24 სექტემბერს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრში, ამ ცენტრისა და ჰალეს კლასიკური არქეოლოგიის ინსტიტუტის მიერ გამართულმა მეორე საერთაშორისო სიმპოზიუმმა დაიწყო მუშაობა: „კავკასიის იბერია (ქართული სამეფო) და მისი მეზობლები აქემენიდურსა და პოსტაქემენიდურ ხანაში“. იგი გახსნა არქეოლოგიური ცენტრის ხელმძღვანელმა, აკადემიკოსმა ოთარ ლორთქიფანიძემ. შემდეგ კი ჰალეს კლასიკური არქეოლოგიის ინსტიტუტის პროფესორმა ანდრიას ფურტვენგლერმა ხაზგასმით აღნიშნა ქართველ არქეოლოგთა უდიდესი ღვაწლი გაწეულ მუშაობაში. ეს თვალნათლივ იხილეს კიდეც სიმპოზიუმის დაწყებამდე უცხოელმა და მოწვეულმა სტუმრებმა ფოიეში მოწყობილ გამოფენებზე, სადაც მოთხრობილია ბოლო წლებში საქართველოში არქეოლოგიური ძეგლების გამოვლენისა და შესრულებული სამუშაოების შესახებ. იქვეა გაკრული პუბლიკაციებიც ამ სამუშაოთა შედეგებზე, არქეოლოგიური ცენტრის დმანისის, სიღნაღის, ქუთაისის, მესტიის ფილიალების, თბილისისა და ვანის არქეოლოგიური მუზეუმების მიერ გაწეული შრომის შესახებ.

...დიდია ქართველ არქიტექტორთა კონტაქტები ყოფილი სსრ კავშირის, ევროპის, აშშ, კანადის არქეოლოგიურ სამეცნიერო ცენტრებთან. ამჯერად, თბილისში გამართულ სიმპოზიუმში მონაწილეობენ გერმანიიდან, რუსეთიდან, ისრაელიდან, ირანიდან, სომხეთიდან, დიდი ბრიტანეთიდან, კანადიდან, ირანიდან, თურქეთიდან, აზერბაიჯანიდან ჩამოსული ამ დარგის ცნობილი სპეციალისტები.

მოხსენება „აქემენიდური კვლევის საერთაშორისო პროგრამა“ წაიკითხა დონარა როინოვმა (პარიზიდან მეცნიერ ბრიანის ჩამოუსვლელობის გამო). საინტერესო ილუსტრაციების თანხლებით „ეგრეთ წოდებული სკვითური კულტურის კვალი საქართველოში“ დამსწრეთ გააცნო მარინე ფირცხალავამ, ხოლო მოხსენებით „წინააზიური მეზრადები კავკასიიდან და კიმერიული პრობლემა“ გამოვიდა მოსკოველი მეცნიერი ასკორდ ივანჩიკი.

ამავე დღეს გამსვლელი სხდომა შედგა ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, სადაც საინტერესო მოხსენებებთან ერთად სიმპოზიუმის მონაწილენი გაეცნენ აქემენიდური და პოსტაქემინდური ხანის ძეგლებს.

გამსვლელი სხდომები გრძელდება მცხეთაში ძალისის ნაქალაქარსა და ქსანში, ბორჯომში, უფლისციხესა და აწყურში.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის მიერ XXI საუკუნის დამდეგისათვის მომზადებულ ისეთ ნაშრომებს, როგორებიცაა: „საქართველოს არქეოლოგია“ (II-IV ტომები), „საქართველოს არქეოლოგიური ატლასი“ (12 ნაკვეთად), „არქეოლოგიური ტერმინოლოგიის ქართული განმარტებითი ლექსიკონი“, „ქართლის ცხოვრების ტოპოგრაფიულ-არქეოლოგიური ცნობარი“, „კლასიკური არქეოლოგიის მრავალენოვანი ლექსიკონი“, ამ სიმპოზიუმის მასალებიც მიემატება. სიმპოზიუმი თავის წვლილს შეიტანს მეცნიერთა კონტაქტების განმტკიცებაში, რაც ასე აუცილებელია ამ დარგის განვითარებისათვის. ჰალეს კლასიკური არქეოლოგიის ინსტიტუტის პროფესორი ანდრიას ფურტვენგლერი პირველსავე სხდომაზე დამსწრეთ შეჰპირდა ამ სიმპოზიუმის მასალების გერმანიაში გამოცემას.

სიმპოზიუმი მუშაობას 29 სექტემბერს დაამთავრებს.

**ნათელა ფაილოძე.**






---

ღიმილის დოზა

— თქვენ, ეტყობა, სვამთ?
— ვსვამ.
— მაგრამ იცით, რომ არაყი სიცოცხლეს გინახევრებთ?
— ვერ გავიგე?
— აგიხსნით. რამდენი წლისა ხართ?
— ორმოცდაათის.
— არაყი რომ არ გესვათ, ახლა 100 წლის იქნებოდით.

* * *

ქორწინება ისეთი მოვლენაა, რომელიც ძალიან ჰგავს რესტორანში საპურმარილოდ წასვლას.

დაუკვეთავ იმას, რაც შენ მოგწონს, მაგრამ, როდესაც ნახავ სხვებმა რა შეუკვეთეს, დაეჭვდები შენს არჩევანში — იქნებ ჯობდა შენც ის შეგეკვეთა, რაც სხვებმა?

* * *

სახელგანთქმული კურორტის სანაპირო წყლებში ერთმანეთს ორი ზვიგენი შეხვდა. ერთი მეორეს ეუბნება:
— არ მიყვარს აკვალანგისტები. გუშინ ერთი შევჭამე და დილით კუჭის წვა მაწვალებდა — ნამეტანი რეზინის გემო ჰქონდა.



მეორე უპასუხებს:
— სულელი ხარ შენ, აკვალანგისტი ჭამის წინ უნდა გაფცქვნა.

* * *

ნათესავები — ეს არის პირთა ჯგუფი, რომლებიც პერიოდულად შეიკრიბებიან ერთმანეთის გადასათვლელად და რაოდენობის ცვლილებასთან დაკავშირებით კარგად დასანაყრებლად.

* * *

ყრუ-მუნჯმა მეგობარს შესჩივლა:
— მივედი გუშინ სახლში გვიან ღამით და ამიტეხა ცოლმა ყვირილი და დავიდარაბა!
— შენ რა უპასუხე?
— სინათლე გამოვრთე.

* * *

ცოლი ქმარს კურორტზე აცილებს და ჭკუას არიგებს:
— ძალიან გთხოვ, არ დახარჯო ფული იმისთვის, რაც შინ უფასოდ გაქვს.

---

ტელევიზია — ხუთშაბათი, 28 სექტემბერი

08.00 ალიონი 09.30 „ძილის წინ“ 09.45, 20.50 „შავი მარგალიტი“ 10.25 „სტუდია პრიმა“ 10.50 ენერგია 11.05, 18.15 „სენ-ტროპე“ 12.00, 15.00, 20.00, 23.10 მოამბე 12.15 „მე ქალი ვარ“ 13.00 ნაშუადღევი 14.05, 15.15 ჩოგბურთი 16.30 კონცერტი 16.45 დრო და ადამიანები 17.00 ჩვენი მისამართია 17.40 მესაკუთრე 18.00 ვესტნიკი 19.05, 03.05 ვიდეოპატრული-02 19.15 მაესტრო 19.25 ფაილი 19.40 ბასტი-ბუბუ 21.40 „XX საუკუნე“ 22.00 „დრო“ 22.40 „ფსიქფაქტორი“ 23.45 „ძილის წინ“ 00.00 „ტელე-სინევიდეო“ 00.35 „ყოველ კვირას“ 03.05 ვიდეოპატრულით.

19.00 ინფორმაცია 19.35 იყო და არა იყო რა 20.00 „სენ-ტროპე“ 20.50 ავტოსპორტი 21.10 ლიტ. ესკიზები 21.35 დოსიე 22.00 ინფორმაცია 22.15 შვიდეული 23.15 პიტ-პარადი 23.20 „უახლესი“.

07.00 მუსიკა 07.30 მულტფილმები 08.00, 12.00, 15.00 კურიერი 08.55 „ბლანკის ქრივი“ 09.50 ტელევიქტორინა „ვის უნდა ოცი ათასი“ 10.40 „ოქროს ვარდის გამოქვაბული“ 11.10 მხ. ფ. 12.15 მულტსერიალი 13.30 მხ. ფ. 15.15 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა 17.00 მულტფილმი 17.25 „მოდელების აკადემია“ 18.00, 21.00, 22.50, 02.05 კურიერი 18.20 „ოქროს ვარდის გამოქვაბული“ 18.55 მხ. ფ. 19.50 მხ. ფ. 21.50 „ნიკიტა“ 23.50 მხ. ფ. 02.15 კლასიკა.

იბერია 09.00 ნახ. ფ. 09.10, 22.25 „ალსავალი“ 09.15 „სტუდია-დიალოგი“ 10.00, 19.20 „ქალაქი“ 10.25 ქართული ჰანგები 10.35, 21.10 „ყველა ჩემი შვილი“ 11.20 მხ. ფ., „ოვაცია“ 19.00, 19.45, 22.00 მუს. ტალღა 20.45 ძვ. ჰანგები 22.30 მხ. ფ. 00.00 „ნოსტალგია“ 00.25 მხ. ფ., „ოვაცია“.

14.00, 21.30 „მილედი“ 14.45 „მოხეტიალე რაინდები“ 15.55 მხ. ფ. 17.00, 19.00, 20.30, 00.00 „დღეს“ 17.15 მხ. ფ. 18.00 „მსოფლიო სპორტი“ 19.20 სტუდია „სპექტრი“ 21.00 „ვარსკვლავები“ 22.15 „ბატონი შეცდომა“ 23.35 მუსიკა 00.20 „მთიელი“.

ევრიკა 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 „ვესტი“ 10.15 „ველური ჩრდილოეთი“ 11.45 მუსიკალური კოლაჟი 12.15 პროგრამა „სალონი“ 14.00 მხ. ფ. 17.00 ხმა გამარჯვებული მორწმუნისა 17.30 მულტფილმი 18.30 დოკ. ფ. 19.00 საუბრები მწვანე ბუხართან 20.30 ახალგაზრდული მუსიკალური პროგრამა 21.30 სალოონი (განმეორებით) 23.00 მხ. ფ.

08.00 „ტონიკი“ 10.00 „ბელურის ფრთების შრიალი“ 11.35, 20.35, 22.20, 00.35 კლიპ-მიქსი 14.00 კონცერტი 18.00 მულტფილმი 19.00 მხ. ფ. 20.50 „ლექსი-4“. 22.35 „ინსტინქტი“. 00.50 „მკვდრების გაცოცხლებისას“ 02.30 ნონ-სტოპი.

09.00 ინფორმაცია 09.15, 18.15 მულტფილმი 09.35 მხ. ფ. 09.25 დოკ. ფ. 11.10 „ევროპის სტადიონებზე“ 11.30 მხ. ფ. 13.15 მხ. ფ. 15.05, 18.35 შემეცნებითი პროგრამა 16.10 მხ. ფ. 18.00 საინფორმაციო პროგრამა 20.30 საინფორმაციო პროგრამა 21.50 „სრულიად საიდუმლოდ“ 22.05 მხ. ფ. 00.00 საინფორმაციო პროგრამა 00.30 მხ. ფ.

09.30, 19.00, 01.00 „დღეს“ 19.30 მულტფილმები 19.40 სატელ. სპექტაკლი მხ. ფ. 21.00 დოკ. ფ. 2.00 „დღეს“ 22.35 პრესინგი 22.50 ოლღა ტლენტის საავტორო გადაცემა „გიზო ჟორდანია“ 23.15 მხ. ფ. 00.40 დოკ. ფ. 01.30 მხ. ფ. 03.00 მუსიკა ეთერში 00.30 მხ. ფ. 04.00 მუსიკა ეთერში 04.30 მხ. ფ.

---

რეპლიკა

# უზნეობა არც კაცს და, მით უმეტეს, არც გაზეთს არ ამშვენებს

არ მინდა, ეს გაზეთი დავასახელო, არც ის მარგალიტი, მისი ყოველი ნომრის ერთ-ერთი რუბრიკის ბოლოში სიამაყით რომ არის მითითებული: „გამოშვება მომზადებულია ჩემ მიერ. ყველა სააგენტოს თავზეც გავიარე“ (ღმერთო ჩემო, დავიფიცებ, ვერ შეხვედებით მეტ უზრდელობას ვერც ერთ, თვით ყველაზე უხამსი სიტყვების მოთაყვანე გაზეთშიც კი. მაგრამ ეს ავტორის, გაზეთის რედაქტორის და კოლექტივის თითოეული წევრის სინდისზე იყოს).

მაგრამ როგორც გაზეთების ერთ-ერთმა გამოცდილმა მკითხველმა, თავი ველარ შევიკავე, როცა ამ გაზეთის პირველ გვერდზე ფერადი ფოტოთი „დამშვენებული“ ცნობა წავიკითხე ჩვენი ხალხისა და ჩვენი ქვეყნის გამორჩეული მეგობრის, მომავალი საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი პროექტის ჩვენს სასარგებლოდ ხორცშესხმის ინიციატორის, ჩვენი მეგობარი მეზობელი ქვეყნის ლიდერის გარდაცვალების შესახებ (მართალია, ზოგიერთი არცთუ პოპულარული და ობიექტური სააგენტოების დამოწმებით). თანაც, ღმერთო ნუ მიწყენ და, ერთგვარი ქილიკითა და კმაყოფილებითაც.

ვის არ მოსდის ასეთი უზუსტობანი, შეიძლება, გადაცდომანიც, ან ტონის მოუზომლობაც, მით უმეტეს, თუ გაზეთი ყოველდღიურია და აქვს ყოვლისმომცველობის პრეტენზია. მაგრამ, როცა მეორე დღეს იმავე გაზეთში წავიკითხე სათაურში გამოტანილი ცინიკური და მყვირალა ფრაზები — „ოდნავ გადაჭარბებული ცნობების გამო, გთხოვთ, წუთიერი ღიმილით პატივს ნუ მიაგებთ მათ ხსოვნას“ და ალტაცებით წარმოთქმულ „სიტყვის თავისუფლებაც ცოცხალია და“... (დასახელებულია ვითომ გარდაცვლილი პიროვნება).

მეტი უზნეობა ვერ წარმომიდგენია. და უნებლიედ მაგონდება ჩვენი დიდი პოეტისა და მამულიშვილის მუხრან მაჭავარიანის სიტყვები: „რა გიხარია, შე...“ (მოდი, ამასაც არ ჭავიმეორებ).

**ზურაბ ლომიძე.**

---

ახალგაზრდების შემოქმედება

# კიევის ფესტივალზე

29 სექტემბრიდან 3 ოქტომბრამდე უკრაინის დედაქალაქში მოეწყობა აუდიოვიზუალური ხელოვნების მესამე საერთაშორისო ფესტივალი „ფასტ-ფესტ-უიკენდი“. მისი დევიზია — „დაე, იცოხლოს რეჟისურამ“. ამ წარმომადგენლობითს დათვალიერებაში მონაწილეობას მიიღებენ მსოფლიოს, მათ მორის, საქართველოს წამყვანი კინოსკოლები.

— კიევის ახლანდელი ფესტივალის მიზანია ის, რომ სხვადასხვა ქვეყნის კინოსა და ტელევიზიის სკოლების სტუდენტებს შესაფერისი პირობები შეექმნათ შემოქმედებითი ურთიერთობისა და გამოცდილების გაზიარებისათვის, — თქვა საქართველოს რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო ინსტიტუტის პრორექტორმა გოგი დოლიძემ, — ჩვენი სტუდენტები მონაწილეობას მიიღებენ კონკურსში იმ ვიდეონამუშევრებით, რომლებიც შეიქმნა 1999-2000 წლებში. ფესტივალის აფიშაზეა ექვსი ქართული ფილმი: მაია კიკნაველიძის „თავისუფლება ძაფებზე“, სოფიკო კახაძის „მათხოვრობა — პროფესია თუ...?“ ეკა ჩიჩუას „ცოდვილი?“, თეონა ჩიჩუა-რამიშვილის „მემენტო მორი“ (ყველა მანანა ანასაშვილის სახელოსნოს სტუდენტი), მიხეილ კეკელიძის „ელდარ მამედზადე“ (ლევან ზაქარეიშვილის სახელოსნო) და ვანო თეაურის „ბალადა ჩვეულებრივ ადამიანზე“ (ალექსანდრე მღებრიშვილის სახელოსნო). ჩვენ უდიდესი პასუხისმგებლობით და საგულდაგულოდ შევარჩიეთ საკონკურსო ფილმები და შევეცადეთ არჩევანი შეგვეჩერებინა იმ ნამუშევრებზე, რომლებიც ყველაზე მეტად აკმაყოფილებენ საერთაშორისო ჟიურის მაღალ კრიტერიუმებს, ჟიურისა, რომლის შემადგენლობაში შედიან მსოფლიოს წამყვანი სპეციალისტები.

რას ასახავს ეს კინოფილმები? „თავისუფლება ძაფებზე“ მოგვითხრობს მარიონეტი თოჯინების შემქმნელი მხატვარი ქალის ამბავს, რომელიც ფილოსოფიურად უდგება საერთოდ ცხოვრებას და კერძოდ, შემოქმედებას.

ჩვენი სინამდვილის ერთ-ერთი აქტუალური პრობლემის — სიღატაკის პრობლემის გაანალიზებას შეეცადა მათხოვრების გამოკითხვის მეოხებით ფილმის ავტორი სოფიკო კახაძე. ყოფიერების ამაოებას გვახსენებს „მემენტო მორი“. ადამიანის მდიდარ შინაგან სამყაროს, მისი განცდების, სრულყოფილებისათვის სწრაფვის მოტივების ახსნას ცდილობენ „ცოდვილი?“, „ელდარ მამედ-ზადე“ და „ბალადა ჩვეულებრივ ადამიანზე“ კინოლენტების ავტორები.

ფესტივალის პირობებით მთელი პროგრამა უნდა დაეტიოს ერთ კასეტაზე და მისი ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს საათნახევარს. ამ საათნახევარში შედის დათვალიერებაზე ჩასული სტუდენტების ძალებით მოწყობილი სკოლის 15-წუთიანი თეატრალიზებული პრეზენტაცია. თითოეული ნომინაციის მთავარი პრიზია „ვარდისფერი შაშვი“. სტუდენტური ვიდეონამუშევრები შეფასდება ხუთი ნომინაციის მიხედვით: საუკეთესო მხატვრული ფილმის, საუკეთესო დოკუმენტური, საუკეთესო ანიმაციური, საუკეთესო საექსპერიმენტო ფილმისათვის და კინოსკოლის საუკეთესო პროგრამისათვის.

გვინდა გვჯეროდეს, რომ, როგორც მეტ წილ შემთხვევებში, ქართული კინოსკოლის აღსაზრდელები ამჯერადაც გახდებიან კონკურსის პრიზებისა და ჯილდოების მფლობელები და მათი ნამსახურობის სიას ამჯერად „ოქროს შაშვი“ შეემატება.

**საქინფორმი.**

---

პოლიცია

# განხორციელდა მორიგი ღონისძიება

თბილისის შინაგან საქმეთა მთავარმა სამმართველომ დედაქალაქში მორიგი ოპერატიული ღონისძიება განახორციელა. გამოვლენილია 56 დანაშაული, მათ შორის, 2 მკვლელობა, 1 მკვლელობის მცდელობა, 6 სხეულის დაზიანება, 5 ყაჩაღობა, 4 ხულიგნობა, 3 ავტომანქანის გატაცება. მოხდა 2 საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა. ორგანოს მუშაკებმა გამოავლინეს 24 ნარკომანიის ფაქტი, რომელთაგან ათი ფაქტის გამო აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, ამოღებულია 11 ცეცხლსასროლი იარაღი, მათ შორის — 5 ავტომატი, 2 პისტოლეტი, 3 კარაბინი და 3 გლუვლულიანი თოფი, ორი ხელყუმბარა. დანაშაულში გამოვლენილ 56 ეჭვმიტანილ პირთაგან 4 ადრე ნასამართლევი აღმოჩნდა, 17 არ არის თბილისელი და 16 არასრულწლოვანია. მხილებულია დამნაშავეთა 9 ჯგუფი (სულ 25 კაცი), დაკავებულია 11 ძებნილი, საგზაო მოძრაობის წესები დაარღვია 2418 კაცმა. მათ შორის, 27 მძღოლი მთვრალი იყო, 99 მანქანა ტექნიკურად გაუმართავი აღმოჩნდა, 403-ს საერთოდ არ ჰქონდა გავლილი ტექნიკური დათვალიერება.

ეკოლოგიის პოლიციამ გამოავლინა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა 40 ფაქტი, მათგან 13 მასალა გადაიგზავნა შესაბამისი რაიონის სასამართლოში, ამოღებულია საკვებად უვარგისი საკონდიტრო ნაწარმი და კუსტარულად შებოლილი თევზი, გამოვლენილია სარეგისტრაციო წესების დარღვევის 180 ფაქტი, რომელთა გამო შედგენილია ადმინისტრაციული ოქმები, რეგისტრაციაში გატარდა 83 მოქალაქე, მათ შორის, 13 უცხოელი.

**საქინფორმი.**

---

ცოდნის სკივრი

სამხრეთაფრიკელი ნიკოლას ამსტერდამი 112 წლისაა. ორი მსოფლიო ომის მომსწრეა, პროფესიით — მზარეული. თავის ახალგაზრდობას იგი „ღვინისა და სიმღერების“ პერიოდად იხსენიებს.

ხოლო თავისი სიცოცხლის ხანგრძლივობას კი იმით ხსნის, რომ მას არასოდეს, არც ქალთან და არც კაცთან... ინტიმური კავშირი არ ჰქონია (!)

თბილისის პირველ საპატიო მოქალაქეებად 1979 წელს აირჩიეს ლადო გუდიაშვილი, სიმონ ჩიქოვანი და აკაკი შანიძე.

პირველი ქართველი სპორტის ოსტატი ჭადრაკში იყო ვიქტორ გოგლიძე.

მოგზაურ ანდრე დავის მიხედვით, გასულ საუკუნეში ევროპელები წელიწადში საშუალოდ სამოც-სამოცდაათ ათას სპილოს ხოცავდნენ აფრიკაში.

1863 წელი თანამედროვე ფეხბურთის დაბადების თარიღია.

ჩაის მოხმარების მხრივ მსოფლიოში პირველი ადგილი ისლანდიელებს უჭირავთ. აქ ერთ სულ მოსახლეს წელიწადში დაახლოებით ხუთი კილოგრამი ჩაი ეხარჯება.

---



მეუღლე მადლენა ჩაკვეტაძე, და ირინა მაისურაძე, დისწულები აჩიკო, მეგი შელიავები ოჯახებით, ბიძაშვილები მედეა, ირაკლი ფანიაშვილები ოჯახებით, ბიცოლა ნონა ფანიაშვილი, მამიდაშვილი ნათელა ქორჩილავა, ცოლის მამიდაშვილები მედეა პარკაძე, ნიკა ჩაკვეტაძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**გივი (ნოდარ) აბრამის ძე მაისურაძე**

პანაშვიდი 28, 29 IX, 5 სთ. გამოსვენება 30 IX, 2 სთ. თამარ მეფის გამზ. 13, ბინა 11.

---

მეუღლე ეთერ შიუკაშვილი, შვილები გიორგი, მარინა, ფატიმა, ეკა, სიძეები ზურა, თემური, არტური, რძალი ეკა, შვილიშვილები დიანა, მარიამი, ლიკა, ქეთი, ეთო, ბორისი, დედმამიშვილები გიგო, სოსლან, ვენერა შიუკაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ბორის ვასილის ძე შიუკაშვილი**

პანაშვიდი 28, 29 IX, 5 სთ. გამოსვენება 30 IX, 3 სთ. დიღმის მასივი, V კვარტალი, 32 კორპუსი, I სადარბაზო, ბ. №7.

---

მეუღლე ჯიმი ქსოვრელი, შვილები ლელა, ქეთინო, შვილიშვილები თამუნა, ჯიმი, ოთარი, დოდო, სიძეები მიშა მაჩაბელი, რამაზ ჩიჩუა იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**დოდო (ნანული) ტიტეს ასული კიკნაველიძე**

პანაშვიდი 28, 29 IX, 5 სთ. გამოსვენება 30 IX, 2 სთ. გაგარინის ქ. №27, ბინა 9

---

ფპს „ლინქსი“ ლიკვიდაციასთან დაკავშირებით იწვევს დებიტორ-კრედიტორებს საბოლოო ანგარიშსწორებისათვის. ტ: 25-15-18.

ყურადღება, ყურადღება!

30 სექტემბერს (შაბათს) 10 საათიდან საქართველოს ჰუმანიტარულ-ეკონომიკური ინსტიტუტისა და საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის მუდმივმოქმედ მრავალდარგოვან სადისკუსიო კლუბში (ალექსანდრე ყაზბეგის 45, VI სართული) გაიმართება პროფესორ გივი კილასონიას მოხსენების, თემაზე — „ფერმერი და წარმოების ოპტიმიზაციის პრობლემები“-ს მოსმენა-განხილვა.

მობრძანდით, დასწრება თავისუფალია.

სადისკუსიო კლუბის კოორდინატორი,
აკადემიკოსი ალექსანდრე კუჭუხიძე

გამოიწერეთ, შეიძინეთ, იკითხეთ გაზეთი

„საქართველოს რესპუბლიკა“

შეგახსენებთ, რომ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამოწერა ერთი თვით 15 ლარი ღირს (დედაქალაქში), 15,6 ლარი — რეგიონებში; სამი თვით, შესაბამისად, — 45 და 46,8 ლარი; ექვსი თვით — 90 და 93,6 ლარი. გაზეთის ინდექსია 66434.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის ჰონორარი არ გაიცემა.

**რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც გაზეთის ეს ნომერი შეიძინა და წაიკითხა!**

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამოცემას უზრუნველყოფს შპს „პრესა-98“

მთავარი რედაქტორი არმაზ სანებლიძე.
სარედაქციო კოლეგია: ალეკო ასლანიშვილი, როლანდ ბასილაშვილი, ზურაბ გოგიაშვილი, ბონდო გულიაშვილი, გიორგი ლალიაშვილი, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, ბექა ჭედია, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები — „საქართველოს რესპუბლიკის“ ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორი რუსლან რუსია.

ინდექსი 66434

მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა — PRESS-98@CAUCASUS.NET

იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს“ საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29.